


ქვიარ ტრავმა და ურბანული სივრცე:

სხელი, ინსტრუმენტი და ყოველდღიური ცხოვრება

სალომე შივაკაძე

ბიორბი კანია



ქვიარ ტრავმა და პრეპანული სივრცე-
სხეული. ინტერპენია და ყოველდღიური ხსოვრება

ქვიარ ტრავმა და ურბანული სივრცე: სხეული, ინტერაქცია და ყოველდღიური ცხოვრება
სალომე შიუკაშვილი
გიორგი კანკია

ISBN: 978-9941-8-4795-0

© ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი (WISG), 2022

E-mail: info@wisg.org

Tel.: (032) 224 01 03

www.wisg.org

ყდის დიზაინი: თათია ნადარეიშვილი
დაკაბადონება: თორნიკე ლორთქიფანიძე
დაბეჭდილია: შპს „სეზანი“

პუბლიკაციის სრულად ან ნაწილობრივ გამოყენება ან გადაბეჭდვა WISG-ის წერილობითი თანხმობის გარეშე დაუშვებელია. გამონაკლისს წარმოადგენს მოკლე ციტატების გამოყენება სტატიებში წყაროს მითითებით.



ქვიარ ტრანჰე და ურბანული სივრცე:
სხეული, ინტერაქტია და ყოველდღიური სხოვრება

სალომე შიუკაბილი
გიორგი კანკია

ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი (WISG) ფემინისტური ორგანიზაციაა, რომლის მიზანია, ქალთა გაძლიერების და პოლიტიკური მონაწილეობის გზით, სოციალური სამართლიანობის პრინციპებზე დაფუძნებული საზოგადოების შენეების ხელშეწყობა.

ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი მუშაობს ლესბოსელი და ბისექსუალი ქალების, ტრანსგენდერი და ინტერსექსი ადამიანების, ასევე სხვა მარგინალური ჯგუფების წარმომადგენელ ქალთა საკითხებზე.

WISG მუშაობს შემდეგი მიმართულებებით: ადვოკატირება ქალთა და ქვიარ საკითხების პოლიტიკაში ინტეგრირებისთვის; თემის გაძლიერება სოციალური და პოლიტიკური მონაწილეობის ხელშესაწყობად; გენდერისა და სექსუალობის შესახებ საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი კრიტიკული ცოდნის შექმნა კვლევებისა და სახელოვნებო პროექტების გზით; ინტერსექციული ქვიარ ფემინისტური ორგანიზების კულტურის/პრაქტიკის განვითარება.

ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი ავტორია საქართველოში სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის შესახებ ძირითადი კვლევებისა და პოლიტიკის ანალიზის. ჩვენი კვლევები, ჩრდილოვანი ანგარიშები, პოლიტიკის დოკუმენტები, ასევე ინფორმაცია სხვა აქტივობების შესახებ, ხელმისაწვდომია ორგანიზაციის ოფიციალურ ვებსაიტზე: www.wisg.org

სარჩევი

1. შესავალი	13
1.1. კვლევის სტრუქტურა	15
2. თეორიული ჩარჩო	17
2.1. ტრავმის ბუნება	17
2.1.1. ტრავმა და დანაკარგი	22
2.1.2. ტრავმის დაძლევა	23
2.1.3. ურბანული ტრავმა და აქტივიზმი	25
2.2. ურბანული სივრცე	26
2.2.1. ქვიარ სხეულის ადგილი სივრცეში	30
2.2.2. სხეულისა და სივრცის ინტერაქცია	33
2.2.3. შიში და ტრავმული გამოცდილება სივრცეში	36
3. მეთოდოლოგია და მეთოდები	39
3.1. შერჩევა	39
3.2. ავტორების პოზიციონირება და კვლევის ეთიკური განზომილება ..	40
3.3. ანალიზი	42
4. კვლევის მიგნებები	44
4.1. ქვიარ ტრავმა – ძალადობრივი გამოცდილებების ჯაჭვი	44
4.1.1. ტრავმა და იძულებითი ცვლილებები	45
4.1.2. ქვიარ ტრავმა	47
4.1.3. გენდერი და ტრავმა	49
4.1.4. ტრავმულ გამოცდილებებთან გამკლავება	52
4.1.5. კოლექტიური ტრავმა და მისი წრებრუნვა	59
4.2. სოლიდარობა – ქრონიკული ძალადობის შეწყვეტის ინსტრუმენტი	62
4.2.1. სათემო მხარდაჭერა	62
4.2.2. საზოგადოებრივი სოლიდარობა	64
4.2.3. აქტივიზმი და აღდგენა	67
4.3. უსაფრთხო სივრცე – მყიფე და ფლუიდური	70
4.3.1. სახლი	72
4.3.2. სამსახური	77
4.3.3. ემოციური ბმა სივრცესთან და მისი გენდერული ასპექტი	79
4.3.4. ცენტრი და პერიფერია	81
4.3.5. ექსკლუზიური სივრცეები	84
4.4. ჰეტერონორმატიული და ქვიარ სხეულები	89
4.4.1. ქვიარ სხეულის მდგრადობა და სივრცეში ნავიგაცია	93
4.4.2. სენსორული სხეული	100
5. დასკვნა	102
6. ბიბლიოგრაფია	107

ნინათქმა

„ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი“ (WISG) წლების მანძილზე აკვირდება და აანალიზებს ადგილობრივი ქვიარ და ფემინისტური აქტივიზმის სტრატეგიებს, ქვიარ და ქალთა საკითხების პოლიტიკური ინსტრუმენტალიზების პრაქტიკებს და მათ გავლენას ქვიარ თემის ფსიქოემოციურ და სოციალურ მდგომარეობაზე. რამდენადაც გვჯერა, რომ მტკიცებულებაზე დაფუძნებული, ეფექტიანი და სამართლიანი აქტივისტური პოლიტიკისათვის ფუნდამენტურია აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებული ცოდნის შექმნა და წარმოება, კრიტიკულად მნიშვნელოვნად მიგვაჩნია, მათი ინტეგრირება აკადემიურ კვლევაში. ამ კონტექსტში, ჩვენთვის განსაკუთრებით ღირებულია ინტერდისციპლინური კვლევის ხელშეწყობის შესაძლებლობა, რომლის გამორჩეული მაგალითიცაა „ქვიარ ტრავმა და ურბანული სივრცე: სხეული, ინტერაქცია და ყოველდღიური ცხოვრება“.

ნინამდებარე კვლევა ქმნის ცოდნას ტრავმული გამოცდილების, მისი ხასიათისა და ქვიარ თემის წევრების ურბანულ სივრცეში ცხოვრებაზე გავლენის შესახებ. ეს ცოდნა, ერთი მხრივ, დეფიციტურია, რამდენადაც საჯარო თუ აკადემიურ მსჯელობებში ხშირად მეორეხარისხოვან ან სრულად გამორიცხულ ისეთ საკითხებს ფარავს, როგორიცაა აქტივიზმის სხვადასხვა ფორმებისა და ყოველდღიური გამოცდილებების გავლენა ქვიარ თემის წევრების პერსონალურ, ინტერპერსონალურ და სოციალურ ცხოვრებაზე. მეორე მხრივ კი, მნიშვნელოვან რესურსს წარმოადგენს გენდერის, ფსიქოლოგიისა თუ ურბანისტი მკვლევრებისთვის, ისევე როგორც, ქვიარ და ფემინისტი აქტივისტებისა და მხარდამჭერებისათვის.

„ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი“ (WISG) მადლობას უხდის ავტორებს, გიორგი კანკიასა და სალომე შიუკაშვილს; კვლევის მონაწილეებს, რომლებიც პანდემიის რთულ პერიოდში დათანხმდნენ ინტერვიუებზე; პროექტის ინიცირებისთვის და შინაარსობრივი მხარდაჭერისთვის – ნინო ხარჩილავას; პროექტის მომზადებაში შეტანილი წვლილისთვის – ნატალია მჭედლიშვილს; ტექსტის სრულყოფისთვის – მანანა მაღალურაძეს.

ეკა წერეთელი
დირექტორი

აბსტრაქტი

უკანასკნელ წლებში, ქართულ საჯარო სივრცეში ქვიარ აქტივიზმისა და ტრავმული გამოცდილებების კვალდაკვალ, საზოგადოებრივ თუ აკადემიურ წრეებში გააქტიურდა მსჯელობა ხილვადობის პოლიტიკისა თუ ფემინისტური დღის წესრიგის მნიშვნელობაზე. მიუხედავად ამისა, შედარებით ნაკლები ყურადღება ეთმობა აქტივიზმის სხვადასხვა ფორმის შედეგებს თემის წარმომადგენლების ყოველდღიურ ცხოვრებასა და დაგროვილი ტრავმული გამოცდილებების ქრონიკულ ხასიათზე. ყურადღების მიღმა ასევე რჩება ქვიარ ადამიანების ინტერაქცია იმ ურბანულ გარემოსთან, სადაც მათ უწევთ ცხოვრება, მუშაობა და სოციალური ურთიერთობების ჩამოყალიბება და განვითარება. ამ მხრივ, მნიშვნელოვანია გავიაზროთ, რა გავლენა აქვს ქვიარ თემის წარმომადგენლებზე იმ ტრავმულ გამოცდილებებს, რომლებიც მათ შეემთხვათ არა მხოლოდ 17 მაისს ან 5 ივლისს, არამედ რასაც აწყდებიან ყოველდღიურ ცხოვრებაში. ამ მიზნით, კვლევა ეყრდნობა ქვიარ ადამიანებთან ჩატარებულ სიღრმისეულ ინტერვიუებს და ტრავმული შემთხვევების კონტექსტში განიხილავს მათ ურთიერთობას ურბანულ სივრცეში და მასთან ინტერაქციის ფორმებს. როგორც ირკვევა, ეს ურთიერთობა ორმხრივი ხასიათისაა. ერთი მხრივ, სოციალური და ნაშენი გარემო იწვევს საფრთხის შეგრძნების, ტრავმული გამოცდილების მუდმივ მოლოდინს და რეალური თავდასხმის მსხვერპლად აქცევს ქვიარ ადამიანებს. მეორე მხრივ, წარსულის ტრავმული გამოცდილებების შედეგად, ქვიარ ადამიანები თავად აყალიბებენ და უცვლიან ფორმას როგორც საკუთარ თავს, ასევე მათ გარშემო არსებულ ფიზიკურ თუ სოციალურ სივრცეს. ამ მხრივ, იკვეთება უსაფრთხო სივრცის, ქვიარ სხეულისა და იმ სტრატეგიების ფლუიდური, მუდმივად ცვლადი ხასიათი, რომელსაც ისინი მიმართავენ სივრცესთან სოციალური ინტერაქციისას.

საკვანძო სიტყვები: ტრავმა; ურბანული სივრცე; ქვიარ სხეული; ყოველდღიური ცხოვრება; ფლუიდურობა

1. შესავალი

საჯარო სივრცის კრიტიკული მნიშვნელობა ადგილობრივ კონტექსტში ქვიარ თემის ყოველდღიურ თუ საზოგადოებრივ ცხოვრებაში უკანასკნელ წლებში განსაკუთრებულად გამოჩნდა. თემის წარმომადგენლები, ისევე როგორც საზოგადოების სხვა წევრები, საკუთარი ადგილის, როლის და ზოგადად, ფიზიკური არსებობისთვის ხაზგასასმელად, ყოველდღიურ ცხოვრებაში იყენებენ ქუჩას, გამზირს, მოედანსა თუ პარკს. საკუთარი იდენტობის ღიად გამოხატვა საჯარო სივრცეში კი, აქტივიზმის სხვადასხვა ფორმით, გარკვეულწილად, ამ მიზანსაც ემსახურება (ჯანელიძე, 2018).

ჰომოფობიური განწყობებით გაჟღერებულ საზოგადოებაში მოძალადე, დომინანტური ჯგუფების მიერ ქვიარობის ინდივიდუალური თუ ჯგუფური ექსპრესია (ან მისი გაცხადებული მცდელობა) ძალადობრივი უკურეაქციის გამამართლებელ არგუმენტად განიხილება და ურბანულ სივრცეს ერთგვარ ბრძოლის ველად აქცევს (Shoshiashvili, 2021; პუბლიკა, 2021¹). ამ კუთხით, 17 მაისი და 5 ივლისი უკვე იქცა დომინანტი ჯგუფების მხრიდან საჯარო სივრცეზე ჯგუფური კონტროლის მოპოვების მცდელობის მაგალითებად, რომლებიც, თავის მხრივ, ქვიარ თემის წევრებისთვის ჯგუფური თუ ინდივიდუალური ტრავმული გამოცდილების ახალ ტალღად მოგვევლინა. ეს მკაფიოდ მიუთითებს საჯარო სივრცის სადავო ბუნებაზე და მასთან დაკავშირებული ქვიარ ცხოვრების ტრავმულ ხასიათზე.

2013 წლის 17 მაისს მცირერიცხოვან ქვიარ აქტივისტებზე თავდასხმისა და საპატრიარქოს მიერ თემისთვის სენსიტიური თარიღის „ოჯახის სინმინდის დღედ“ მონათვლის შემდეგ, საერთო ტრავმის მიუხედავად, სათემო ორგანიზაციებში განწყობები ქვიარ ხილვადობის პოლიტიკასთან დაკავშირებით მნიშვნელოვნად შეიცვალა. კონტექსტის გათვალისწინებით და ადამიანების ფიზიკური უსაფრთხოების მოტივით, მათმა ნაწილმა ხილვადობის პოლიტიკაზე ფოკუსი თემისთვის, განსაკუთრებით კი მონყვლადი წევრებისთვის, მიზნობრივი სერვისების მიწოდებით შეიცვალა. ამ მხრივ, მთავარ არგუმენტს წარმოადგენდა თემის წევრების ღირსეული ცხოვრების უზრუნველყოფა, რომელიც მათ სოციალურ თუ ეკონომიკურ გაძლიერებაზე გადიოდა. ქვი-

1 იხილეთ სტატია: <https://publika.ge/article/homo-bi-transfobia-romelic-quchebshi-grdzeldeba/> (ბოლო ნახვა: 20/08/2021).

არ აქტივიზმში ამ მნიშვნელოვანი ცვლილების მიუხედავად, სიღრმისეული დებატები თემს შიგნით თუ მის გარეთ, ღიად, მეტწილად არ მომხდარა. შესაბამისად, არ არის გასაკვირი, რომ თემის წევრების ჩაგვრის სხვადასხვა ფორმაზე მსჯელობისას, აქცენტი ყოველთვის ქვიარ ხილვადობის პოლიტიკაზე გადადის. თუმცა, აქტივიზმის ამ ფორმის მიღწევაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ თუკი ადრე „ქართველი გეი არ არსებობდა“, საზოგადოებრივ ცხოვრებაში დღეს მეტწილად შედგა კონსენსუსი, რომ ქვიარ თემი ნამდვილად არსებობს. აღსანიშნავია, რომ 2013 წელთან შედარებით, თბილისის მოსახლეობის უმრავლესობა არ ემხრობა ფიზიკურ ძალადობას (Sichinava and Saldadze, 2021). მიუხედავად ამისა, ჰომოფობიური განწყობები კვლავ დომინირებს ქართულ საზოგადოებაში (Babunashvili and Gilbreath, 2021).

დაკავშირებულია რა ჯანმრთელობისა და ფიზიკური არსებობის რისკებთან, ქვიარ სხეული, როგორც ბიოლოგიური და სოციალური ერთეული, სავსებით შესაძლებელია გაქრეს საჯარო სივრციდან. ამას ადასტურებს როგორც ნახსენები ორი თარიღის გამოცდილება, ასევე, ქვიარ ადამიანებზე სხვა, ჯგუფური თუ ინდივიდუალური თავდასხმები და მათი მკვლელობის შემთხვევები. ამ მოცემულობაში, ქვიარ სხეულისთვის არ რჩება უსაფრთხო საცხოვრებელი სივრცე, რომელიც ინდივიდს არათუ თვითრეალიზაციის, არამედ ფიზიკური გადარჩენის შესაძლებლობას მაინც მისცემს. ამ საკითხებზე ნაწილობრივ გაგვცემს პასუხს ქვიარ სხეულსა და სივრცეს შორის ინტერაქციაზე დაკვირვება.

ჯუდით ბათლერი (1993) სხეულის მატერიალურ განზომილებას აქცევს მნიშვნელოვან ყურადღებას და მიიჩნევს რომ სწორედ ის უნდა იყოს გენდერისა და სექსუალობის კვლევის მთავარი ელემენტი. იგი ხაზს უსვამს თუ როგორ აყალიბებს ჰეტერონორმატიულობა სხეულსა და გენდერს, როგორც მისთვის სასურველ მატერიალურ ფორმებს და მხოლოდ მათ მიიჩნევს სიცოცხლისუნარიან აქტორებად. ქრონიკული დევნა, თავდასხმები, გაძევება ან სივრცის წინასწარ მოკავება ის მექანიზმებია, რომლებიც ქვიარ სხეულს საჯარო სივრციდან რიყავს. ბათლერის პერსპექტივიდან, ეს სწორედ ის ჰეტერონორმატივიზმია, რომელიც ცდილობს სხეულის, როგორც ქვიარ იდენტობის მთავარი მატერიალური ელემენტის მარგინალიზებას.

ქვიარ სხეულის დევნისა და მარგინალიზების მცდელობის მაგალითები კი ქართულ რეალობაში უკვე მრავალი წელია თვალსაჩინო გახდა: 17 მაისების ძალადობრივი ქრონიკა, ანტი-გეი გამოსვლები, რომლებიც ქვიარ ადამიანების დევნას ემსახურება, ტრანსგენდერი ადამიანების მკვლელო-

ბები, ლგბტკი სათემო ორგანიზაციების დისკრედიტაცია და მათი ოფისების დარბევა ის მცირე ჩამონათვალია, რომელიც პირდაპირ თუ ირიბად გავლენას ახდენს, პირველ რიგში, ქვიარ ადამიანების ცხოვრებაზე, შემდგომ კი მთლიან საზოგადოებაზე. ამავდროულად, შესაძლოა, გაცილებით საზიანო აღმოჩნდეს ყოველდღიური ძალადობრივი თუ დისკრიმინაციული გამოცდილებები, რომლებიც ლგბტკი ადამიანების ცხოვრებაში ქრონიკულ ხასიათს ატარებს და ფართო საზოგადოებისთვის შეუძინველი რჩება.

ადგილობრივ კონტექსტში, საჯარო სივრცეში ქვიარ ტრავმის შესახებ აქამდე არსებული დისკუსიები ძირითადად ხილვადობის პოლიტიკის და მისი საჯარო ხასიათის შესახებ მსჯელობას ეთმობა (მელაშვილი, 2014; ჰაინრიჰ ბილის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონული ბიურო, 2016; ნახუცრიშვილი, 2018; ჯანელიძე, 2018). მიუხედავად ამისა, ტრავმული გამოცდილებების პრიზმიდან, საჯარო სივრცისა და ქვიარ სხეულის ინტერაქციაზე დაკვირვება შედარებით ნაკლებად გვხვდება მსგავს დისკუსიებში. ხშირ შემთხვევაში, ასევე ბუნდოვანია რა მოიაზრება კონკრეტულად როცა ვსაუბრობთ საჯარო სივრცეზე. მოიცავს ეს ონლაინ სივრცეს? სოციალური მედიის პლატფორმებს? ტრადიციულ მედიას? ქუჩას, მოედანს, ქალაქს? თუ ყველაფერს ერთად აღებულს?

ეყრდნობა რა ქვიარ ტრავმის, სივრცისა და ინდივიდუალური სხეულის გეოგრაფიულ კონცეპტუალიზაციას ფემინისტური პერსპექტივიდან, კვლევა მიზნად ისახავს, თემის წევრების ტრავმული ცხოვრების ანალიზს ურბანულ გარემოში. კერძოდ, თუ რა გავლენა აქვს მატრავმირებელ მოვლენებს ქვიარ ადამიანების ყოველდღიურ ცხოვრებაზე, სივრცის მიმართ დამოკიდებულებასა და მასთან ინტერაქციის თავისებურებაზე. საჯარო სივრცედ აქ აღვიქვამთ იმ ურბანულ გარემოს, სადაც ქვიარ ადამიანებს უწევთ ყოველდღიური საქმიანობის წარმართვა – სამსახური, ქუჩა, პარკი, მეგობრების სოციალური გარემო თუ ისეთი ქვიარექსკლუზიური სივრცეები, როგორებიცაა კაფე-ბარები თუ ლამის კლუბები.

1.1. კვლევის სტრუქტურა

ტექსტი შედგება რამდენიმე ძირითადი ნაწილისგან, რომელიც ეტაპობრივად გვაახლოებს საკვლევ საკითხთან და გაგვაცნობს მის დასკვნებს.

მომდევო ნაწილი ეთმობა თეორიულ მიმოხილვას ტრავმის, სხეულისა და სივრცის ურთიერთკავშირის კონცეპტუალური ჩარჩოს ჩამოყალიბების

მიზნით. აქ, პირველ რიგში, განვიხილავთ ტრავმის ბუნებას ფემინისტური გადმოსახედიდან. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ტრავმული გამოცდილების განგრძობით ეფექტს ინდივიდის ცხოვრებაზე, დანაკარგისა და ტრავმის დაძლევის საკითხებზე მსჯელობით.

ტრავმის თეორიული განხილვის შემდეგ, ვსაუბრობთ სხეულისა და სივრცის მნიშვნელობასა და როლზე. ქვიარ თემის ტრავმული გამოცდილებისა და მისი შედეგების შესასწავლად ეს ორი კონცეფცია ძალზედ ღირებულია. გვეხმარება რა უკეთ აღვიქვათ პროცესების დინამიური ხასიათი, სხეულისა და სივრცის კონსტრუქტივისტული პოზიციიდან განხილვისას მეტი სიცხადით ჩანს მათი ურთიერთდამოკიდებული ხასიათი. ასევე იკვეთება ტრავმული გამოცდილების ზეგავლენა სხეულისა და სივრცის ურთიერთობაზე.

თეორიული ჩარჩოს ჩამოყალიბების შემდეგ აღვწერთ სავსე სამუშაოების ხასიათსა და კვლევის დიზაინს. ამ ნაწილში უფრო კონკრეტულად ვსაუბრობთ მეთოდოლოგიასა და იმ ხელსაწყოებზე, რომლებიც გამოვიყენეთ შეგროვებული ემპირიული მასალის ანალიზისთვის და კვლევის ნარატივის გასაერთიანებლად. აქვე მიმოვიხილავთ კვლევის ეთიკურ განზომილებას და ავტორების პოზიციონირებას.

მეთოდოლოგიის შემდეგ გადავდივართ ემპირიული მასალის ინტერპრეტაციაზე. ამ ნაწილში განვიხილავთ კვლევის მთავარ მიგნებებს თეორიული ჩარჩოს კონტექსტში. რესპონდენტების მონათხრობის ანალიზი ნათლად გვაჩვენებს ქვიარ ადამიანების ყოველდღიურ ცხოვრებაზე ტრავმის ქრონიკულ ზეგავლენას. თავის მხრივ, ეს განსაზღვრავს როგორ აღიქვამენ ისინი თავიანთ სხეულსა და იმ სივრცეს, სადაც უწევთ ცხოვრების წარმართვა. შეცვლილი ქცევები, ინსტინქტები, გაუცხოება, შიშისა და შფოთვის მუდმივი შეგრძნება საჯარო სივრცეში გადაადგილებისას და, ერთმანეთისგან განსხვავებული, თუმცა საფრთხის შემცველი მოვლენები მეტი სიმძაფრით გვაჩვენებს იმ სტრატეგიების აუცილებლობას, რომელსაც თემის წევრები მიმართავენ ფიზიკური თვითგადარჩენის მიზნით. დასკვნით ნაწილში, ასევე ვსაუბრობთ როგორ აღიქვამენ ქვიარ ადამიანები სოლიდარობას და რა რისკებს ხედავენ, როგორც თემის გარედან, ასევე თემის შიგნიდან საკუთარი დღის წესრიგის წარმართვის კუთხით.

2. თეორიული ჩარჩო

მოცემულ ნაწილში წარმოდგენილია თეორიული ჩარჩო, რომელიც ეყრდნობა მნიშვნელოვან ცნებებსა და მიდგომებს ტრავმის, სივრცისა და სხეულის ურთიერთკავშირის შესახებ. პირველ რიგში, მიმოვიხილავთ ტრავმის რაობას, მის განგრძობით ეფექტებსა და მასთან გამკლავების შესახებ არსებულ აკადემიურ ცოდნას. ამის შემდეგ კი, განვიხილავთ სხეულსა და სივრცეს შორის ინტერაქციის ხასიათს. ამ ნაწილში სხეულსა და სივრცეს განვიხილავთ როგორც სოციალურ კონსტრუქტებს და ყურადღებას ვამახვილებთ ტრავმული გამოცდილებისა და შიშის როლზე ურბანული სივრცის უსაფრთხოდ აღქმის კუთხით.

2.1. ტრავმის ბუნება

აკადემიურ თუ სახელოვნებო სივრცეებში ტრავმის კვლევა სხვადასხვა მიმართულებით ვითარდება. ტრავმა, ერთი მხრივ, განიხილება როგორც ფსიქიკური აშლილობის შესაძლო მიზეზი, მეორე მხრივ, მას აქვს კოლექტიური და ტრანსგენერაციული, ორგანიზაციული და სოციალური, კულტურული და პოლიტიკური განზომილებები. მოცემულ კვლევაში ტრავმის ტრადიციულ გაგებას ვეყრდნობით. ტრავმა ბერძნულიდან სიტყვასიტყვით ჭრილობას (ავტ.) ნიშნავს, მე-19 საუკუნიდან კი ტრავმის გაგება დაუკავშირდა ადამიანის ფსიქიკურ ჯანმრთელობას. ამავდროულად, ფსიქოტრავმის თეორიის ფემინისტური პერსპექტივა გვაჩვენებს თუ როგორია ტრავმის კვალი უმცირესობის ჯგუფებში და საზოგადოების მარგინალიზებულ ნაწილებში.

ტრავმის შედეგების გააზრებაში გვეხმარება ფსიქიკური ჯანმრთელობის სფეროში არსებული ცოდნა მის შესახებ. მაგალითად, ფსიქიკურ აშლილობათა სადიაგნოსტიკო და სტატისტიკური სახელმძღვანელოს მეხუთე გამოცემის თანახმად, ტრავმული გამოცდილება განისაზღვრება როგორც ინციდენტი, როდესაც ადამიანის სიცოცხლეს საფრთხე დაემუქრა ან სერიოზულად დაზიანდა. თავად ინციდენტი კი შესაძლოა შეფასდეს როგორც ტრავმული მოვლენა ან პოტენციურად მატრავმირებელი მოვლენა (American Psychiatric Association, 2013).

ამ დროისთვის, პოსტტრავმული სტრესული აშლილობა საუკეთესოდაა შესწავლილი, რომელიც თავისი სიმპტომების შინაარსით დაგვანახვებს ტრავმული გამოცდილების ზეგავლენის არეალს, თუმცა ეს არ არის ერთადერთი მდგომარეობა, რომელიც ტრავმული გამოცდილების შემდეგ შეიძლება განვითარდეს. პოსტტრავმულ სტრესულ აშლილობას სამი ძირითადი განზომილება აქვს: 1. ტრავმული მოვლენის განმეორებითი განცდა, თითქოს ის აწმყოში ხდებოდეს; 2. ტრავმული მეხსიერებისთვის თავის არიდება; 3. საფრთხის მუდმივი მოლოდინი ან შეგრძნება აწმყოში (Rothblum, 2020).

ცხრილი 1: პოსტტრავმული სტრესული აშლილობის ძირითადი სიმპტომები. წყარო: გელდერი და სხვ., 2006).

<p>პოსტტრავმული სტრესული აშლილობის ძირითადი სიმპტომები:</p> <ol style="list-style-type: none">1. ტრავმული გამოცდილების შემოჭრა აწმყოში: ინტენსიური, შემოჭრითი ხატები; „ფლეშბექი“; განმეორებითი დისტრესული სიზმრები.2. ტრავმული მეხსიერებისთვის თავის არიდება: სტრესული მოვლენების საკუთარი ნებით გახსენების სირთულე; სტრესულ მოვლენასთან დაკავშირებულ სხვა მოვლენებისთვის თავის არიდება; გაუცხოება; ემოციების განცდის უუნარობა; ინტერესების დაკარგვა.3. საფრთხის მუდმივი მოლოდინი ან შეგრძნება აწმყოში: მუდმივი შფოთვა; გალიზიანებადობა; ძილის დარღვევები; კონცენტრაციის სირთულე.

თანამედროვე შეფასების ინსტრუმენტებში, სიმპტომთა სამ განზომილებას ემატება მეოთხე, რომელიც ადამიანის ფუნქციონირების ხარისხს განსაზღვრავს, რადგან ტრავმული გამოცდილებებით გამოწვეული სირთულეები გავლენას ახდენს ფუნქციურ უნარებზე, მაგალითად, შრომის უნარზე, ყოველდღიური საქმიანობის შესრულების უნარზე, ურთიერთობების ჩამოყალიბებისა და შენარჩუნების უნარზე და სხვა.

ტრავმის თეორიის დასავლური პრედომინანტური პარადიგმა ფროიდიანული ანალიზის ძლიერ ზეგავლენას განიცდის, რადგან ტრავმის თავ-

დაპირველი თეორეტიზაცია სწორედ ფროიდის სახელს უკავშირდება, როდესაც ის, ბროიერთან ერთად, კვლევაზე მუშაობდა (Nemiah, 1996). ფროიდიანული ანალიზის თანახმად, ტრავმა უფრო მეტად ადამიანის შინაგან კონფლიქტებთან არის კავშირში, იგი ინდივიდუალური გამოცდილებაა და კულტურალური თვალსაზრისით, გარკვეულწილად, ტენდენციურია ევროპელი თეთრკანიანების მიმართ. ფემინისტი მკვლევრები ფიქრობენ, რომ ამგვარი გაგება ყურადღების მიღმა ტოვებს ტრავმის ისტორიულ და პოლიტიკურ მდგენელებს (Fassin and Rechtman, 2007). ამავდროულად, ყურადღების მიღმა რჩება ტრავმის უწყვეტი ბუნება, განსაკუთრებით, მარგინალიზებული ჯგუფების შემთხვევაში და ოჯახური თუ გენდერის ნიშნით ძალადობის შემთხვევებში. ამის საპირისპიროდ, მარგინალიზებული ჯგუფების ტრავმული გამოცდილებების შესწავლით, დავინახავთ თუ როგორ ხდება ძალადობის ეტაპობრივი ლეგიტიმაცია და ნორმალიზება (Pain, 2019).

ფემინისტური თეორია ასევე განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ტრავმული გამოცდილების კოლექტიურ ბუნებას, რაც არსებითია სოციალური ძალადობის განმეორებითი და ხანგრძლივი ფორმების მატრავმირებელი შედეგების ხარისხისა და მასშტაბის გასააზრებლად, მაგალითად მონობის, კოლონიალიზმისა და რასიზმის შემთხვევებში (Pain, 2019). აღნიშნული კრიტიკა პოსტსაბჭოთა სივრცეებს ანალოგიურად მიესადაგება, მასობრივი ტერორისა და დევნის წარსული გამოცდილებების გათვალისწინებით, რაც სწორედ კოლექტიური ტრავმის ქრილში უნდა გაანალიზდეს (ჯავახიშვილი, 2018).

ფსიქიატრი და მკვლევარი ჯუდით ჰერმანი (1994) აღნიშნავს, რომ ტრავმის გაგება წარსულის ხელახალი აღმოჩენით იწყება. იგი ფსიქოლოგიურ ტრავმას ახასიათებს როგორც დროში დაკარგვას, როდესაც რთულია გაარჩიო წარსული და აწმყო, თითქოს ორმაგ რეალობაში ცხოვრობდე. ჰერმანი ამ მდგომარეობას „პოსტტრავმულ გონებასაც“ უწოდებს. მან განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია გენდერის ნიშნით ძალადობის გამოცდილებებს და ტრავმა დაუკავშირა ძალადობის ისეთ ფორმებს, როგორებიცაა ოჯახში ძალადობა, ბავშვზე ძალადობა, პოლიტიკური ნიშნით ძალადობა. ჰერმანი ფსიქოლოგიური ტრავმის შესწავლის ისტორიულ კონტექსტს მიმოიხილავს და მიუთითებს, რომ ამ მიმართულებით კვლევის წარმოება პოლიტიკური საკითხია, რადგან ფსიქოლოგიური ტრავმა უმეტესწილად ჩაგრული ჯგუფების გამოცდილებისადმი ყურადღების

მიქცევას მოითხოვს. ტრავმის კვლევის ისტორია თავადაც თვალსაჩინო ნიმუშია თუ როგორ შეიძლება იჩაგრებოდეს ესა თუ ის ჯგუფი/თეორია დომინანტური პოლიტიკის გავლენით (1994, გვ. 7). მაგალითად, მთავრობების მიერ, მასობრივ ძალადობაში მონაწილე დამნაშავეთა ამნისტიას, ჰერმანი უნოდებს ტრავმული გამოცდილებების პოლიტიკურ ამნეზირებას, რომელიც ხელს უშლის საზოგადოების გაჯანსაღებასა და ტრავმის დამაზიანებელი შედეგებისგან აღდგენის პროცესს, რადგან ტრავმული მეხსიერების გააზრება ამისათვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პირობას წარმოადგენს.

მარგინალიზებული ჯგუფების გამოცდილების კვალობაზე ნათლად გამოჩნდა ტრავმის ქრონიკული ბუნება, რადგან ამ ჯგუფებისთვის ტრავმული გამოცდილებები ყოველდღიურ ხასიათს ატარებს. ქრონიკული ტრავმის ცნების განვითარების შედეგად, ფსიქიკური ჯანმრთელობის სფეროში გაჩნდა კომპლექსური პოსტტრავმული სტრესული აშლილობის დიაგნოზი, რომელიც გულისხმობს პოსტტრავმული სტრესული აშლილობის „დროში გახანგრძლივებულ, დამაზიანებელი ზეგავლენის მქონე, პროგრესირებად ფორმას“. ქრონიკული ტრავმის გავრცელებული შედეგები მოიცავს დეჰუმანიზების განცდას, იდენტობის ცვლილებას, ბრახს, დეპრესიას, თვითსიძულვილსა და სუიციდალობას. ამგვარად, ეჭვქვეშ დადგა ტრადიციული გაგება, რომ ტრავმა ერთჯერადი, დრამატული წყვეტა ინდივიდის წარსულსა და აწმყოს შორის.

ჰერმანის თანახმად (1992), გენდერის ნიშნით ძალადობით გამოწვეული ქრონიკული ტრავმის შენარჩუნებას/განგრძობითობას ხელს უწყობს სხვა სისტემების განზე დგომა, რაც სხვადასხვა ჯგუფზე ძალადობის ნორმალიზებას ახდენს. ჰერმანის თანახმად, ტრავმის ქრონიკულ ბუნებას ქმნის სამი ძირითადი ფაქტორი: 1. ძალადობა განმეორებითი ხასიათისაა; 2. მოძალადე მჭიდროდ აკონტროლებს მსხვერპლს, მოძალადის ძალაუფლება მზარდია; 3. მსხვერპლს აქვს მოძალადისგან თავის დაღწევის შემცირებული შესაძლებლობა, მსხვერპლის ძალაუფლება კლებადია (Pain, 2019).

ამ დაშვებებს ქვიარ თემის გამოცდილებებს თუ მივუსადაგებთ, გამოჩნდება ქრონიკული ტრავმის ძირითადი ნიშნები: 1. განმეორებითი ძალადობრივი ეპიზოდები, მზარდი სიძულვილი და მიუღებლობა, უსაფრთხო სივრცის მოპოვების სირთულე (ძალადობის უწყვეტი ხასიათი); 2. მუდმივი ძალადობრივი გარემო ქვეყნის დატოვების სურვილს აძლიერებს და ერთგვარ მახეში ყოფნის შეგრძნებას ქმნის (მოძალადისგან თავის დაღწევის

სირთულე, მსხვერპლის ძალაუფლების შემცირება); 3. ორთოდოქსული ეკლესიის ძალაუფლების ზრდა, ულტრამემარჯვენე ჯგუფების მომრავლება და მათი ფორმირება პოლიტიკურ პარტიებად (მოძალადის მიერ კონტროლის ზრდა).

ტრავმული გამოცდილებიდან აღდგენის პროცესი კი ბუნდოვანია, რადგან ამ გამოცდილებების დასაძლევად ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტს სოლიდარობა, ადამიანური მხარდაჭერა წარმოადგენს, როგორც თემის შიგნით, ასევე ფართო საზოგადოების მხრიდან. თანამედროვე კვლევები აქცენტს სვამს საზოგადოების ჩართვის აუცილებლობაზე ტრავმული გამოცდილებების გადამუშავების პროცესში, განსაკუთრებით, როდესაც ტრავმა რომელიმე სოციალურ ჯგუფს უკავშირდება. ემპირიული მონაცემები მონიშნობს, რომ სოციალური მხარდაჭერის არარსებობა და კონტექსტუალური ცხოვრებისეული სტრესორები (მაგ. სტიგმა, ბულინგი, მიკროაგრესია) წარმოადგენს ორ გამორჩეული რისკ-ფაქტორს, რომლის არსებობის შემთხვევაშიც იზრდება ტრავმასთან დაკავშირებული ფსიქიკური აშლილობების განვითარების ალბათობა (Brewin, et al., 2000)

ტრავმის ერთ-ერთი ძირეული მახასიათებელი, რომელიც ადამიანის ცხოვრების ყველა სფეროზე ახდენს გავლენას, ძალაუფლებისა და კონტროლის დაკარგვაა, როგორც საკუთარ სხეულზე, ისე გარე სივრცეებზე. ადამიანი, როგორც წესი, თავს ვერ გრძნობს უსაფრთხოდ საკუთარ სხეულშიც, კარგავს კონტროლს საკუთარ აზრებსა და ემოციებზე. მუდმივი საფრთხის მოლოდინი და ზესიფხიზლე სწორედ ამგვარი გამოცდილებისთვის დამახასიათებელია. ადამიანი ნდობას კარგავს სამყაროს მიმართ და ხშირ შემთხვევაში სოციალურ გაუცხოებას განიცდის. ასევე, ნდობა საკუთარი თავის მიმართაც იკარგება; ასეთ დროს, დიდია რისკი იმისა, რომ ინდივიდმა დათმოს აგენტობა და სხვებს მიანდოს თავისი გადანყვეტილებები, რაც მის მდგომარეობას კიდევ უფრო აუარესებს, რადგან სულ უფრო მცირდება კონტროლისა და ძალაუფლების შეგრძნება (Herman, 1994, გვ. 74).

ქრონიკული ტრავმა უხილავი ხდება გარე თვალისთვის; მისი ნორმალიზების ხარჯზე. ამგვარ ძალადობრივ გამოცდილებებში კი განსაკუთრებულ როლს თამაშობს ფსიქოლოგიური ძალადობა, რომელიც მთავარი კომპონენტია მოძალადისა და მსხვერპლის ურთიერთობის დინამიკაში და თანაბარ, ან უფრო მეტ შიშსა და ტრავმას აწარმოებს, ვიდრე ფიზიკური ძალადობა (Pain, 2019).

2.1.1. ტრავმა და დანაკარგი

ტრავმა გარდაუვლად დაკავშირებულია დანაკარგთან. მიუხედავად იმი-სა, ტრავმული მოვლენა მოიცავს ფიზიკურ დანაკარგს თუ არა, ფსიქოლო-გიური დანაკარგი ყოველთვის სახეზეა. ამის მაგალითი თუნდაც ნდობის, უსაფრთხო სივრცის და სოციალური კავშირების დაკარგვაა. დანაკარგის აღიარება და გამოგლოვება მნიშვნელოვანი ეტაპია ტრავმული გამოცდი-ლების გადამუშავების პროცესში, თუმცა, ტრავმირებული ადამიანი ხში-რად შესაძლოა თავს არიდებდეს გლოვის პროცესს, რადგან მას აღიქვამ-დეს როგორც დამარცხებას/დანებებას.

გლოვა, როგორც წესი, დაკავშირებულია ისეთ ემოციებთან, როგორე-ბიც არის სევდა, მწუხარება, დარდი და მოიაზრებს დანაკარგის აღიარე-ბას. ამ პროცესის სირთულიდან გამომდინარე, ხშირად ტრავმირებული ადამიანი ავითარებს ფანტაზიებს გლოვის შესანიღბად თუ უარსაყო-ფად. შედეგად, გლოვის ეტაპი, თუ იგი უარყოფილია, ხშირად ხდება ე.წ. „გაჭედვის“, სტაგნაციის პერიოდი ტრავმისგან აღდგენის პროცესში. მაგალითად, შესაძლოა ტრავმული გამოცდილების შემდეგ, ადამიანს გაუჩნდეს შურისძიების, პატიების ან კომპენსაციის ფანტაზიები. შუ-რისძიების ფანტაზია გულისხმობს წარმოდგენას, რომ ტრავმირებული ადამიანი მოძალადეს განაცდევინებს იმას, რასაც თვითონ განიცდიდა. ამგვარად, იგი იდენტიფიცირდება მოძალადესთან და ტრავმული მეხსი-ერება სარკისებურად ტრიალდება. ფანტაზია პატიების შესახებ საპი-რისპიროა შურისძიების ფანტაზიისა. ამ გზით ადამიანი გვერდს უვლის საკუთარ რისხვას მოძალადის მიმართ და ცდილობს მას სიყვარული შე-უპირისპიროს. იგი ფიქრობს, რომ თუ აპატიებს მოძალადეს და სიყვა-რულს გამოიჩენს მის მიმართ, ტრავმული გამოცდილებისგან გათავი-სუფლდება. თუმცა ტრავმა არ განიღვენება არც სიყვარულით და არც სიძულვილით. ხშირად პატიების ფანტაზიაში ყოფნა წამებად იქცევა ადამიანისთვის, რადგან ეს ურთულესი ამოცანაა. რელიგიური თვალსაზ-რისითაც კი, პატიება არ არის უპირობო და იგი მოძალადისგან/დამნაშა-ვისგან სინანულს მოითხოვს. კომპენსაციის ფანტაზია კი გულისხმობს მდგომარეობას, როდესაც ტრავმირებული ადამიანი ელოდება, რომ მისი დანაკარგი ანაზღაურდება. სინამდვილეში, ეს შეუძლებელია და ტრავმი-რებულ ადამიანს კიდევ უფრო აჯაჭვებს მოძალადეს, რადგან თუ მოძა-ლადე მას დანაკარგს არ „აუნაზღაურებს“, ტრავმირებული ადამიანი ამ გამოცდილებას ვერ გადაამუშავებს. შესაძლოა ასეთ დროს კომპენსაცი-

ის ფანტაზია არამხოლოდ მოძალადის მიმართ გაჩნდეს, არამედ ყველა გარშემომყოფის მიმართაც. სამივე ტიპის ფანტაზია გვაშორებს რეალობისგან და ხელს უშლის ტრავმული გამოცდილების დაძლევის პროცესს, რომელშიც დანაკარგის აღიარება და გამოგლოვებაა საჭირო, რადგან გლოვას სწორედ აღდგენისა და განახლების ფუნქცია აქვს (Herman, 1994, გვ. 175).

ქვიარების ცხოვრებაში გლოვის პროცესს ხშირად დამატებით სირთულეები ახლავს, რადგან როგორც წესი ფარულად მიმდინარეობს, რამდენადაც არ აქვს აღიარება და მხარდაჭერა სოციალური ქსელის მხრიდან. გარდა ამისა, მარგინალიზებული ჯგუფების დანაკარგი ნაკლებად იწვევს თანაგრძნობას საზოგადოებაში.

2.1.2. ტრავმის დაძლევა

ტრავმას სტრუქტურული ხასიათი აქვს, რაც ნიშნავს იმას, რომ გარე სამყაროს უმნიშვნელოვანესი გავლენა აქვს ტრავმირებული მდგომარეობის გამწვავებასა და დროში გახანგრძლივებაზე. ისევე როგორც, „პოსტტრავმული გონებიდან“ გამოსვლა სწორედ გარე სამყაროს/სისტემების დახმარებით შეიძლება მოხდეს.

ტრავმული გამოცდილებიდან აღდგენის ძირეული მახასიათებლები გაძლიერება და კავშირების განახლებაა. კავშირი აღდგება როგორც საკუთარ სხეულთან ისე სხვა ადამიანებთან. საბოლოოდ საბოლოოდ კი, ადამიანის ღირებულებები და რწმენა სამყაროს მიმართ. ჯგუფის სოლიდარობას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ტრავმული გამოცდილების დაძლევაში, რადგან სწორედ ეს არის ტრავმის ანტიდოტი. ტრავმა ადამიანის იზოლირებასა და დეჰუმანიზებას ახდენს, იგი ხშირად იწვევს სირცხვილისა და დანაშაულის განცდებს, სტიგმატიზებას. ჯგუფის მხარდაჭერა კი აღადგენს და აძლიერებს სოციალური მიკუთვნებულობის განცდას, რაც ადამიანს ეხმარება ნეგატიური გამოცდილების დაძლევაში (Herman, 1994, გვ. 196).

აღდგენის პროცესი სხვადასხვაგვარად მიმდინარეობს ერთჯერადი და ქრონიკული ტრავმების შემთხვევაში. ერთჯერადი ტრავმული გამოცდილება როგორც წესი არ გადაიზრდება ფსიქოლოგიურ პრობლემებში, თუ ადამიანს ჰყავს მხარდამჭერი სოციალური წრე. ქრონიკული ტრავმა, როგორც არის ძალადობრივი გამოცდილებები (ოჯახში ძალადობა, გენდერის ნიშნით ძალადობა და სხვ.) გაცილებით რთულად დასაძლევიან,

მით უმეტეს, თუ ძალადობა/ძალადობრივ გარემოში ცხოვრება ანმყოშიც გრძელდება.

აღდგენისა და განკურნების უმნიშვნელოვანესი საფეხური სწორედ ბაზისური უსაფრთხოების, ნდობის აღდგენაა გარემოს მიმართ. ტრავმის დასაძლევად დიდი მნიშვნელობა აქვს თუნდაც ნაწილობრივ უსაფრთხო სივრცის არსებობას, სადაც ადამიანი შეძლებს საკუთარი ტრავმული გამოცდილების რეკონსტრუქციას და ინტეგრირებას, რის შედეგადაც შეწყვეტს ტრავმული მექანიზმებისგან გაქცევას (Herman, 1994, გვ. 175). ქვიარ ადამიანებისთვის რთულია რეალურად უსაფრთხო სივრცეების მოპოვება, სადაც აღნიშნული პროცესების გააზრება და ინტეგრაცია მოხდება. თემში ნაკლებად არსებობს კონსენსუსი ტრავმული გამოცდილებების შესახებ, მაგალითად, ერთი ჯგუფი შესაძლოა 17 მაისის თუ 5 ივლისის მოვლენებს გამარჯვებად მიიჩნევდეს, მეორე ჯგუფი კი გლოვობდეს ამ თარიღების გამო. ამგვარი პოლარიზაცია იწვევს დაბნეულობასა და დეზორგანიზებას თემის შიგნით. უსაფრთხო სივრცეები კი, სადაც მსგავსი გამოცდილებების სახელდება და ანალიზი მოხდება, ქოტურია, ან სოციალურ ქსელებში, ვირტუალურ პლატფორმებზე ინაცვლებს, რასაც ერთგვარად არააუთენტური ხასიათი აქვს და გულწრფელი ემოციების, შიშების, დაბნეულობის თუ უნდობლობის გამოხატვის საშუალებას ნაკლებად იძლევა.

გაჯანსაღების/აღდგენის მნიშვნელოვანი პირობა ასევე ძალაუფლებისა და კონტროლის უკან დაბრუნებაა, რადგან, როგორც ზემოთ აღინიშნა, ქრონიკული ტრავმა მსხვერპლში უმწეობის განცდას აძლიერებს. კონტროლის დაბრუნება, როგორც წესი, საკუთარი სხეულით იწყება. ეს არის პირველი ნაბიჯი ტრავმული გამოცდილების დაძლევისას და ეტაპობრივად ვრცელდება გარე სამყაროზე.

ბოლოს, ტრავმის აღქმის კულტურულ თავისებურებებს ასევე მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ მის დაძლევაში (Pain, 2019). ტრავმული გამოცდილების სიმწვავეს ხშირად დიდწილად განსაზღვრავს დამოკიდებულებები და მოლოდინები გარე სამყაროს მხრიდან: როგორ განისაზღვრება ტრავმირებული ადამიანის ქცევა, როგორ უნდა უამბოს მან თავისი ისტორია მსმენელს, სჯერა საზოგადოებას ტრავმირებული ადამიანის მონათხრობის თუ მას ადანაშაულებს მომხდარში? ხშირად ტრავმაგამოვლილ ადამიანებს უჭირთ თავიანთ გამოცდილებაზე საუბარი, რაც შესაძლოა სხვადასხვაგვარ რეაქციებს ან უნდობლობას იწვევდეს მსმენელში. ზოგჯერ, გარე სისტემები ტრავმირებულ ადამიანს უუნაროდ მიიჩნევენ, არ-

თმევენ მას დამოუკიდებლად მოქმედების საშუალებას, ან მისი, როგორც მსხვერპლის ეგზოტიზაციას ენევიან. ინდივიდის სიმპტომებზე კონცენტრირებით კი, სიმძიმის ცენტრის გადატანა ტრავმირებული ადამიანის უნარებსა და შესაძლებლობებზე ხდება, რაც ანალიზის მიღმა ტოვებს სისტემას, რომელიც არ მუშაობს ქრონიკული ტრავმის „შენწყვეტაზე“. ამიტომ არის მნიშვნელოვანი ამ გამოცდილების გააზრება დიაგნოზების მიღმა, მისი სოციალური და პოლიტიკური კონტექსტის გათვალისწინებით.

2.1.3. ურბანული ტრავმა და აქტივიზმი

რეიჩელ პეინის (2019) ურბანული ტრავმის თეორიულ ჩარჩოში ურბანული ტრავმა განისაზღვრება, როგორც ქალაქში მომხდარი ძალადობის ფსიქოლოგიური ეფექტი – ქრონიკული, კოლექტიური, სივრცითი განზომილება, რომელიც სხვადასხვა დონეზე ერთდროულად ოპერირებს. ურბანული ტრავმა დაკავშირებულია გლოვასა და დანაკარგთან, განსაკუთრებით კი უსაფრთხო სივრცეების, სივრცეზე კონტროლის, სივრცისადმი მიკუთვნებულობის დაკარგვასთან (Pain, 2019).

ინდივიდუალური ტრავმული გამოცდილების ფართო საზოგადოებრივ მოძრაობად გარდაქმნის შესახებ გვიყვებიან ჰართალი და მისგავი (2021). ისრაელის მაგალითზე ისინი განიხილავენ ქვიარ ტრავმებისა და აქტივიზმის მიმართებას, რომ აქტივიზმმა შესაძლოა მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს დანაკარგის ჯანსაღ გამოგლოვებასა და სივრცეების დაბრუნებაში, თუნდაც მემორიალიზაციის გზით. აღნიშნულ კვლევაში, ტრავმა განიხილება ურბანული სოციალური მოძრაობის თეორიის პერსპექტივიდან და განიმარტება, როგორც სოციალურ მოძრაობებსა და პოლიტიკაზე გავლენის მქონე სივრცითი კონსტრუქტი. ქვიარების ურბანულ ტრავმაში მოიაზრება ისეთი გამოცდილებები, რომლებშიც ლგბტკი ადამიანები ზიანდებიან თავისი იდენტობის ან მონაწილეობის გამო.

ლგბტკი თემში არსებული ტრავმული გამოცდილებები გავლენას ახდენს აქტივიზმის სივრცით პოლიტიკაზე, ურბანულ განაწილებასა და უსაფრთხო სივრცეების მოპოვების შესაძლებლობაზე. ორივე ქალაქს, თელავივსა და იერუსალიმს აქვს ლგბტკი თემის მიმართ ძალადობის მსგავსი გამოცდილება. მისგავი გამოყოფს აქტივისტური რეაქციის ორ პატერნს: მყისიერი, რადიკალური, სადაც ბრაზისა და რისხვის ემოციებია წამყვანი და, ძირითადად, ქვიარ აქტივისტებისგან შედგება. ამგვარი რეაქცია, როგორც წესი, ხანმოკლე და მცირემასშტაბიანია; 2. დროში გადავადებული,

სტრუქტურირებული, სხვა სივრცეში გადატანილი, ფართომასშტაბიანი და ინკლუზიური, სადაც აქტივისტებთან ერთად ერთეებიან საჯარო პირები და ფართო საზოგადოება (Hartal and Misgav, 2021). თელ-ავივსა და იერუსალიმში ქვიარ ადამიანებზე სასიკვდილო თავდასხმებს მოჰყვა საზოგადოებისა და პოლიტიკური სპექტრის გააქტიურება, ქალაქის მერმა თავად გახსნა გარდაცვლილი ადამიანების პატივმისაგებად მემორიალი. ამგვარმა მხარდაჭერამ არ დატოვა ქვიარ თემი ტრავმული გამოცდილებების წინაშე მარტო, დანაკარგი აღიარებულ იქნა და ჯანსაღი გლოვის პროცესს შეეწყო ხელი.

საქართველოს მაგალითზე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქვიარ ადამიანების სიცოცხლის ხელყოფის მცდელობები და მკვლევლობებიც კი, არა თუ თანაგრძნობას არ იწვევს, არამედ პირიქით, მოწონებული და ნახალისებულია საზოგადოების რიგით წევრებში გავლენიანი პოლიტიკური თუ “სასულიერო“ პირების მხრიდან. ასეთ პირობებში, მნიშვნელოვანია გავიაზროთ ქვიარ აქტივიზმის როლი, ერთი მხრივ როგორც თემის უფლებებისთვის მებრძოლი, მეორე მხრივ, როგორც ამ პროცესში მიღებული ზიანის მატარებელი.

2.2. ურბანული სივრცე

ჰართალისა და მისგავის (2021) კვლევა ნათლად წარმოაჩინს ურბანული სივრცის მნიშვნელობას ქვიარების ტრავმულ გამოცდილებაში. აქედან გამომდინარე, უპრიანია ტრავმის ბუნების შემდეგ, განვსაზღვროთ სივრცის თეორიული ჩარჩო და შემდეგ ვისაუბროთ სხეულსა და სივრცეს შორის ურთიერთობის ხასიათის შესახებ.

სივრცის ტრადიციული განმარტება, როგორც მხოლოდ გეოგრაფიული ტერიტორია, 1980-იანი წლებიდან გეოგრაფიულ აზროვნებაში კულტურული შემობრუნების სახელით ცნობილმა პოსტმოდერნულმა და პოსტ-სტრუქტურალისტურმა ტენდენციებმა ჩაანაცვლა. ამ მიდგომით, სივრცე არ არის იზოლირებული ტერიტორია, რომელსაც ერთი კონკრეტული, უცვლელი ფიზიკური ფორმა აქვს. როგორც დორინ მესი (1994) მიიჩნევს, სივრცე და სოციო-ეკონომიკური კავშირები აყალიბებს ერთმანეთს. ერთი მხრივ, სივრცე არის სოციალური კონსტრუქტი; კონკრეტული სოციალური ურთიერთობები განსაზღვრავენ მის ფორმასა და ხასიათს. მეორე მხრივ, შესაძლოა გარკვეული გეოგრაფიული მახასიათებელი აღმოჩნდეს

სოციო-ეკონომიკური კავშირებისა და კონკრეტული სოციალური სტრატას რაობის განმსაზღვრელი. მაგალითისთვის, ეკონომიკური სივრცე, შესაძლებელია განვიხილოთ როგორც „სანარმოო კავშირების გეოგრაფიული განაწილება“ (Massey, 1994, გვ. 22).

ეიმიინი და თრიფტიც (2002) გვთავაზობენ სივრცის პოსტმოდერნულ აღქმას. ურბანული სივრცე არ წარმოადგენს სრულყოფილ, მხოლოდ ფიზიკური ელემენტებით დატვირთულ ტერიტორიას, რომელსაც ერთი კონკრეტული ფორმა აქვს. ქალაქი, ამ მიდგომით, განიხილება როგორც მუდმივად ცვალებადი ფენომენი. იგი არ არის სივრცეში მკაცრად ჩამოყალიბებული, სხვადასხვა ფუნქციებითა და სივრცითი კატეგორიებით გამიჯნული განაშენიანება. ავტორები ხაზს უსვამენ მის ელასტიურ ბუნებას და ურბანულ სივრცეს აღიქვამენ როგორც ყოველდღიური ცხოვრების პრაქტიკებისა და უწყვეტი მობილობის ერთიან სისტემას. ამ პროცესში, მიჯნა სივრცით და სოციალურ ელემენტებს შორის კიდევ უფრო ბუნდოვანი და მუდმივად „წელვადი“ ხდება – „ქალაქებს არ გააჩნიათ სრულყოფილი ფორმა, ცენტრი ან ფიქსირებული ნაწილები“ (2002: გვ. 8). პირიქით, ურბანული სივრცე წარმოადგენს მრავალმხრივი კავშირების, რითმების, მიმართულებებისა და ღია დინებების თანაკვეთის წერტილს. ქალაქის ეიმიინისა და თრიფტისეული კონცეპტუალიზაცია მნიშვნელოვან ყურადღებას აქცევს კოგნიციასა და ქცევას. ვნებები, ემოციები და ადამიანური ინსტინქტები ყოველდღიურად გვხვდება ქალაქში ჩახუტების, კოცნის, ბედნიერად ან დამწუხრებულად მოძრავი სხეულების სახით. შესაბამისად, თუკი ვცდილობთ ქალაქის ანალიზს, მის თითოეულ ელემენტს, ინდივიდუალურ აღქმებსა თუ გამოცდილებებს თანაბრად ღირებული როლი ენიჭება. სხვა სიტყვებით რომ ავხსნათ, ურბანული სივრცის შესახებ წარმოდგენის შესაქმნელად არ უნდა ვეძიოთ აბსოლუტური ჭეშმარიტება. იგი თანაბრად შეიძლება ამოვიკითხოთ თითოეული ინდივიდის გამოცდილებაში, რომლებიც სხვადასხვა მოტივით გადაადგილდებიან, დროებით იკავებენ საქალაქო სივრცეს და „მომენტალურად ტოვებენ თავიანთ ყოველდღიურ კვალს“ (იქვე, გვ. 22).

ინდივიდუალური გამოცდილებების კვალდაკვალ, სივრცეების იდენტობა და ხასიათი ლოკალური კონტექსტის შესაბამისად განისაზღვრება და იცვლება ნარატივების, იარლიყებისა თუ იმ სიმბოლიზმების მიხედვით, რომელსაც ინდივიდები მას ანიჭებენ. შესაბამისად, ურბანული სივრცე შეგვიძლია წარმოვიდგინოთ როგორც ერთგვარი პალიმფსესტი, მრავ-

ვალშროვანი ერთეული, სადაც ყოველდღიური ინდივიდუალური გამოცდილებები, ნაკვალევი თუ მათი ინტენსიობა ერთმანეთს ფენებად ედება და ქმნის მუდმივად ცვალებად გარემოს. ამ კონტექსტში, ურბანულ სივრცეში ერთი კონკრეტული ჯგუფის გამოხატული დომინაცია შეგვიძლია განვიხილოთ როგორც პირობითი, გარდამავალი და ის მუდმივ ხასიათს არ ატარებს. ამის საილუსტრაციოდ გავიხსენოთ 5 და 6 ნივლისის უახლესი მოვლენები თბილისის ცენტრში.

ულტრამემარჯვენე, ძალადობრივი ჯგუფების მიერ ქალაქის ცენტრალური გამზირის დაკავება, საკანონმდებლო ორგანოს წინ მეტალის კონსტრუქციის ჯვრის დემონსტრაციული აღმართვა და ძველი ეკლესიის აღდგენის იდეის გაჟღერება შეგვიძლია განვიხილოთ, როგორც ერთი კონკრეტული ჯგუფის მიერ საჯარო სივრცეზე დომინაციის მცდელობა სასურველი სიმბოლიკების, რელიგიური გრძნობებისა და ნარატივების მეშვეობით. ურბანულ სივრცეზე გარდამავალ დომინაციას განსაკუთრებით თვალსაჩინოს ხდის ორი გარემოება: ერთი მხრივ, ამ ჯგუფის გამოჩენამდე, იგივე გეოგრაფიული სივრცე მრავალჯერ გამხდარა მოქალაქეთა სხვადასხვა ჯგუფის პროტესტის თუ განსხვავებული შეხედულების გამოხატვის ადგილი, სხვადასხვა ფორმითა და მეთოდებით. ეს სივრცე, ასევე მრავალჯერ გამხდარა ხელისუფლებების სოციო-სივრცითი დომინაციის ფიზიკური გამოვლინების ადგილი. ულტრამემარჯვენეების დაშლის შემდეგ კი, იგივე სივრცე მეორე დღეს დაიკავა სხვა, მათგან რადიკალურად განსხვავებული შეხედულების მქონე, ლგბტქი აქტივისტების ნაწილმა და მათმა მხარდამჭერებმა.

შეგვიძლია ვთქვათ, რომ პარლამენტის შენობის წინ არსებულ სივრცეზე დომინაცია ეტაპობრივად, ერთი ჯგუფიდან მეორეზე გადადის და მას არ ჰყავს ერთი მუდმივი „მბრძანებელი“. ეს სივრცე იზიდავს საზოგადოებრივ ჯგუფებს, რადგან წარმოადგენს ძალაუფლების კონცენტრაციის ადგილს და იქ საკუთარი სივრცის მონიშვნა, განსაკუთრებით ღირებულია. რუსთაველის გამზირი და პარლამენტის წინ მდებარე მოედანი, შეიძლება განვიხილოთ როგორც ელასტიკური, ფლუიდური სივრცის მაგალითი.

ქვეყნის ისტორიაში მომხდარი სოციალური, ეკონომიკური თუ პოლიტიკური პროცესები აისახა ამ სივრცის თანამედროვე ფიზიკურ ფორმაზეც და იგი სიმბოლიზმის მატერიალური ელემენტებითაც დატვირთა. ეს სივრცე და საზოგადოებრივი პროცესები განაპირობებს ერთმანეთის ხასიათს, რაობას, ვიზუალურ მხარეს, ხოლო მასზე „კონტროლი“ მუდმივად ცვალებადია.

9 აპრილის მემორიალი, ამ ტრავმულ მოვლენასთან დაკავშირებით არსებული საზოგადოებრივი კონსენსუსის პირობებში, ეროვნული გლოვისა და იმ დღეს, იმ ადგილას, დაღუპული მოქალაქეების მუდმივი ხსოვნის სივრცე-დროით მატერიალურ სიმბოლოს წარმოადგენს. იგი არ მიუთითებს რომელიმე კონკრეტული ჯგუფის სივრცეზე კონტროლს. მისგან განსხვავებით, 5 ივლისს დადგმული ჯვარი, რომელიც საზოგადოებრივ ჯგუფებს შორის ძალთა უთანასწორობის შედეგია, აღიქმება სივრცეზე დომინაციის სიმბოლოდ. იგი შესაძლებელია განვიხილოთ როგორც დომინანტი ჯგუფების მიერ ურბანული სივრცის მონიშვნის მცდელობა და „სუსტის ჩაგვრის“ მატერიალიზებული ელემენტი. ძალთა ბალანსის უწყვეტი ცვლის კვალდაკვალ, როგორც ამას პოსტსტრუქტურალიზმი მიიჩნევს, ამ არტეფაქტმა უნდა დაკარგოს დომინაციის და ჩაგვრის სიმბოლოს აქტუალობა. ქვიარ თემს, სწორედ აქ შეუძლია ითამაშოს მთავარი როლი. თუ ამ მოვლენას ქრონიკული ტრავმის თეორიიდან შევხედავთ, რკინის ჯვარი ძალადობის/ძალადობრივი ჯგუფის „გამარჯვების“ აღსანიშნავი მემორიალია, რომელიც ამ უკანასკნელის ძალაუფლებისა და სივრცეზე კონტროლის ზრდაზე მიუთითებს, მეორე მხრივ ასუსტებს ქვიარ თემის გავლენას და გაქცევის სურვილს ამძაფრებს, რადგან მუდმივად ახსენებს მას, რომ ძალადობის ობიექტად იქცა და განიდევნა. აღნიშნული ზიანისგან გაჯანსაღებისა და სივრცეზე კონტროლის დაბრუნების ერთ-ერთი გზა შესაძლოა იყოს, პირველ რიგში, ქვიარების მხრიდან დანაკარგის სახელდება და აღიარება, ავთენტური გამოგლოვება და ყალბი გამარჯვებისა თუ დამარცხების პოზიციებზე უარის თქმა.

სივრცეზე გამარჯვება-დამარცხების დიქოტომია, ემსახურება პრობლემის მხოლოდ ზედაპირულ გაგებას. ამგვარი პერსპექტივა ხელს უწყობს არსებული სტატუს-ქვოს შენარჩუნებას, მის კვლავწარმოებას. ის ყურადღების მიღმა ტოვებს ჩაგრული ჯგუფის მიერ ამ მოცემულობის გარღვევის შესაძლებლობას. იგი ასევე ხელს უწყობს, შავი ჯვრის უფრო მეტად მოძალადე ჯგუფების „გამარჯვების“ სიმბოლოდ აღქმას და შედარებით ნაკლებად, როგორც თემის გლოვის, დანაკარგის მატერიალიზებულ ფორმად მიჩნევას. დღესდღეობით, ეს კონსტრუქციაც, ისევე როგორც 17 მაისს დაარსებული „ოჯახის სინმინდის დღე“ და მსვლელობა, კვლავ რჩება თემის მიმართ გამოცხადებული ძალადობის შეხსენებად და მატრამპირებელ ფაქტორად. თუმცა, ასევე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს ჯვარი, ისევე როგორც „ოჯახის სინმინდის დღე“, მნიშვნელოვნად გან-

სხვაგვარად სხვა, მრავალ ადგილას აღმართული ჯვრისგან თუ რელიგიური დღესასწაულისგან – მათი არსებობა იმ კონკრეტულ სივრცე-დროით მონაკვეთში უფრო მეტად დაკავშირებულია ქვიარ თემის არსებობასთან, ვიდრე მათივე რელიგიურ დატვირთვისთან. აქედან გამომდინარე, არ შეიძლება ეს არტიფაქტი „წაერთვას“ მოძალადე ჯგუფებს და გამოყენებულ იქნას საზოგადოებისთვის თემის წევრების ჩაგვრის მუდმივად შესახსენებლად? რა მოხდება, რომ ეს ჯვარი გამოვიყენოთ როგორც ქვიარ თემის სივრციდან გარიყვის მანიშნებელი? ამ ფორმით, ვერ გამოვაცლით მას იმ რელიგიურ ლეგიტიმაციას, რომელსაც ჩვენ დაუნებურად, თითქოს ყველანი ერთად ვანიჭებთ, როდესაც მივიჩნევთ მას მოძალადე ჯგუფების „გამარჯვების“ სიმბოლოდ სეკულარულ სახელმწიფოსა და ქვიარ თემზე? ეს კითხვები, მართალია ეხმარება სივრცეზე დომინაციის საკითხს, თუმცა, ამ ტექსტში ვერ იპოვით მათზე გაცემულ კონკრეტულ პასუხებს. ეს თემები მხოლოდ ქვიარ თემსა და სხვა საზოგადოებრივ ჯგუფებს შორის უფრო ფართო დისკუსიის საგანი შეიძლება გახდეს.

2.2.1. ქვიარ სხეულის ადგილი სივრცეში

პატრიარქალურ საზოგადოებაში ჰეტერონორმატიული წესები იმდენად ძლიერადაა წარმოდგენილი ურბანულ სივრცეში, რომ ზემოთ მოყვანილი გარდამავალი ჯგუფური დომინაციის მაგალითისგან განსხვავებით, ინდივიდუალურ დონეზე იგი მუდმივ ხასიათს ატარებს. უფრო მეტიც, საჯარო სივრცეში მყარად ფესვგადგმული წესები უბიძგებს ადამიანებს ცხოვრების წესი და სხეულიც კი, მის „მოთხოვნებს“ მოარგონ, ამით დაფარონ საკუთარი იდენტობა და უზრუნველყონ უსაფრთხო გარემო.

იდენტობა და სხეულის ფორმა განისაზღვრება არა ინდივიდის ბიოლოგიური მახასიათებლებით, არამედ სოციალური კავშირებისა და საჯარო სივრცეში ძალაუფლების გადანაწილების შედეგად. სავარაუდოდ, სწორედ ამას გულისხმობს ჯუდიტ ბათლერი (1993), როდესაც ამბობს, რომ ჰეტერონორმატივიზმი, იყენებს რა მასზე მორგებულ ძალაუფლების სტრუქტურებს, ჰეგემონიურად, სასურველ ფორმას აძლევს სხეულსა და გენდერს და შემდეგ, სწორედ ამ ფორმას წარმოადგენს როგორც ლეგიტიმურ, სიცოცხლისუნარიან ბიოლოგიურ და სოციალურ ერთეულს.

ელიზაბეთ გროში (1995) ქვიარობას კონკრეტულ სექსუალურ პრეფერენციებთან არ აიგივებს და მიიჩნევს, რომ შესაძლებელია იგი თანაბრად აერთიანებდეს ჰეტერო და ჰომოსექსუალ ადამიანებს. ძირითად

საერთო მახასიათებლებად კი მიიჩნევენ მრავალფეროვან სექსუალურ პრაქტიკებს, პარტნიორებსა თუ მიზნებსა და ნივთებს. შესაბამისად, ქვიარობა ჰეტერონორმატივიზმის ანტიპოდადაც შეგვიძლია ჩავთვალოთ. დომინანტური ჯგუფები სწორედ ამ მახასიათებლის გამო მიიჩნევენ მას „დევიანტურ ქცევად“, ხოლო ქვიარ ადამიანებს „ნორმიდან გადახრილის“, „განსხვავებულის“ (ინგლ. Othering) იარლიყს აკრავენ. შედეგად კი მნიშვნელოვნად უზღუდავენ საჯარო სივრცით სარგებლობას, საკუთარი იდენტობის საჯაროდ გამოხატვას; ხშირ შემთხვევაში კი ქვიარებს ფიზიკური განადგურების საფრთხის წინაშე აყენებენ.

სხეული, რომელიც არ აკმაყოფილებს საყოველთაოდ აღიარებულ ნორმებს, უმალ ხდება ჩაგვრის ობიექტი საჯარო სივრცეში. გროში (1995) მიიჩნევენ, რომ მართალია სხეული ჩაგვრის მთავარი სამიზნეა, მაგრამ ჰეტერონორმატიული უმრავლესობისთვის კიდევ უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება იმას, თუ საკუთარი ქცევებით რამდენად ჯდება ქვიარ ინდივიდი ფართო საზოგადოების მიერ დაწესებულ ნორმებში. იგი მიიჩნევენ რომ, თუკი საქმით არ ეწინააღმდეგები მათ დოგმებს, საზოგადოება ნაკლებ ყურადღებას აქცევს ადამიანის ვინაობას. მათთვის მთავარია, დამალო საკუთარი იდენტობა საჯარო სივრცეში. ასეთ შემთხვევაში, ჩათვლიან რა, რომ მათნაირი ხარ, ისინი თავიანთი ჯგუფის წევრად აღგიქვამენ. სწორედ ეს განსხვავება ინდივიდის ვინაობასა და მის ქცევას შორის, განსაზღვრავს ადამიანის პოზიციას საჯარო სივრცეში. გროში ჰომოფობიის მთავარ მკვებავ ძალად მსგავს დიფერენციაციას მიიჩნევენ, რამეთუ იგი „ეფუძნება ჯგუფის წევრების აქტივობას“ (1995, გვ. 225, ხაზგასმულია დედანში) და არა მათ პიროვნულ ღირებულებებს. საყოველთაოდ გავრცელებული გამოთქმა – „საკუთარ სახლებში რაც უნდათ ის გააკეთონ, ქუჩაში ნუ გამოვლენ“ ამას ეხმიანება. ეს დამოკიდებულება საჯარო სივრცეში არადომინანტი, განსხვავებული იდენტობის დამალვასა და მის მარგინალიზაციას ისახავს მიზნად და ხელს უშლის „პირადი“ და „საჯარო“ საკითხების ჰარმონიულ თანაცხოვრებას – ის აიძულებს ადამიანებს იცხოვრონ ორმაგი ცხოვრებით. ის ცდილობს განასხვავოს ადამიანი და მისი ქცევა, განიხილავს რა სხეულს არა როგორც რაღაც არსებულს, არამედ მხოლოდ არაჰეტერონორმატიული ქცევის შესაძლო წყაროს. ასეთ შემთხვევაში კი, მისი ადგილი საჯარო სივრცეში არ მოიძებნება.

ულტრაკონსერვატორული ჯგუფები, რომლებიც საკუთარ თავს „ღირსეულ, ტრადიციული ღირებულებების დამცველ“ ადამიანებად მი-

იჩნევენ, ამართლებენ საჯარო სივრციდან „არატრადიციული ღირებულებების მქონე“, „ოჯახის სინმინდის წინააღმდეგი“ ქვიარ თემის გარიყვას, განიხილავენ რა მათ როგორც „განსხვავებულსა და საფრთხის შემცველს“. დევიდ სიბლი მსგავს დამოკიდებულებას ხსნის სივრცითი და სოციალური მიკუთვნებულობის სურვილით. მაშინ, როდესაც ადამიანებს სურთ თავიანთი თავი დაუკავშირონ კონკრეტულ ჯგუფს, ცდილობენ სხვა, მათი აზრით, „სინმინდისთვის საფრთხის შემცველი“ ადამიანები გარიყონ:

სივრცითი გარიყულობა წარმოადგენს სოციალური გამიჯვნის ძირითად ინსტრუმენტს... ჰეგემონური ჯგუფები ახდენენ იმ ადამიანების მარგინალიზებას, ვინც არ იზიარებს მათ შეხედულებებს ცხოვრებისა და ქცევის სასურველი სტილის შესახებ და ცდილობენ მათზე კონტროლი დაამყარონ... (Hubbard et al., 2002, გვ. 121).

მიუხედავად ამისა, კონსტრუქტივისტული მიდგომით, საზოგადოების მჩაგვრელ და ჩაგრულ ჯგუფებად დაყოფა მხოლოდ პრობლემის ბინარულ აღქმას ემსახურება და ხელს უშლის სოციალური კავშირების, ურთიერთობებისა და ძალაუფლების სტრუქტურების ცვალებადი, დინამიური ხასიათის დანახვას. მით უფრო, ფუკოსეული² ხედვა ძალაუფლების ჰორიზონტალური, გარდამავალი და უწყვეტი განაწილების შესახებ, რუსთაველის გამზირის მაგალითით, კარგად ჩანს. ის სივრცე, რომელიც ინდივიდუალური გადმოსახედიდან მკაცრად დომინირებულია საზოგადოების ერთი ნაწილის მიერ, შეიძლება დაიკავოს იმ ნაწილმაც, ვის მარგინალიზაციასაც დომინანტური ჯგუფები ცდილობენ.

ყოველივე ზემოთხსენებული მიუთითებს იმაზე, თუ როგორ შეიძლება ინდივიდის სხეული გამოყენებულ იქნეს სივრცითი გარიყულობის ნორმალიზებისა და კვლავწარმოებისთვის. ძალაუფლების გადანაწილება საზოგადოების ჯგუფებს შორის სწორედ ინდივიდის სხეულზე გადის. ეს უკანასკნელი კი საბოლოოდ გვევლინება სივრცით აგენტად, ცვლადად განსხვავების ხაზგასასმელად (Grosz, 1995; Hubbard et al., 2002). გილ ვა-

2 მიმელ ფუკო, XX საუკუნეში მოღვაწე ფრანგი ფილოსოფოსი. ფუკო მიიჩნევს, რომ ძალაუფლება არ არის სტატიკური და ერთი კონკრეტული ჯგუფის ხელში, არამედ ის გარდამავალი და დინამიურია. ძალაუფლების დინამიურობას განაპირობებს საზოგადოების წევრების ერთმანეთთან მუდმივი ინტერაქცია, რომლის შედეგად იცვლება ქცევები, ალქემები, ჩვევები, კავშირები.

ლენტიანი ერთ-ერთია ვინც მიიჩნევს, რომ „ინდივიდის სხეული სოციალური ინტერაქციების ნაყოფია და, შესაბამისად, უნდა შევეისწავლოთ იმ სივრცესთან მიმართებით, სადაც ისინი გვხვდება“ (ვალენტიანი, ციტირებულია Hubbard et al., 2002, გვ. 115). ამ ურთიერთობების შედეგად კი კონკრეტული ტიპის და ფორმის სხეული ნორმალიზებული და „დაშვებული“ ხდება საჯარო სივრცეში, ხოლო მისგან განსხვავებული მიიჩნევა როგორც მარგინალური და არასასურველი. მორალური გეოგრაფიის ასეთი აღქმა კი სივრცითი გარიყულობის წინაპირობად იქცევა.

ამ პირობებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გავიაზროთ ქვიარ გამოცდილება სხეულისა და სივრცის ურთიერთკავშირის კონტექსტში. მსგავსი გააზრებისთვის კი მნიშვნელოვანია რეპრეზენტატულობა და პრობლემის სწორი არტიკულაცია. გროშის აზრით, სწორედ აქ წარმოიქმნება მნიშვნელოვანი პრობლემა. ეყრდნობა რა ქვიარ მისწრაფებებსა და სექსუალობასთან დაკავშირებულ ემოციურ და ფიზიკური სიამოვნების ასპექტებს, იგი მიიჩნევს რომ არსებობს იმის შესაძლებლობა, რომ თეორიზებისას „სიტყვებმა ადეკვატურად ვერ გამოხატოს [სექსუალური] სიამოვნების ყველაზე ინტენსიური მომენტები“ (Grosz, 1995, გვ. 222). ამ პოზიციის კვლადაკვალ, რადგანაც ტრავმას განვიხილავთ ფიზიკურ და ემოციურ მოვლენად, მისი პრობლემატიზებისთვის აუცილებელია პირად გამოცდილებაზე დაფუძნებული ნარატივების აწყობა.

2.2.2. სხეულისა და სივრცის ინტერაქცია

ვინაიდან სივრცე და სოციო-ეკონომიკური პროცესები განსაზღვრავენ ერთმანეთის ხასიათს, ხოლო ეს პროცესები წარიმართება ადამიანის მიერ, მის ბიოლოგიურ სხეულს ცენტრალური როლი ენიჭება სივრცის აღქმასა და მასთან ურთიერთობის ჩამოყალიბებაში. სხეული შეგვიძლია აღვიქვათ როგორც სივრცითი ერთეული, რომელიც იკავებს კონკრეტულ ტერიტორიას; იყენებს და ქმნის სივრცეს. სხეულის ამგვარი გაგებაც დაკავშირებულია კულტურული შემობრუნების ტენდენციებთან. გეოგრაფიული კვლევების განსაკუთრებულმა ყურადღებამ კონსიუმერიზმისა და ცხოვრების სტილის საკითხების მიმართ, თანდაწობით ხელი შეუწყო სხეულის საკვლევ ობიექტად ჩამოყალიბებას (Hubbard et al., 2002).

სივრცის მსგავსად, სხეული და იდენტობა სოციალურ კონსტრუქტად განიხილება და უარყოფს ტრადიციულ ბიოლოგიურ დეტერმინიზმს, რომლის მიხედვით, სხვადასხვა ტიპისა და ფორმის სხეული განიხილებოდა

მხოლოდ კონკრეტული საქმიანობისთვის ხელსაყრელად. ტრადიციული მიდგომა, განასახვავებდა რა ადამიანის შესაძლებლობებს მათი ბიოლოგიური სხეულის მიხედვით, ამართლებდა და ხელს უწყობდა არაჰეტერონორმატიული სხეულის მქონე ადამიანების მარგინალიზაციას, უთანასწორობას გენდერული, რასისა და სექსუალური პრეფერენციებისა და მიკუთვნებულობის საწყისებზე. კონსტრუქტივისტული მიდგომა არ აღიარებს კონკრეტული ტიპის სხეულის თუ იდენტური კუთვნილების უპირატესობას და მიიჩნევს, რომ ეს მხოლოდ დომინანტური საზოგადოებრივი დამოკიდებულების ნაყოფია, რომელიც სოციალიზაციის პროცესით იქმნება.

სივრცესა და სხეულს შორის ურთიერთკავშირსა და როლზე ორივე მათგანის იდენტობის ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვან ყურადღებას ამახვილებს ჰუმანისტური მიდგომები გეოგრაფიულ ანალიზში. სივრცეში ფიზიკურად ყოფნის აღქმა, ადგილის განსხეულებული შეგრძნება და გამოცდილება ერთი მხრივ, აყალიბებს ურთიერთობებს ინდივიდებს შორის, ხოლო მეორე მხრივ, გვეხმარება დავინახოთ როგორ ყალიბდება კონკრეტული სივრცე ამ ინდივიდუალური გამოცდილებების მეშვეობით (Hubbard et al., 2002). ამ მიდგომას ეხმარება ეიმინისა და თრიფტის მიერ შემოთავაზებული კონცეფციაც ურბანული სივრცის რაობის შესახებ. დევიდ სიმონი (1979) გამოყოფს ინდივიდისა და სივრცის თანაკვეთის სამ ძირითად ფოკუსს:

1. გადაადგილება – როგორ გადაადგილდება ინდივიდი (სხეული) ურბანულ გარემოში;
2. დასვენება – როგორ პოულობს ინდივიდი (სხეული) სივრცეს განსატვირთად;
3. შეხვედრა – როგორ ურთიერთობენ ინდივიდები (სხეულები) ერთმანეთთან ყოველდღიურ ცხოვრებაში.

„გარემოს აღქმის ტრიადის“ ეს ვერსია ხაზს უსვამს სხეულის აგენტობას შეიმეცნოს გარემო საკუთარი შეხედულებისამებრ და აღიარებს მის ეპისტემიოლოგიურ უპირატესობას სივრცისა და ადგილის შესწავლისას. სხეული, ამ მხრივ, გარკვეულწილად მონყვეტილია გონებას და წინასწარი შეცნობის გარეშე, რუტინულად გადაადგილდება და ამყარებს ურთიერთობებს სივრცეში. ლგბტქი+ თემის ტრავმული გამოცდილებებით თუ ვი-

ხელმძღვანელებთ, სიმონის ეს კონცეპტუალიზაცია ინდივიდუალური სხე-
ულისა და სივრცის ურთიერთობის შესახებ, ყურადღების მიღმა ტოვებს
რამდენიმე მნიშვნელოვან ასპექტს. წარსულში, კონკრეტულ ურბანულ
სივრცეში, მიღებულმა ტრავმულმა გამოცდილებამ, შესაძლოა, ინდივიდი
დააფიქროს და, შესაბამისად, მან რუტინული ქცევისგან განსხვავებულად
იმოქმედოს იმ ლოკაციაზე ხელახლა მოხვედრის შემთხვევაში, ან მიზან-
მიმართულად აარიდოს თავი მის სიახლოვეს მოძრაობას.

სიმონის მიერ შემოთავაზებულ ხედვას სხეულსა და სივრცეს შორის ინ-
ტერაქციის შესახებ მაინც დაჰკრავს პრივილეგიებულის პოზიციიდან
დანახულის ელფერი. ფემინისტური პერსპექტივიდან ტრიადის ეს ორი
მნიშვნელოვანი ნაწილი შეგვიძლია განვავრცოთ როგორც ქვიარ ინდივი-
დების მიერ ე.წ. „უსაფრთხო სივრცის“ პოვნის (დასვენება/განტვირთვა)
მეთოდები და სოციალიზაციის სივრცის (შეხვედრა) შესაქმნელად გამოყე-
ნებული სტრატეგიები. სხეული განსაზღვრავს როგორ აღიქვამს კონკრე-
ტულ სივრცეს ადამიანი – ჩაცმულობის თუ სხეულის ფორმა მნიშვნელო-
ვან როლს თამაშობს რომელ სივრცეში გრძნობს ის თავს კომფორტულად,
მიღებულად, დაფასებულად და რომელი სივრცე ცდილობს მის მარგინა-
ლიზაციას, გარიყვას და უქმნის დაუცველობის განცდას (Hubbard et al.,
2002). თრიფტი (1996, 2008) სწორედ სივრცის ამ ინდივიდუალიზებულ
გამოცდილებას აქცევს კვლევის ცენტრალურ საგნად და მიიჩნევს, რომ
ერთი შეხედვით ბანალური, ყოველდღიური პრაქტიკები განსაზღვრავს
ინდივიდსა და მის ქცევას სხვების მიმართ კონკრეტულ ადგილებში (Thrift,
1996, 2008; Hubbard et al., 2002).

პოსტსოციალისტურ კონტექსტში, ყირგიზეთის მაგალითზე დაყრდნო-
ბით, ქვიარ თემის ყოველდღიურ პრაქტიკებზე საუბრისას, ფონ ბოშკენი
და სხვანი (2018) განიხილავენ მათ მიერ გამოყენებულ მიზანმიმართულ
სტრატეგიებს საჯარო სივრცეში კონფრონტაციისთვის თავის ასარიდებ-
ლად. ქვიარ ადამიანებს უწევთ უარი თქვან საკუთარი სხეულით ინდივი-
დუალური იდენტობის გამოხატვაზე და სანაცვლოდ, იყენებენ ადაპტა-
ციისა და მიმალვის ტაქტიკებს. ეს შეიძლება მოიცავდეს მიმბაძველობას
ჰეტერონორმატიულ ქცევებსა და ჩაცმულობაზე ან ჩაკეტილი, სტერილუ-
რი ნახევრადსაჯარო სივრცის შექმნას, სადაც მხოლოდ თემის წევრები
და ახლო მეგობრები, ფართო საზოგადოებისგან ფარულად იკრიბებიან.
კვლევა ასევე განასხვავებს თემის სხვადასხვა წარმომადგენლის მიერ სა-
კუთარი სხეულით იდენტობის დაფარვის სტრატეგიას. მაგალითისთვის,

ურბანულ არეალებში ლესბოსელ ქალებს არ უჭირთ მოერგონ ჰეტერონორმატიულ სტილს, რამეთუ გარკვეული თანაკვეთა ჩაცმულობის მხრივ არსებობს მათსა და დანარჩენ საზოგადოებას შორის. გეი კაცები ცდილობენ საჯარო სივრცეში სიარულის მანერები მიამსაგვსონ სხვა, ჰეტერო კაცების სხეულის ენას; რეგულარულად სტუმრობენ ფიტნეს ცენტრებს „დაკუნთული, მამაკაცური სხეულის მისალწევად“ (von Boehmcken et al., 2018, გვ. 78).

კაცის სხეული გეი კულტურაში მნიშვნელოვან ადგილს იკავებს. მისი ესთეტიკური მნიშვნელობა ხაზგასმულია დაკუნთული ფიზიონომიის მეშვეობით და გეი იდენტობის ერთ-ერთ ცენტრალურ ელემენტს წარმოადგენს. თუმცა, განსხვავებულ სოციო-გეოგრაფიულ კონტექსტში, დაკუნთული სხეულის ესთეტიკური ხასიათი უკანა პლანზე გადადის და პირველ რიგში გამოიყენება როგორც უსაფრთხოების უზრუნველყოფის ინსტრუმენტი. ამ ფორმით, ქვიარ სხეული უფრო პრაგმატულ დატვირთვას იძენს. ერთი მხრივ, ჰეტერონორმატიულ სხეულზე მიმსგავსება ამცირებს დომინანტური ჯგუფების მიერ მათი ვიზუალური იდენტიფიცირების შესაძლებლობას, ხოლო, მეორე მხრივ, ზრდის გეი ადამიანების თავდაცვისუნარიანობას – ისინი მასკულიზირებული ვიზუალის დემონსტრირებით ცდილობენ თავიდანვე აირიდონ პოტენციურ მოძალადეებთან ინტერაქცია, ხოლო ფიზიკური თავდასხმის შემთხვევაში, შეძლებენ საკუთარი თავის მეტად დაცვას.

2.2.3. შიში და ტრავმული გამოცდილება სივრცეში

მორალურ მოტივებზე დაფუძნებული არგუმენტებით ურბანული სივრცის დაკავებისა და იქიდან ულტრაკონსერვატიული ჯგუფებისთვის მიუღებელი, „განსხვავებული“ სხეულისა თუ იდენტობის მქონე თანამოქალაქეების გარიყვის მაგალითი ემსახურება ქვიარ სხეულის საზოგადოებრივი ცხოვრებისთვის საფრთხის შემცველ ელემენტად წარმოჩენას. ეს ხელს უწყობს შიშის კვლავწარმოებას ორი მიმართულებით: ერთი მხრივ, საზოგადოების ფართო ფენების დაშინებას, რომ ქვიარ თემი „გადაშენებით ემუქრება ქვეყანასა და მის ქრისტიანულ ღირებულებებს“, რამეთუ უარყოფს გაბატონებულ ჰეტეროპატრიარქატს. მეორე მხრივ, ქვიარ თემში, ძალადობის მუქარით გამოწვეული შიშით ცდილობს ჩაახშოს თემის წევრების სოციო-ეკონომიკური გარიყულობით წარმოქმნილი პრობლემების აქტუალიზება. ამ გზით, დომინანტური ჯგუფები უზრუნველყოფენ ჩაგვ-

რისა და ძალაუფლების სისტემების შენარჩუნებას. შესაბამისად, შიში იქცევა საჯარო სივრცეში ინდივიდების ქცევის ერთ-ერთ მოტივატორად. ის წარმოშობს უკურეაქციას იმ მოტივით, რომ „დაიცვას და გააკონტროლოს საკუთარი სივრცე და მას მოარიდოს, უარყოს და გარიყოს საეჭვო, უცხო ინდივიდები“ (Sparks et al., 2001, გვ. 885). შედეგად, შიში განსაზღვრავს თემის წევრების ყოველდღიურ საქმიანობას, მათ სამომხმარებლო და საყოფაცხოვრებო პატერნებს.

სპარკსი და სხვანი (2001) მიიჩნევენ, რომ შიშის ურბანული სივრცის კონტექსტში თეორიზებისთვის მნიშვნელოვანია პირად გამოცდილებებსა და ფართო სოციალურ წესრიგს შორის კავშირების გავლება. მეტოდოლოგიურად, აუცილებელია ამ გამოცდილებების პირდაპირ მიბმა კონკრეტულ ლოკაციებთან, რომლებიც გვევლინება ინდივიდუალიზებული შიშის, გაურკვევლობის, ტრავმული გამოცდილებების პირველწყაროდ. ეს, მათი აზრით, განაპირობებს რეპრეზენტატულობის გარკვეულ ხარისხს და ამასთან, წარმოადგენს გარკვეულ პასუხს გროშის (1995) მიერ აქტუალიზებულ საკითხზე ქვიარ გამოცდილებების არტიკულაციის შესახებ. ავტორები ერთი კონკრეტული უბნის და იქ კრიმინალის დონის შესახებ ადგილობრივ და ფართო საზოგადოებრივ განწყობებს შორის არსებული განსხვავებების შესწავლით ამტკიცებენ, რომ აუცილებელია სივრცის სპეციფიური ცოდნა. მაშინ, როდესაც საზოგადოებაში ფართოდ იყო გავრცელებული აზრი კონკრეტული ადგილის მძიმე კრიმინალური სიტუაციის შესახებ და სტატისტიკური ინფორმაციის დამონებით, მას აღიქვამდნენ როგორც საცხოვრებლად საფრთხის შემცველ ადგილს, საკუთრივ იმ უბნის მაცხოვრებლები თავიანთ საცხოვრებელ გარემოს უსაფრთხოდ მიიჩნევდნენ. ისინი ხაზს უსვამდნენ ადგილობრივებს შორის ჩამოყალიბებულ მჭიდრო სოციალურ კავშირებს, რაც მათ დაცულობის და ადგილის მიკუთვნებულობის შეგრძნებას უჩენდა. ამავე ლოგიკით, უნდა განვასხვავოთ შიში თუ ტრავმული გამოცდილება ქვიარ თემში. გროში (1995) სვამს კითხვას თუ რამდენად ერთნაირია ჩაგვრისა და დისკრიმინაციის გამოცდილება თემის სხვადასხვა წევრისთვის. და მართლაც, არის განსხვავება თუ როგორი ტიპის შევიწროების ან თავდასხმის ობიექტი ხდება ლესბოსელი, გეი თუ ტრანსი ადამიანი საჯარო სივრცეში? რა საერთო და/ან განმასხვავებელი მახასიათებლები აქვს მათ ჩაგვრას? ჰომოფობია თანაბრად მჟღავნდება ქვიარ თემის ყველა წევრის მიმართ? რამდენად ერთნაირად საშიშად ან ტრავმულად აღიქ-

ვამენ თემის წევრები კონკრეტულ ლოკაციას? რა განასხვავებს მათ დამოკიდებულებებს?

სივრცესა და პერსონალურ გამოცდილებაზე რეფლექსიისას აუცილებელია გავითვალისწინოთ ის, რომ ინდივიდები კონკრეტული გამოცდილების მეშვეობით ახდენენ სივრცესთან იდენტიფიკაციას და, შესაბამისად, წარმოადგენენ საკუთარ როლს. როგორც დასაწყისში აღვნიშნეთ მესიზე (1994) დაყრდნობით, სივრცე წარმოადგენს მრავალი იდენტობის მქონე ადამიანების ინდივიდუალური გამოცდილებების თანაკვეთის წერტილს. ეს გარემოება სივრცეს სადავო ხასიათს სძენს და, ხშირ შემთხვევაში, კონფლიქტის წყაროდაც შეიძლება იქცეს. მაგრამ, ამავდროულად, სწორედ ასეთი სივრცეები გვევლინება საზოგადოებაში არსებული მრავალფეროვნების მანიფესტაციად. თუმცა, სივრცეზე საუბრისას მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ დროითი ასპექტიც. რომელიმე ლოკაციის უსაფრთხოება შესაძლოა დღე-ღამის განმავლობაში განსხვავებულად იქნეს აღქმული. მაგალითისთვის, ბევრი ტრანგენდერი ქალი იხსენებს ღამის განმავლობაში მიღებულ ტრავმულ გამოცდილებებს, რაც ძირითადად, დაკავშირებულია სექს სამუშაოსთან. თუმცა, ამასთანავე, სარისკოდ აღიქვამენ საჯარო სივრცეში დღისით გამოჩენასაც, თუკი არ აქვთ კონფორმული გარეგნობა.³ მათ გამოცდილებაში, საფრთხეები ერთმანეთს ანაცვლებენ დღე-ღამის განმავლობაში და ამ გარემოებას კვლევის მიგნებებში უფრო ვრცლად განვიხილავთ.

3 იხილეთ აუდიო ტრანსნარატივები – პროექტი „ტყის ვარდი“, რომელიც ქვიარ ისტორიასა და მესხიერებას აკავშირებს ურბანულ სივრცესთან. იხ. <https://narratives.wisg.org/ka/rose-garden>

3. პათოლოგია და პათოლოგია

კვლევის მიზანია ქვიარ თემის ტრავმული გამოცდილებებისა და ურბანული სივრცის გადაკვეთის წერტილების პოვნა და მათი ანალიზი. ეს მოიაზრებს ქვიარ ადამიანების ტრავმების დანახვას სივრცეში. უფრო კონკრეტულად, კვლევა კონცენტრირდება ნეგატიური/პოტენციურად მატრავმირებელი მოვლენების გავლენაზე მათ ყოველდღიურ არჩევანზე, სივრცისადმი მიკუთვნებულობაზე, მის მიმართ დამოკიდებულებასა და ურთიერთობის ხასიათზე.

ამ მიზნით, კვლევა ცდილობს პასუხი გასცეს რამდენიმე კითხვას საკვლევი ჯგუფის გამოცდილებაზე დაყრდნობით:

1. როგორია ქვიარ ტრავმული გამოცდილებები და რა გზით აისახება იგი ქვიარ ინდივიდის ყოველდღურ ცხოვრებასა და ქცევაზე?
2. რას ნიშნავს უსაფრთხო გარემო და როგორი სივრცეები მიიჩნევა ასეთად ქვიარ ადამიანებისთვის?
3. რა ტიპის ურთიერთობა ყალიბდება ქვიარ სხეულსა და ურბანულ გარემოს შორის და სივრცეში ლავირების რა ფორმები იკვეთება?
4. როგორ აღიქვამენ სოლიდარობას/აქტივიზმს ქვიარ ადამიანები და რა როლს თამაშობს ის ტრავმული გამოცდილებების დაძლევაში?

3.1. შერჩევა

ჩამოთვლილ კითხვებზე პასუხების საძიებლად, ემპირია ეყრდნობა 16 მონაწილესთან ჩატარებულ სიღრმისეულ ინტერვიუებს. კვლევის თითოეულმა ავტორმა რესპონდენტების თანაბარ რაოდენობასთან ჩატარა პირისპირ და ონლაინ ინტერვიუები, რომელთა საშუალო ხანგრძლიობა მერყეობდა 1-2 საათს შორის. მონაწილეთა შერჩევა მოხდა მიზნობრივად და აერთიანებს ქვიარ თემის წევრებს და მათ მეგობრებს. მათგან სამი რესპონდენტი შეირჩა „თოვლის გუნდის“ პრინციპით. მონაწილეები, პირობითი სახელებით, წარმოდგენილები არიან ცხრილში. ასაკით ყველაზე პატარა მონაწილე გვყავდა 21 წლის, ხოლო ყველაზე ხნიერი 43 წლის.

3.2. ავტორების კომუნიკაცია და კვლევის ეთიკური განზომილება

წინამდებარე ტექსტი თავისი ხასიათით თვისებრივ კვლევათა კატეგორიას მიეკუთვნება და, შესაბამისად, ეპისტემოლოგია ეფუძნება ემპირიული მასალის ინტერპრეტაციას. ემპირიის ინტერპრეტაცია და მასზე დაფუძნებით ახალი ცოდნის შექმნა თვისებრივი კვლევის ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელია. ამ პროცესში მკვლევრის პოზიცია გადამწყვეტი მნიშვნელობისაა, ვინაიდან თავად ავტორის მსოფლმხედველობა, ცოდნა და გამოცდილება განაპირობებს მის მიერ სავსე სამუშაოების დაგეგმვის ხასიათს და შეგროვებული ინფორმაციის შემეცნებას (McDowell, 2010). შესაბამისად, ტექსტის ავტორებს არ გვაქვს პრეტენზია რომ მოცემული კვლევა წარმოადგენს აბსოლუტურ ქვეყნარტებას. ის მხოლოდ ცდილობს გააცოცხლოს კვლევის მონაწილეთა ნარატივები იმ თეორიული მიმართულებით, რომელიც ტექსტის პირველ ნაწილშია განსაზღვრული.

კვლევის ავტორები სოციალური მეცნიერების სფეროში ვმოღვაწეობთ, თუმცა, განსხვავებული პროფესიული მიმართულებითა და გამოცდილებით. ეს გარემოება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მოცემული კვლევისთვის. სალომე შიუკაშვილი, ტექსტის თანაავტორი, ფლობს თემის წევრებთან მუშაობის პრაქტიკულ და კვლევით გამოცდილებას. იგი იცნობს თემის შიგნით არსებულ სიტუაციას და მის წევრებთან გაცილებით ახლო ურთიერთობა და, შესაბამისად, მეტი ურთიერთნდობა აკავშირებს. სალომეს, როგორც პრაქტიკოსი (კონსულტანტი) ფსიქოლოგის გამოცდილება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ტრავმის ირგვლივ საკითხებზე მსჯელობისას.

თანაავტორისგან განსხვავებით, გიორგი კანკია, რომლის პროფესიული გამოცდილება უკავშირდება ურბანულ გეოგრაფიას, ქალაქგეგმარებასა და სივრცით ანალიზს ამ მხრივ აუტოსაიდერად გვევლინება კვლევის პროცესში. ეს მნიშვნელოვანი გამოწვევაა პირველ რიგში კვლევის სავსე ნაწილის განხორციელების კუთხით. მონაწილეებსა და მკვლევარს შორის არსებობს მეტი გაუცხოების გრძნობა და, არასაკმარისი პიროვნული ნდობის პირობებში, შესაძლებელია, რესპონდენტმა არ ისურვოს სენსიტიური თემის სიღრმისეული განხილვა. ეს გრძნობა მეტნაკლებად იჩენდა თავს რესპონდენტებთან ურთიერთობისას. მეორე მხრივ, ეს შესაძლოა დადებით ფაქტორადაც აღვიქვათ, რამეთუ იძლევა პრობლემაზე რეფლექსიის შესაძლებლობას გარე პერსპექტივიდან. ეს გარემოება კი შესაძლოა, დო-

მინანტური ჯგუფებისთვის ქვიარ თემის პრობლემების უფრო მკაფიოდ საჩვენებლად მეტად სარმუნო წყაროდ იქცეს.

სიღრმისეული ინტერვიუები დაეფუძნა ჩვენ მიერ შერჩეულ რამდენიმე მნიშვნელოვან თემასთან დაკავშირებულ ღია კითხვებს. ამ პროცესში, როდესაც კვლევის ერთ-ერთი ავტორი ე.წ. აუტოსაიდერის პოზიციიდან ერთვება პროცესში, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ღია კითხვების არსებობა. ეს იძლევა კვლევასთან დაკავშირებულ საკითხებზე არაფორმალური საუბრის წარმართვის საშუალებასაც იმ მიზნით, რომ გარკვეული სანდოობა გაჩნდეს მონაწილესა და მკვლევარს შორის. ამ მეთოდის ძლიერ მხარეს წარმოადგენს რესპონდენტისთვის საკუთარი შეხედულებისა და გამოცდილების ღიად დაფიქსირების შესაძლებლობა (Flick, 2018). ამ პროცესში ძალთა ბალანსი კვლევის მონაწილის სასარგებლოდ იხრება, რამეთუ იგი ფლობს მკვლევარისთვის საინტერესო ინფორმაციას. კვლევის ხასიათიდან გამომდინარე, აუცილებელი იყო მონაწილეებისთვის კონფიდენციალურობის პრინციპის გაცნობა. ამ მიზნით კვლევაში ციტირებული ყველა მონაწილის სახელი შეცვლილია პირობითი სახელებით. მონაწილის მიერ დათმობილი დროის, ენერჯის და სენსიტიურ, ხშირ შემთხვევაში, პირად თემებზე საუბრით გამოწვეული დისკომფორტის ასანაზღაურებლად, კვლევის პროექტში ასევე გათვალისწინებული იყო მათთვის ადეკვატური მატერიალური ნახალისება.

აქვე უნდა ვახსენოთ საველე პრაქტიკის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნაწილის ონლაინ ინტერვიუს შესახებ. ეს მეთოდი, ერთი მხრივ შესაძლებელია უფრო უსაფრთხოდ აღვიქვათ პანდემიის პირობებში და ზოგადად, უცხო ადამიანთან სენსიტიურ თემებზე საუბრისას. ასევე უნდა დავამატოთ, რომ როგორც გამოცდილებამ აჩვენა, ამ ფორმით მეტად რთულია მონაწილესა და მკვლევარს შორის თავდაპირველი ბარიერებისა და უხერხულობის გრძნობის გაქარწყლება, რაც საბოლოოდ, ხშირად განაპირობებს შეგროვებული ინფორმაციის ზედაპირულ ხასიათს.

საველე სამუშაოების დაწყებამდე შერჩეულ მონაწილეებს წინასწარ გავაცანით კვლევის ხასიათი, პირობები და სასურველი ფოკუსი, რომელზეც მათ წერილობითი თანხმობა განაცხადეს. უშუალოდ ინტერვიუს დაწყებამდე კი ვთხოვეთ ნებართვა, ჩაგვენერა საუბარი, რომლის ერთადერთი მიზანი ინტერვიუს ტრანსკრიპტის მომზადება იყო, მისი სამომავლო ანალიზის მოტივით. მკვლევარების ამ თხოვნას ისინი ინტერვიუს დაწყებამდე სიტყვიერად დათანხმდნენ.

3.3. ანალიზი

კვლევის ავტორების მიერ ჩანერილი ინტერვიუები გაციფრულდა ტრანსკრიპტების სახით. ამის შემდეგ, თვისებრივი ანალიზის კომპიუტერული პროგრამის მეშვეობით მოხდა შეგროვილი ინფორმაციის კოდირება მნიშვნელოვანი თემების მიხედვით. კოდირების პროცესი განმეორებადია იმ მხრივ, რომ ტრანსკრიპტების გაცნობის პარალელურად ხდება მნიშვნელოვანი თემების გადახარისხება და კოდების ცვლილებაც. ამ ეტაპის შემდეგ, პირველადი ანალიზის ფორმით, ემპირიულმა მასალამ მიიღო სინთეზირებული ფორმა, რომელიც შემდეგ აისახა ტექსტში ავტორების ინტერპრეტაციასთან ერთად კვლევის შედეგების სახით.

ცხრილის სახით ქვემოთ მოცემულია სავსე სამუშაოების შემაჯამებელი ინფორმაცია რესპონდენტების, ინტერვიუს ჩატარების და მათთან საუბრისას გამოკვეთილი მნიშვნელოვანი თემების მიხედვით. უნდა აღინიშნოს, რომ ამ თემებში ასახულია როგორც ავტორების მიერ ინტერვიუსთვის წინასწარ განსაზღვრული საკითხები, ასევე ინტერვიუს პროცესში რესპონდენტის გადმოსახედიდან გამოკვეთილი მნიშვნელოვანი თემები.

რესპონდენტი	იდენტობა	ასაკი	ინტერვიუს თარიღი	მნიშვნელოვანი თემები
1 – ნინო	ქვიარ ქალი	32	11/09/2021	გარეგნობა; გამკლავება; უსაფრთხო სივრცის ფლუიდურობა; ტრავმული გამოცდილება.
2 – ქეთი	ქვიარ ქალი	26	15/09/2021	ტრავმული გამოცდილება; სოლიდარობა; უსაფრთხო სივრცის ფლუიდურობა; პეტრონორმატიული გარეგნობა; გამკლავება.
3 – მაია	ქვიარ ქალი	34	16/09/2021	ტრავმული გამოცდილება; სექსუალური შევიწროება გენდერული ნიშნით.
4 – ანდრეა	ტრანსგენდერი კაცი	21	28/09/2021	მუდმივი შიში და შფოთვა; თავდასხმის მოლოდინი; ფლუიდური გარეგნობა; გამკლავება.
5 – ასმათი	ქვიარ ქალი	43	01/10/2021	თვითდამკვიდრება; ტრავმული გამოცდილება; გარეგნობა; ფლუიდური სივრცე.

6 – სანდრა	ქვიარ ქალი	30	16/09/2021	ოჯახი; თვითდამკვიდრება; გარეგნობა; ფლუიდური სივრცე; ტრავმული გამოცდილება.
7 – ევა	ტრანსგენდერი ქალი	32	02/10/2021	ტრავმული გამოცდილება; ფლუიდური სივრცე; თვითდამკვიდრება; ფლუიდური გარეგნობა.
8 – ირაკლი	ქვიარ კაცი	33	04/10/2021	ოჯახი; თვითდამკვიდრება; გარეგნობა; ტრავმული გამოცდილება; გამკლავება.
9 – თიკო	ქვიარი ქალი	35	18/09/2021	ხილვადობის პოლიტიკის კრიტიკა; სოლიდარობის/ თანაგრძობის პრობლემემატიკის ანალიზი.
10 – თეა	ქვიარი ქალი	21	12/10/2021	სექსუალური შევიწროება; სოლიდარობა თემში; სახლის განცდის დაკარგვა; ქამინგაუთი როგორც ქრონიკული ტრავმა.
11 – ია	ტრანსგენდერი ქალი	25	18/09/2021	სხეულის ზიზლი; შეზღუდული სივრცე; არაბინარული სხეული; სივრცის გაფართოება ტრანზიციის პროცესში.
12 – მიხეილი	ტრანსგენდერი კაცი	42	18/09/2021	თავდასხმები/ტრავმული გამოცდილებები; სხეულის დამალვა, როგორც გამკლავება; კაცის სხეულში ყოფნის პრივილეგიები.
13 – ზურა	ტრანსგენდერი კაცი	35	24/09/2021	სხეულის დამალვა, როგორც გამკლავება; ტრავმული გამოცდილება; სივრცის გაფართოება ტრანზიციის პროცესში.
14 – ნიკა	ქვიარი კაცი	29	30/09/2021	ფლუიდური სივრცე; ფლუიდურობა, როგორც რესურსი; აქტივიზმი; ქვიარის სტანდარტიზაცია; ექსკლუზიური სივრცე.
15 – მარიამი	არაბინარული	23	30/09/2021	სექსუალური ძალადობა; სხეულის ზიზლი; ფლუიდური სივრცე; ფლუიდური გარეგნობა.
16 – ნატალია	ქვიარი ქალი	25	29/09/2021	ტრავმული გამოცდილება; ქამინგაუთი როგორც ქრონიკული ტრავმა; გამკლავება; აქტივიზმი.

4. კვლევის მიზნუბები

ქვემოთ დეტალურად ვისაუბრებთ ქვიარ სხეულის ტრავმულ გამოცდილებებზე ურბანულ სივრცეში. შევეხებით ტრავმის ინდივიდუალურ აღქმას, მის სიმპტომებს, გენდერულ განზომილებას, მასთან გამკლავების სტრატეგიებს და ტრავმის ზეგავლენას ქვიარ ადამიანების ცხოვრებასა და ურთიერთობებზე. ამასთანავე, თემის წევრების გადმოსახედიდან, შევეცდებით გადმოვცეთ, რას ნიშნავს სოლიდარობა და აქტივიზმი და რა ფორმა შეიძლება მიიღოს მან. ქვიარ ადამიანების უსაფრთხო სივრცეზე საუბრისას შევეხებით უსაფრთხოების შეგრძნებისა და სივრცის მუდმივად ცვალებად, ფლუიდურ ხასიათს. ვახსენებთ იმ სტრატეგიებსა და მიდგომებსაც, რომლებსაც ისინი იყენებენ მუდმივად საფრთხის შემცველ სივრცეში ნავიგაციის მიზნით. ამ პროცესში, აღმოვაჩინთ რა როლი უჭირავს მათ სხეულს, როგორც ქვიარ იდენტობის განსმზღვრელს და როგორც პრავმატულ ინსტრუმენტს, შეიქმნას უსაფრთხო გარემო. ქვიარ სხეულებსა და სივრცეებზე საუბრისას კი ვიხილავთ, როგორ შეიძლება ქალაქმა და ფიზიკურმა გარემომ შეცვალოს მათი ქცევა, ვიზუალი და პირიქით, როგორ ყალიბდება გარკვეული ნარმოდგენები ქალაქის შესახებ ქვიარ პერსპექტივიდან.

4.1. ქვიარ ტრავმა – ძალმობრივი გამოცდილებების ჯაჭვი

რას შევადარებდი ტრავმას? ტრავმას შევადარებდი როგორ რაღაცას იცი... მარცვალს, რომელსაც როცა ჩარგავ, თუ არ მიხედავ, გაიზრდება და მოგიცავს და მოვა შენამდე რაღაც სახით, რომელიც არ არის მარცვლის სახე... შეცვლილია უკვე...დამახინჯებული, გადიდებული..“ (ინტერვიუ ნინოსთან, 11/09/2021).

ამ ნაწილში, ქვიარების ტრავმულ გამოცდილებებსა და მასთან გამკლავების გზებს მიმოვიხილავთ. ინტერვიუებში ჩანს, რომ სექსუალობასა და გენდერულ იდენტობასთან ან მის გამოხატვასთან დაკავშირებული ტრავმული მოვლენები და შიში მცირე ასაკიდან იღებს სათავეს, და თვითგამორკვევის პროცესსა და ინტიმურ ურთიერთობებს უკავშირდება. ამ ასაკიდან მოყოლე-

ბული, ტრავმული და ძალადობრივი გამოცდილებები არ წყდება ზრდასრულობაში, არამედ უფრო სერიოზულ სახეს იღებს, მაგალითად, ქამინგაუთის შემდეგ ადამიანები კარგავენ მეგობრებს, ირიყებიან ოჯახებიდან, თავდასხმის ობიექტები ხდებიან საჯარო თუ კერძო სივრცეებში და სხვა. თუმცა, ასევე იცვლება გამკლავების ხერხებიც და გამომუშავდება გარკვეული სტრატეგიები, რომლებიც ამგვარი გამოცდილებების შემციირებაზეა მიმართული. რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ მუდმივი ძალადობრივი გამოცდილებების ფონზე, მათ მოდუნების საშუალება არ ეძლევათ, რაც, თავის მხრივ, აიძულებთ ახალი უნარები და სტრატეგიები განივითარონ.

ინტერვიუებში, მონაწილეებს ვეკითხებოდით, თუ რას ნიშნავს მათთვის ტრავმა, რა ასოციაციები უჩნდებათ ამ სიტყვაზე და რომელი გამოცდილებები ან მოვლენები მიაჩნიათ მატრავმირებლად. ვისაუბრეთ როგორც პირად გამოცდილებებზე, ასევე სათემო დონეზე, პოტენციურად მატრავმირებელ მოვლენებზე, როგორებიც იყო, მაგალითად, 2013 წლის 17 მაისი, ტრანსგენდერი ქალების მკვლელობები, 2021 წლის 5 ივლისი და სხვა. მიუხედავად იმისა, რომ რესპონდენტებს ამ მოვლენებში ჩართულობის სხვადასხვაგვარი გამოცდილება აქვთ – ზოგიერთმა საკუთარ თავზე იგრძნო სიცოცხლის ხელშესახები რისკები, ზოგიერთმა კი ეკრანიდან ან საერთოდაც სხვა ქვეყნიდან ადევნა თვალი მოვლენებს, მათი ემოციური რეაქციები საკმაოდ ჰგავს ერთმანეთს. ტრავმის სუბიექტურ აღქმებსა და განმარტებებში კი გამოჩნდა საერთო ნიშნები, რომლებითაც მონაწილეები ტრავმულ გამოცდილებებს ახასიათებენ.

4.1.1. ტრავმა და იძულებითი ცვლილებები

რესპონდენტები ტრავმას უკავშირებენ ცვლილებებს, რომლებიც ნებით თუ უნებლიედ მოხდა მათ ცხოვრებაში და აისახა, როგორც მათ პიროვნულ თვისებებზე, ასევე ურთიერთობებზე გარშემომყოფებთან. კითხვაზე თუ რას ნიშნავს მათთვის ტრავმული გამოცდილება, ხშირად ჩნდებოდა ასოციაციები, როგორებიც არის უმნეობა, შიში, ემოციური სტრესი, იძულებითი ცვლილება, განდევნილი მესსიერება, მოულოდნელობა, ნეგატიური ემოცია, „მარცვალი, რომელიც იზრდება და მახინჯდება, თუ არ მიხედავ“.

ნატალია ტრავმას აღწერს, როგორც ნეგატიურ მოვლენას, რომელიც დროთა განმავლობაში გცვლის საკუთარი სურვილის სანინალმდეგოდ. მაგალითად, ბავშვობაში განცდილმა შიშმა შეცვალა მისი გამონხატვის თავისებურებები, ურთიერთობები, გახადა უფრო ფრთხილი და ეჭვიანი. ამ ცვლილებების გააზრება კი მხოლოდ ზრდასრულ ასაკში შეძლო.

პატარ-პატარა რაღაცები საბოლოო ჯამში გცვლის, ესაა უფრო ჩემთვის ტრავმული.. თან აი, წლების მერე იაზრებ, რომ რაღაცის გამო საერთოდ შეიცვალე, სხვა გადაწყვეტილება მიიღე და საერთოდ არ გინდოდა ეგრე ყოფილიყო... (ინტერვიუ ნატალიასთან, 29/09/2021).

ტრავმის მუდმივი განახლების შესაძლებლობაზე საუბრისას ნინო აღნიშნავს, რომ ტრავმული გამოცდილება შესაძლოა სხვა ფორმით დაბრუნდეს ცხოვრების სხვადასხვა ეტაპზე.

[ტრავმა] რაღაც პერიოდის განმავლობაში რჩება შენს გონებაში რაღაც სახით. შეიძლება ვთქვათ, არ იყოს სულ აქტიური, მაგრამ რჩება და მისი გაახლება არის შესაძლებელი (ინტერვიუ ნინოსთან, 11/09/2021)

ანალოგიურად, თეასთვის, ტრავმა არის ის, რაც დავინყებულები გაქვს, მაგრამ, როგორც წესი, მაინც გახსენდება მოულოდნელად და ხელს გიშლის ყოველდღიურ საქმიანობაში:

ტრავმა არის ისეთი რაღაც გამოცდილება, რომელიც შეიძლება მე არ მეხებოდეს პირადად, შევესწრო უბრალოდ, ნეგატიურ ემოციებს იწვევს მაშინვე და მერე ტვინში რაღაცნაირად, არასწორად ილექება. მაგალითად, ჩემი ტრავმები, ბავშვობის ტრავმები დღეს მახსენებს ხოლმე თავს, შეიძლება საჭმელს ვაკეთებდე და შეიძლება რაღაც ფაქტები ამომიტივტივდეს, გამახსენდეს (ინტერვიუ თეასთან, 12/10/2021).

ანდრეა აღწერს ფიზიოლოგიურ შეგრძნებებს ტრავმულ მოვლენებზე ფიქრისას, იგი ამბობს, რომ სწორედ ეს შეგრძნებებია სიგნალი იმისა, რომ რაღაც არ არის დასრულებული:

ფიზიკურად, რაღაც ის მაქვს ხოლმე... შეგრძნებასავით მაქვს ზოგადად, გულის არეალში თითქოს რაღაც მანევს და დამულამებული მაქვს რომ, ასე რომ ხდება, რაღაც ისე ვერ არის და რაღაც ტრავმები ისევ მახსენებს თავს (ინტერვიუს ანდრეასთან, 28/09/2021).

მაია გამოყოფს შიშისა და უმწეობის განცდებს, რომლებიც ყოვლისმომცველია და ხელ-ფეხს უბოჭავს ადამიანს იმისათვის, რომ ტრავმული მოვლენა თავიდან აირიდოს ან წინააღმდეგობა გაუწიოს მას:

პირველ რიგში ეს არის შიში... საერთოდ არაფერი არ მახსენდება... შიშის... ხო, უძლურების განცდა, უსუსურობის განცდა, აბსოლუტური უსუსურობის განცდა მქონია ეგეთ შემთხვევებში (ინტერვიუ მაიასთან, 16/09/2021)

4.1.2. ქვიარ ტრავმა

ინტერვიუებში ვისაუბრეთ, თუ რით შეიძლება გამოირჩეოდეს ქვიარ ტრავმები სხვა ჯგუფების ტრავმული გამოცდილებებისგან. რესპონდენტები ორ ძირითად მომენტს გამოყოფენ. პირველი, ეს არის თვითგამორკვევის პროცესთან დაკავშირებული სირთულეები, რომლებიც შესაძლოა საკუთარი თავის უარყოფითაც დასრულდეს და ადამიანი მიიყვანოს თვითდესტრუქციულ ქცევამდე. ამ თვალსაზრისით, ზოგიერთმა მონაწილემ ახსენა თვითდაზიანების პრაქტიკა და ალკოჰოლის ჭარბი მოხმარება, ან სოციალური წრისგან სრულად იზოლირება. მეორე ასპექტი, რასაც მონაწილეები გამოყოფენ, როგორც ქვიარებისთვის დამახასიათებელ პოტენციურად მატრავმიზირებელ მოვლენას, ეს არის სხვა ადამიანებთან ქამინგაუთი, რაც ასევე მრავალ ტრავმულ გამოცდილებასთან არის კავშირში:

არ აქვს მნიშვნელობა ახლა ის ქვიარის რომელ კონკრეტულ ჯგუფს განეკუთვნება ის ადამიანი, დავუშვათ იგივე ქვიარ ერთიანობაში... ჩვენი ყველაზე მძიმე სიტუაცია იწყება ბავშვობიდან. ჯერ პირველ რიგში, ალბათ საკუთარი თავის აღქმიდან. მე იმდენად არ მქონდა ეს ტრავმულად, მაგრამ ძალიან ბევრს, ვიცი, რომ ძაან ტრავმულად ჰქონდა საკუთარი თავის მიღების მომენტი. აი, იქიდან იწყება ყველაფერი და მერე ეს მოდის უკვე მთელი ცხოვრება და ამას როცა ემატება უკვე სოციუმი და ძალიან ბევრი ფაქტორი, სულ ფიქრობ როგორ არ გავგიჟდით აქამდე (ინტერვიუ ასმათთან, 01/10/2021)

სოციუმის გავლენაზე კი ნატალია საუბრობს და იხსენებს ბავშვობაში მომხდარ ინციდენტს, როდესაც პირველად შეუყვარდა თავისი სკოლელი გოგო და ამის შესახებ მეგობარს გაანდო. მეგობარმა კი, ჯაჭვისებურად, მთელს სკოლას. ნატალია იხსენებს, რომ ყოველდღე დაძაბული და შეშინებული ელოდებოდა, როდის მოვიდოდა ეს ამბავი მისი მშობლების ყურამდე.

სექსუალური ორიენტაციის ან გენდერული იდენტობის გამჟღავნება საკმაოდ რთული და ემოციური გამოცდილებაა, რადგან ამას ნეგატიური შედეგები შეიძლება მოჰყვეს, მაგალითად, განწყვეს კავშირები ან ადამიანი იქცეს თავდასხმის მსხვერპლად. განსაკუთრებით ეს საკითხი შესაძლოა მატრავმირებელი აღმოჩნდეს ოჯახის წევრებთან და ახლობელ ადამიანებთან ურთიერთობაში, თუ ისინი უარგყოფენ.

ია, ამის მაგალითად იხსენებს, რომ ქამინგაუთის შემდეგ სახლიდან მოუწია წამოსვლა, რადგან ან მას უნდა დაეტოვებინა სივრცე, ან მის ძმას. იამ ამჯობინა, თავად ექირავებინა ბინა, რადგან უმცროსი ძმა ამას არ გააკეთებდა. ქრონიკულ ზენოლაზე საუბრობს თეა, რომლისთვისაც ქამინგაუთი ერთგვარი წყალგამყოფი ხაზია, როდესაც ერთ ცხოვრებას ასრულებს და მეორეს იწყებს, თუმცა ეს საკმაოდ რთული შეიძლება აღმოჩნდეს:

როცა იმალები, ეს არის რაღაც განგრძობითი ფსიქოლოგიური ზენოლა, შენს თავს უქმნი ამ ყველაფერს. როცა ქამინგაუთი გაქვს გაკეთებული და ეს ერთი დიდი დრამა რომ გადაივლის, მე რე უფრო ბევრად თავისუფლად გრძნობ თავს და მართლა მთების გადადგმა შეგიძლია და ველარაფერი შეგაჩერებს, იმიტომ რომ იციან და იმის იქით აღარაფერია. ოღონდ უნდა გქონდეს ის მენტალური შესაძლებლობა და მდგომარეობა, რესურსი, რომ ამ ერთ დიდ დრამას, რაღაცნაირად ამ ცხოვრების გადატრიალებას, ჯერ თავზე ჩამონგრევას და მერე აღდგენას რომ გაუძლო რა, იმიტომ რომ, რეალურად, თავზე გენგრევა, ის ილუზია, რაშიც ცხოვრობდი ამდენი წელი შენი ხელით უნდა დაანგრიო, ამ სიმართლით უნდა დაანგრიო უცებ დედაშენის ცხოვრებაში, მამაშენის ცხოვრებაში და მითუმეტეს, პირად ცხოვრებაშიც (ინტერვიუ თეასთან, 12/10/2021).

მეორე მხრივ, ქამინგაუთი განიხილება ქრონიკული ტრავმის დაძლევის შესაძლებლობადაც, თუმცა იმ შემთხვევაში თუ მხარდამჭერი წრე არსებობს.

ზურა გვიყვება, რომ თავდაპირველად ძალიან შიშობდა თავისი გენდერული იდენტობის გამჟღავნების გამო, რადგან არ სურდა, რომ ადამიანები დაეკარგა და მარტო დარჩენილიყო. თუმცა, მას შემდეგ რაც სხვა ქვიარ ადამიანებთან დაიწყო კომუნიკაცია და მათი გამოცდილებები გაიზიარა, ამან გააძლიერა და ქამინგაუთის პროცესი დედასთან დაიწყო. ასევე, ქამინგაუთს განიხილავს ძლიერ ინსტრუმენტად მარიამი, იგი აღნიშნავს, რომ მეტად შეძლო საკუთარი თავის დაცვა, მას შემდეგ რაც მეგობრებთან გაამჟღავნა თავისი სექსუალური ორიენტაციის შესახებ:

მეგობრებისთვის ადრე თუ მიპატიებია ჰომოფობია, ან მიუღებლობა, ამის [ქამინგაუთის] მერე აღარ მიპატიებია და უბრალოდ გამიწყვეტია ურთიერთობა, რაც აქამდე შეუძლებლად მიმაჩნდა. ყოველთვის თავს ვიკავებდი ხოლმე და შემდგომ უფრო შემეძლო, რომ ჩემი თავი დამეცვა (ინტერვიუ მარიამთან, 30/09/2021).

მონაწილეები ასევე აღნიშნავენ, რომ პირიქითაც, ზოგჯერ მხარდაჭერის მიღებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს ქამინგაუთი, რადგან ოჯახის წევრები და მეგობრები სხვაგვარად იწყებენ მათ აღქმას, როდესაც ქვიარი არ არის ვილაც უცხო და შორს მყოფი, არამედ საკუთარი ოჯახის წევრი ან მეგობარია. თუმცა, რამდენადაც დისკრიმინაციული და აგრესიულია გარემო, მით მეტად არის რისკი, რომ ქვიარ ადამიანებმა ტრავმულ და ძალადობრივ გამოცდილებებში იცხოვრონ, განსაკუთრებით ქამინგაუთის შემთხვევაში.

4.1.3. გენდერი და ტრავმა

ნარატივებში გამოჩნდა, რომ ტრავმული გამოცდილებები განსხვავდება გენდერის ნიშნით. განსხვავებული გამოცდილებები აქვთ ქვიარ ქალებს, სხვაგვარი გამოწვევების წინაშე დამდგარან ქვიარი კაცები. ტრანსგენდერი და არაბინარული ადამიანების გამოცდილებები კიდევ უფრო გამოირჩევა დანარჩენებისგან. ასევე, ევა ინტერვიუში მიუთითებს ტრავმული გამოცდილებების ინტერსექციურ ჭრილში გააზრების აუცილებლობაზე, რადგან როდესაც ადამიანი რამდენიმე უმცირესობის ჯგუფს მიეკუთვნება, მისი გამოცდილებები გაცილებით მძიმეა და განსხვავებულია გამკლავების შესაძლებლობებიც. ევა რელიგიურ უმცირესობას წარმოადგენს და ტრანსგენდერი ქალია, ისევე როგორც მიხეილი ეთნიკური უმცირესო-

ბის წარმომადგენელია და ტრანსგენდერი კაცია. ეს ჩაგვრის ერთგვარ იერარქიას ქმნის თემის შიგნითაც.

ქვიარ ქალ რესპონდენტებს აერთიანებთ სექსუალური შევიწროების, ადევნებისა და გაუპატიურების გამოცდილებები, რის შედეგადაც აღწერენ მრავალ ცვლილებას, რომელიც განიცადა მათმა სხეულმა, გონებამ, სივრცისა და დროის აღქმამ. მაგალითად, გაჩნდა ადგილები, სადაც მოხვედრას თავს არიდებენ, შეიცვალა მათი გამოხატვის თავისებურებები და დამოკიდებულება სხეულის მიმართ.

მარიამი იხსენებს სექსუალური ძალადობის მცდელობის ეპიზოდს, რომელმაც მრავალწლიანი შედეგები მოიტანა მის ცხოვრებაში. იგი განსაკუთრებით ხაზს უსვამს ნეგატიურ ემოციებს საკუთარი და სხვისი სხეულების მიმართ, შეხების აუტანლობას, სხეულის „გამოცვლის“ სურვილს, რამაც, საბოლოო ჯამში, პარტნიორულ ურთიერთობაზე ათქმევინა უარი:

მთვრალი მამაკაცი ამედევნა, ოღონდ ყურსასმენები მეკეთა და ვერ გავიგე რომ ამედევნა... თავს დამესხა.. თავს დამესხა და, მართალია, თავი დავალწიე მაგ სიტუაციას საბოლოოდ, მაგრამ რატომღაც იმ დღის მერე ძალიან დიდი ხანი დამჭირდა, რომ საკუთარი სხეული, არ ვიცი, ძაან ისე ვგრძნობდი თავს.. დამცირებულად ვგრძნობდი თავს და მრცხვენოდა, მაგრამ რის მრცხვენოდა წარმოდგენა არ მქონდა. (ინტერვიუ მარიამთან, 30/09/2021).

ტრავმული გამოცდილების მიერ სექსუალური რეპრესირების შედეგებზე საუბრობს ირაკლიც:

ყველაზე მეტად, მგონია, რომ [ტრავმის შედეგები] აისახა, რამდენიმე თვის განმავლობაში, სექსუალურ ცხოვრებაზე. ალბათ, ეს ცოტა გვიან გავაცნობიერე... რამდენიმე თვის განმავლობაში, საერთოდ სურვილიც კი არ მქონდა და თითქოს, რაღაც ძაან გაუცნობიერებლად, გადასული იყო თვითცენზურაში (ინტერვიუ ირაკლისთან, 04/10/2021).

მას მიაჩნია, რომ საბოლოო მიზანი, ქვიარ ადამიანებზე თავდასხმების, სწორედ მათი სექსუალობისა და მასთან ასოცირებული თავისუფლების

შეგრძნების დაქვეითებაა. ეს, ირაკლის მტკიცებით, ხელს უწყობს ძალა-
უფლების უთანასწორო სტრუქტურების შენარჩუნებასა და თემის ჩაგვ-
რის კვლავნარმოებას:

ესეთი რეპრესიული აქტები, ეს ძალადობრივი აქტები, უკვე მგო-
ნია, რომ მთლიანად მაგისკენ არის მიმართული რომ ამ სექსუა-
ლური იმპულსების მაქსიმალური ჩახშობა მოახდინოს. იმიტომ,
რომ ადამიანი, რომელიც სექსუალურად გათავისუფლებულია და
საკუთარ სხეულთან, თავთან და სექსუალობასთან არის კომფორ-
ტში და ამით სიამოვნების მიღება და ტკბობა შეუძლია, ასეთი
ადამიანები მგონია, რომ სისტემისთვის არის სახიფათო ადამი-
ანები და მაგიტომ მგონია, რომ აი ეს მთელი რელიგიური და პო-
ლიტიკური ისტებლიშმენტის ნარატივი დგას სექსუალობის რეპ-
რესიაზე ყველაზე მეტად (ინტერვიუ ირაკლისთან, 04/10/2021).

ნინო გვიყვება უნივერსიტეტში თავდასხმის მცდელობის ფაქტს, როდე-
საც ის და მისი პარტნიორი ალყაში მოაქციეს იქვე მყოფმა ბიჭებმა. ნინო
აღნიშნავს, რომ ამ ამბის შემდეგ უნივერსიტეტში სიარული ძალიან გაუ-
ჭირდა, რადგან ყოველ ჯერზე უხდებოდა იმავე სივრცეში მოხვედრა და
პოტენციური თავდამსხმელების გარემოცვაში ყოფნა. ნინო ინტერვიუში
აღნიშნავს, რომ მიუხედავად იმისა, რომ აგრძელებდა უნივერსიტეტში
სწავლას და სამსახურში სიარულს, სადაც მას ასევე ჰქონდა გენდერუ-
ლი გამოსხატვის ნიშნით შევიწროების გამოცდილებები, სიამოვნებისა და
კარგად ყოფნის განცდამ იკლო, თუმცა კი ფუნქციურობა შეინარჩუნა:

სწავლის მხრივ თვითონ უნივერსიტეტში წასვლა გახდა ცუდი
და არასასურველი ჩემთვის... სამუშაოს მხრივ, თვითონ საქ-
მე რასაც ვაკეთებდი ძალიან მიყვარდა, მაგრამ აი სიამოვნე-
ბის „ლეველი“ [ქართ. დონე], კარგად ყოფნის „ლეველი“ [ქართ.
დონე], სამსახურში, ვთქვათ იმის გამო რომ ვიცოდი, რომ ჩემი
გარეგნობის გამო ვიყავი განდევნილი? არ ვიცი რა სიტყვა ვიხ-
მარო... ანუ, გაუცხოებული მათ მიერ, შესაბამისად, ჰქონდა, რა
თქმა უნდა, გავლენა იმაზე, თუ რამდენად მინდოდა წასვლა სამ-
სახურში ან ხო... რამდენად კარგად ვგრძნობდი თავს იმავე სამ-
სახურში (ინტერვიუ ნინოსთან, 11/09/2021).

ფიზიკური თავდასხმის ეპიზოდს იხსენებს მიხეილი, როდესაც ის ტრანზიციამდე პერიოდში, ქალის სხეულში, შეყვარებულთან ერთად იყო საჯარო სივრცეში. მიხეილი ამბობს, რომ მსგავსი შემთხვევები მრავლად ჰქონია ცხოვრებაში, რის შემდეგაც მან მკაცრად შეზღუდა თავისი სოციალური წრე და ცხოვრება იქცა „სახლი-სამსახურად“, იგი თავს არიდებს საჯარო გართობის სივრცეებში ყოფნას, ზოგადად ხალხმრავლობას:

დედაენის ბაღში ვიჯექით, სიგარეტს ვენეოდით და ხელი მქონდა გადახვეული, თან სკამზე მედო, ისე კი არა რომ ვეხუტები და რალაცა. ხელი მქონდა გადადებული და სიგარეტს ვენეოდი. „თქვენი ლესბოსელი დედა“ და ... სამმა კაცმა ისე წამაყარა, რომ ვერ მივხვდი სად ვარ, რას ვაკეთებ და რა უნდათ. ძალიან სერიოზულად ნაცემი, ორჯერ დანადარტყმული, ფეხი გამიჭრეს და ნეკნს გადაატარეს, ნუ ღრმა ჭრილობა არ იყო... (ინტერვიუ მიხეილთან, 18/09/2021)

აქვე, მიხეილი აღნიშნავს, რომ ტრანზიციის შემდეგ, კაცის სხეული თავისთავად ქმნის დაცულობის განცდას და ნაკლები საფრთხის ქვეშ ამყოფებს მას. იგი ამბობს, რომ მას მერე რაც მისი სხეული გახდა აშკარად მასკულიური და პოზიციონირებს როგორც კაცი, თავდასხმისა და ჩაგვრის გამოცდილებებმა იკლო:

დღევანდელ დღეს როცა გიყურებენ როგორც კაცს, ძალიან ბევრი უკვე ფრთხილობს, რომ კაცმა შეიძლება სხვანაირი პასუხი გასცეს, შეიძლება ძალით გაჯობოს, აღარ მოდის აგრესიულ კონტაქტზე ადამიანი (ინტერვიუ მიხეილთან, 18/09/2021).

4.1.4. ტრავმულ გამოცდილებებთან გამკლავება

ტრავმულ გამოცდილებებთან გასამკლავებლად მონაწილეები სხვადასხვაგვარ მიდგომებს მიიჩნევენ ეფექტურად, ზოგ შემთხვევაში ეს შეიძლება ჩაითვალოს კონსტრუქციული გამკლავების გზად, ხოლო ზოგ შემთხვევაში უფრო მეტად თვითგანადგურებაზე იყოს მიმართული.

თავად ტრავმული გამოცდილება შესაძლოა იყოს დაძლევის გზაც, ერთგვარი სისხლის გაღება შემდგომი უსაფრთხოებისთვის. ევა იხსენებს თავდასხმის ფაქტებს საჯარო სივრცეში, რომლის შემდეგაც რალაც შე-

იცვალა მასში და მის მიმართ მოძალადეების მხრიდან დამოკიდებულება-
ში. თითქოს, მან მსხვერპლი გაიღო და უსაფრთხოდ გავლის საშუალება
მოიპოვა თავდასხმის ეპიზოდების შემდეგ:

დღესდღეობით, კი არ არის ჩემთვის უსაფრთხო გარემო ქუჩა,
თუმცა აღარ არის ის, „ფორტ ბოიარდის“ ელემენტები, რომ უნ-
და გადავლახო ეტაპები, აღარ მეშინია. იგივე, ის ბავშვები, ვინც
მე მცემდნენ და შეურაცხყოფას მაყენებდნენ, ან „ნივიჟუს“ მირ-
ტყამენ, ან დაჟე არის ხალხი, ვინც მესალმება კიდევ. წარმო-
იდგინე, ვინც 2013 წლის 18 მაისს [საჯარო სივრცის ლოკაცია]
ტიპებმა მცემეს, სისხლი მქონდა, ნიაღვარი ცხვირიდან და...
დღესდღეობით, რომ მხვდებიან იგივე სასტავი [საჯარო სივრ-
ცის ლოკაცია], „ზდაროვას“ (ავტ. მისალმების ფორმა) რომ მეუბ-
ნებიან, „ააა, ბატონო?“ და ჩავუვლი. ჩავუვლი, არ მეშინია, რომ
იქ ჩავიარო, იმ „ტოჩკაზე“ (ავტ. ადგილას) სადაც მცემეს რა...
ანუ, ხო ხვდები რა, ცვლილებები რაღაც, შენში უფრო ხდება და
ის გარემოება დღეს თუ ჩემთვის საშიშია, ხვალ შეიძლება არ
იყოს და იგივე ადგილი დღეს თუ ჩემთვის უსაფრთხოა, ხვალ შე-
იძლება აღარ იყოს უსაფრთხო (ინტერვიუ ევასთან, 02/10/2021).

ნატალია უმეტეს შემთხვევაში შეტაკების სტრატეგიას ირჩევს და საფ-
რთხეს საფრთხითვე პასუხობს, ეს მის გამოცდილებაში ყველაზე ეფექტუ-
რი გზა აღმოჩნდა ნეგატიური გამოცდილებების თავიდან ასარიდებლად.
იგი ამბობს, რომ მაგალითად სამსახურში, იციან, უპასუხოდ არავის და-
ტოვებს, ამიტომ ერიდებიან მის შევიწროებას – „რა ენაზეც მელაპარაკე-
ბიან, იმ ენით ვპასუხობ“, ამბობს ნატალია.

მარიამი ჰყვება, რომ ტრავმული გამოცდილებების შემდეგ გაუმძაფრ-
და გარემოს კონტროლის სურვილი, კონტროლი მისი სტრატეგიაა, რათა
საფრთხეები აირიდოს თავიდან. ეს მას ეხმარება შფოთვის შემცირებაში,
თუმცა დიდ ენერჯიას მოითხოვს მისგან:

ყოველთვის ყველგან სულ ძალიან ფხიზლად ვარ და გარშემო სი-
ტუაცის ვაკონტროლებ... ქუჩაში ყოველთვის უკან ვიხედები და
არასდროს აღარ მიკეთია ყურსასმენები, ყოველთვის ვცდილობ ვა-
კონტროლო ირგვლივ რა ხდება (ინტერვიუ მარიამთან, 30/09/2021).

სოციალური გამკლავება

ტრავმულ გამოცდილებებთან გასამკლავებლად დამხმარე საშუალებად მონაწილეები მიიჩნევენ საკუთარ გამოცდილებებზე საუბარს მათთვის სანდო ადამიანებთან ან პროფესიული დახმარების სერვისებს – „მესმის რომ მძიმეა, თუმცა უნდა ჩართო სპეციალისტები და ა.შ. ამაზე არ უნდა იყო დაციკლებული“, გვეუბნება ევა.

თეა აღნიშნავს, რომ ფსიქოლოგიური სერვისის მისთვის დამხმარე რესურსი აღმოჩნდა ტრავმულ გამოცდილებებთან გამკლავების პროცესში – „ფსიქოლოგთან სიარულმაც შეუწყო ამ ყველაფერს ხელი, რომ ბევრი რაღაც გამეაზრებინა და მაგალითად, რასაც გავუბოდი, თვალს ვხუჭავდი და მანუხებდა, ყველა ეს დამარხული თემა ზედაპირზე ამოვიტანე და სხვანაირად შევხედე...“

მარიამი ასევე ამბობს, რომ თვითგამორკვევის პროცესში მისი მთავარი მხარდამჭერი მისი ქვიარ მეგობარი აღმოჩნდა, რომელიც იგივე პროცესს გადიოდა. განსაკუთრებით ცხოვრების ისეთ მონაკვეთში, როდესაც მათ ხელი არ მიუწვდებოდათ ინფორმაციაზე და არც სათემო ორგანიზაციების შესახებ იცოდნენ რამე:

ჩემი საუკეთესო მეგობარი ვინც არის.. ორივე ვართ ქვიარ ადამიანები და როცა ერთმანეთთან დავქამინგაუთდით, ამ ყველაფერმა ძალიან დააჩქარა ეგ, იმიტომ რომ ერთმანეთში აზრების გაცვლა, ინფორმაციის გაცვლა... ერთი ადამიანიც რომ გყავს, როცა შეგიძლია, რომ დაელაპარაკო, ეგ ძალიან ბევრს ნიშნავდა (ინტერვიუ მარიამთან, 30/09/2021).

იზოლირება და საკუთარი თავის „გადაკეთება“

თვითიზოლირებისკენ მიდრეკილება ამცირებს რეალიზაციის შესაძლებლობებს, აკარგვინებს ადამიანებს განვითარების, ზრდის შანსს, შემოსაზღვრავს რა მათ ერთ სივრცეში. როდესაც ტრავმულ გამოცდილებებს ქრონიკული ხასიათი აქვთ, შესაძლოა, ამან ჩაკეტილ წრეში შეგვიყვანოს. ქვიარ ადამიანებისთვის ეს გამოცდილება ნაცნობია. მაგალითად, სივრცისა და კონტაქტების შეზღუდვა, გამოსავლად მიაჩნია მიხეილს. იგი ამბობს, რომ წლების მანძილზე, მას მერე, რაც ბევრი მტკივნეული გამოცდილება გამოიარა, მათ შორის ტრანზიციის პროცესში, დაკარგა ახლო მეგობრები, განწყვიტა ძმასთან ურთიერთობა, ბევრჯერ დაზიანდა,

საბოლოოდ მივიდა გადანყვეტილებამდე, რომ მკაცრად შემოესაზღვრა სოციალური წრე:

მე ჩემთვის ვიპოვე ყველაზე სწორი გამოსავალი, რომ მე ვარ ცალკე... მე ვიპოვე ჩემი ოქროს გალია, სადაც ვარ მშვიდად და დავიტოვე მარტო ისინი, ვისგანაც ვიცი უეჭველი, რომ არაფერი არ მომხვდება ზურგსუკან (ინტერვიუ მიხეილთან, 18/09/2021).

მსგავსი გამკლავების გზას მიმართა ზურამაც, მის შემთხვევაშიც ურთიერთობებისა და ხელმისაწვდომი სივრცეების შეზღუდვა იდენტობის ცვლილებას და ტრანზიციის პერიოდს უკავშირდება. იგი ამბობს, რომ მას მერე რაც აქტივიზმში ჩაერთო და ონლაინ სივრცეში გაამჟღავნა საკუთარი გენდერი, ავტომატურად განყდა კავშირები:

ჩემი გარემო რასაც ჰქვია, გარშემომყოფები, შემოიფარგლება თემის წევრებით, მათი მეგობრებით, მხარდამჭერებით და მორჩა. ოჯახი და ძალიან ახლო ნათესავები: ორი დეიდა, ორი დეიდაშვილი და სამი მეგობარი. (ინტერვიუ ზურასთან, 24/09/2021)

ნატალია, სხვა მონაწილეების მსგავსად, ვერანაირ გამოსავალს ვერ ხედავს საქართველოში ბედნიერების მოპოვების თვალსაზრისით და აქტიურად განიხილავს ქვეყნის დატოვების საკითხს. იგი ამბობს, რომ მისი ბევრი მეგობარი წავიდა საქართველოდან და თავადაც ამ სამზადისშია:

მხოლოდ გაჭირვებაზეც არ არის [ქვეყნის დატოვების სურვილი]... ალბათ, ბედნიერებაც უნდათ [ქვიარ ადამიანებს], რომელიც აქ რომ გქონდეს ძალიან რთულია, შეიძლება არავინ გცემოს, მაგრამ ბედნიერიც არ იყო, იმიტომ რომ ვერ იყო ისეთი როგორიც ხარ ამ ბევრი წვრილმანის გამო. ალბათ, ბედნიერების გამო მიდიან, ვიდრე სხვა რამისთვის... (ინტერვიუ ნატალიასთან, 29/09/2021).

ანდრეამ, კიბერბულინგის მძიმე გამოცდილების შემდეგ, გაცნობიერებულიად დაიწყო საკუთარ თავში კონკრეტული პიროვნების შექმნა, რომელიც აღარ გახდებოდა მსგავსი თავდასხმის მსხვერპლი:

ჩემი თავი ავიღე და სასურველი ადამიანის პროტოტიპი შევქმენი, რომელშიც მთლიანად ჩავჯექი და რაც ამ პროტოტიპში არ ჯდება, უბრალოდ გავრიყე ის თვისებები. ეს იყო, ყველაზე დიდი ცვლილება, რაც ტრავმას გამოუწვევია (ინტერვიუს ანდრეასთან, 28/09/2021).

ანდრეა ასევე იხსენებს პერიოდს, როდესაც პრაქტიკულად „გაიყინა“ და ეცადა მიუნვდომელი ყოფილიყო სხვებისთვის, რათა თავიდან აერიდებინა თავდასხმები – „ადამიანებს ჩემს განცდებს და ემოციებს არ ვანახებდი და ქვასავით ადამიანად ვასალებდი თავს“, ამბობს იგი.

ტრავმულ მეხსიერებასთან შეხვედრა

ტრავმულ მეხსიერებებს, ტრავმულ გამოცდილებებზე ფიქრს, რომელიც ზოგჯერ იძულებით იჭრება გონებაში, მონაწილეები სხვადასხვაგვარად უმკლავდებიან. ტრავმული მეხსიერებისგან გაქცევა, მისი დავიწყება, ნეგატიურ ემოციებთან გამკლავების ერთ-ერთი გზაა. ტრავმულ მეხსიერებასთან გასამკლავებლად, ადამიანს უსაფრთხო სივრცე ესაჭიროება, სადაც საუბარს ან რაიმე ფორმით მის გამოხატვას შეძლებს. ამ მხრივ, კი ქვიარები უფრო რთულ სიტუაციაში არიან, რადგან მათთვის უსაფრთხო სივრცეები ხშირად შეზღუდულია.

მაგალითად, ია ამჯობინებს, რომ დაივიწყოს რაც იყო – „მე ვცდილობ ჩემი ცხოვრებიდან ის წარსული ამოვშალო“. ამის საპირისპიროდ, კი ნატალიასთვის ღირებული აღმოჩნდა ნეგატიური გამოცდილებების გახსენება და აღიარება, ეს მას პასუხების მიღებაში ეხმარება:

უბრალოდ დავფიქრდი და ეგ იყო, რატომ მინდოდა ეგ, თუ მინდოდა რატომ ვერ ვაგრძელებდი ისე ცხოვრებას როგორც მინდოდა და საბოლოოდ ესეთ დასკვნამდე მივედი. საერთოდ არც ვიხსენებდი ისეთ რაღაცას ბავშვობიდან რაც ტრავმული იყო და ვფიქრობდი რომ ეგ იყო ჩემი გადაფარვის თუ თავდაცვის საშუალება; ვცდილობდი, რომ არ გამეხსენებინა, ახლა ნელ-ნელა მახსენდება მძიმე რაღაცები, ვერც ვხვდები ხოლმე ეგ მართლა მე დამემართა თუ სხვას.. მიჭირს ხოლმე აღიარება საკუთარ თავთან, რომ კი ეს შენს ცხოვრებაში იყო... უბრალოდ ესე დამავიწყდა... (ინტერვიუ ნატალიასთან, 29/09/2021).

მარიამი ცდილობს არ დააჩქაროს პროცესები და ეტაპობრივად დაძლიოს ტრავმული მენსიერების ზეგავლენა მის ყოველდღიურობაზე, ცდილობს ისაუბროს ამაზე სხვა ადამიანებთან, ეს ნელ-ნელა ამცირებს ნეგატიურ ემოციებს:

იმაზე კი ვბრაზდები, რომ ამ მომენტებს ვაძლევ უფლებას, რომ ამხელა გავლენა ჰქონდეს ჩემზე, მაგრამ ჩემს თავს არ ვაჩქარებ და ნელ-ნელა ამ ყველაფერს მივეჩვევი და როცა შემეძლება, მაშინ შემეძლება. იმიტომ რომ ადრე სულ ის პანიკა მქონდა, რომ სულ მექნებოდა ეს შიშები, მაგრამ შემდგომ ვისწავლე, რომ ვაცადო ჩემს თავს, შეგუება ვაცადო (ინტერვიუ მარიამთან, 30/09/2021).

ტრავმის შესახებ მოგონებებთან შეხვედრა, მათი გახსენება, ამბის მოყოლა, როგორც წესი, საკმაოდ რთულ ემოციებთან არის დაკავშირებული. თუმცა ეს აუცილებელი კომპონენტია ტრავმასთან გამკლავებაში. მაგრამ, ამ პროცესის დაჩქარებამ შესაძლოა მოჩვენებით შედეგებამდე მიგვიყვანოს. ამიტომ, ალბათ, ეს ორი სტრატეგია – გახსენება და დროის დათმობა, მნიშვნელოვნად დამხმარე იქნებოდა ქვიარ ადამიანებისთვის, რათა მათ ინდივიდუალურ თუ სათემო დონეზე, შეძლონ ტრავმების გადაქცევა გამოცდილებად, ერთგვარ გაკვეთილად.

საზრისი, როგორც გამკლავება

მნიშვნელობის, საზრისის ჩადება იმაში, რაც მოხდა შესაძლოა დიდ რესურსს მოითხოვდეს ადამიანისგან და ამისთვის დრო იყოს საჭირო. ზოგიერთი რესპონდენტი იხსენებს აქტივისტებზე ძალადობის ამბებს და მსჯელობს ტრავმის გავლენაზე, თუ როგორ შეეცვალათ ხედვის კუთხე და შეძლეს გადარჩენა და გაძლიერება.

სანდრა, 2013 წლის 17 მაისზე საუბრისას, როდესაც მის სიცოცხლეს რეალური საფრთხე დაემუქრა, ამბობს, რომ ამ შემთხვევამ გაააზრებინა საკუთარი როლი ცხოვრებაში, ერთგვარი საზრისი დაინახა იმაში, თუ რა არჩევანს აკეთებს ყოველდღიურად და ვის გვერდით დგას:

ამ გამოცდილებამ დამანახა ის, რომ რეალურად საკუთარი თავი ამანაც მაპოვნინა, სად უნდა ვყოფილიყავი და იმ დღიდან დავიწყე სამსახურების შერჩევაც კი... სად არ უნდა ვყოფილიყავი, სად არ უნდა მემუშავა, ვისთან არ უნდა მემუშავა და ვისთან უნდა მემუშავა, ვის გუნდში უნდა ვყოფილიყავი და ვის გუნდში არა... (ინტერვიუ სანდრასთან, 16/09/2021).

იგი, ასევე დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ამ გამოცდილებას, როგორც მეხსიერების შენახვას, რადგან სწორედ ეს მეხსიერება აძლევს მოტივაციას, რომ სხვა ადამიანებზე იზრუნოს.

ირაკლი აღნიშნავს, რომ ტრავმებს არ აღიქვამს როგორც ტრაგედიას, და ფიქრობს, რომ ამ გამოცდილებებმა არ უნდა ჩაგვითრიოს, არ უნდა ჩავიკარგოთ მათში. თუ გადაურჩები ამ „სიკვდილს“ პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით, მერე ყველაფერი უკეთესად მიდის. იმდენადაც კი, რომ შეიძლება სწორედ ეს გამოცდილება გახდეს მთავარი მამოტივირებელი სხვა საქმეების კეთებაში:

ამ საშინელ გამოცდილებას რომ გაექცე და იქიდან რომ გამოხვიდე, იმხელა უნარების განვითარებას იწყებ და არცერთი წამი მოდუნების საშუალებას და უფლებას არ აძლევ შენს თავს, რომ პირიქით, ეგ ძაან დიდ ენერჯიაში გარდაიქმნება ხოლმე, რომელიც სულ სადღაც, შენს სფეროში, საქმიანობაში, სწორად ოდნავ მაინც მიმართულება თუ მიეცი, იმხელა ენერჯიად გარდაიქმნება... ის, რაც შენი განვითარების და სრულფასოვანი განვითარების შემაფერხებელი ფაქტორია, ხდება შენი განვითარებისა და სრულფასოვნად ცხოვრების მთავარი ძრავი (ინტერვიუ ირაკლისთან, 04/10/2021).

მსგავსი მოსაზრება აქვს თეასაც, იგი ჰყვება, რომ ტრავმიდან ორი გამოსასვლელი არსებობს, ერთი ისევ შიგნით გაბრუნებს, მეორეს უკეთეს გზებზე გადაჰყავხარ. თეა მნიშვნელოვნად მიიჩნევს ტრავმის გადამუშავების პროცესს, მასზე საუბრის აუცილებლობას, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში წრეზე იწყებ სიარულს ემოციური თვალსაზრისით. მეხსიერება ტრავმის შესახებ კი მოულოდნელად, უკან ბრუნდება და თითქოს გიჭერს, წარსულში გაბრუნებს:

ორნაირად შეიძლება ამის გამოყენება, ან გაძლიერება, რომ მსგავს სიტუაციაში უფრო ძლიერად იყო, მაგრამ დადგე და მაგიტომ ცდილობ ამ ტრავმის გადამუშავებას, ანუ ასე მყარად ვიყო და ძლიერად ვიგრძნო თავი, ან რაც გადახარშული არ გაქვს ის და მსგავსი სიტუაციები ისევე ხდება, ისევე ცუდად გაგრძობინებს თავს და ისევე ცუდად ხდება, ისევე რალაც კატასტროფა და ისევე რალაც ცუდი ხდება, ისევე შფოთვები, პანიკები ირთვება (ინტერვიუ თეასთან, 12/10/2021).

4.1.5. კოლექტიური ტრავმა და მისი წრებრუნვა

აქტივიზმი ერთგვარად მიბმულია კოლექტიური თუ პირადი ტრავმების წარმოებაზე. მონაწილეები იხსენებენ ძალადობისა და დარბევის შემთხვევებს. ეს გამოცდილებები განსაკუთრებით საჯარო მანიფესტაციებზე უკავშირდება. შედეგად კი, ისინი ირიბად აისახება მთლიან თემზე და შესაძლოა, კოლექტიურ ტრავმებად განვიხილოთ.

მაია იხსენებს 2013 წლის 17 მაისს და ამბობს, რომ სხვა ქვეყნიდან ადევნებდა თვალს ამ დღეს. ფიქრობს, რომ დღემდე არ აქვს ბოლომდე გააზრებული რა მოხდა. იგი აღწერს იმ ნეგატიურ განცდებს, რაც ამ შემთხვევის შემდეგ გაუჩნდა:

ძალიან ბევრჯერ ვეცადე იმათ (ავტ. იქ მყოფი აქტივისტების) ტყავში შეძრომა, მაგრამ მაინც ვერ ახერხებ ბოლომდე ადამიანი... ამან, რალაცნაირად, ალბათ, ყველაზე იმოქმედა, მთელს თემზე იმოქმედა, გარკვეულწილად და ყველას საერთო გამოცდილებაა... მახსოვს, რომ უახლოეს პერიოდში, მოვლენიდან უახლოესი თვეების მანძილზე შფოთვებიც მქონდა, დაუცველობის განცდაც ცოტა უფრო გაღრმავებული მქონდა (ინტერვიუ მაიასთან, 16/09/2021).

ამავე დღეს იხსენებს ასმათი. იგი განმარტავს, რომ საჯარო მსვლელობებში არ მონაწილეობს, რადგან ამით თავის შვილს აყენებს რისკების წინაშე. ასმათი მანიფესტაციებში ჩართვას გარკვეულ პრივილეგიადაც მიიჩნევს, რადგან თავად მას არ შეუძლია თავისუფლად მიიღოს გადაწყვეტილება საჯარო მსვლელობის მცდელობებში ჩართვაზე:

დღემდე ძალიან მწარედ მახსენდება და კადრებს ვერ ვუყურებ. იმ მომენტში, მე სამსახურში ვიყავი და ფიზიკურად ვერანაირად ვერ წამოვიდოდი და პრინციპში მე მაგ აქციებზე ზუსტად მაგიტომ გავეუბრვიარ დასწრებას რომ არ მაქვს ფუფუნება ჩემი თავი გავწირო, შვილი მყავს, რომელსაც მე ვჭირდები (ინტერვიუ ას-მათან, 01/10/2021).

ნატალია გვიყვება 2021 წლის 5-6 ივლისის ამბავს, როდესაც „თბილისი პრაიდის“ ღონისძიებაში მიიღო მონაწილეობა. იგი იხსენებს, როგორ მოუწია სივრცის იძულებით დატოვება და თითქოს არარეალურ სამყაროში ამოყო თავი, რადგან საზრისი დაკარგა, თუ რის გამო ხდებოდა ეს ყველაფერი:

იმის მიუხედავად რომ ძალიან დიდ გულზე წავედი, რაღაცა ისე რა... როგორ ვთქვა... „ვინ რა უნდა დაგვიშავოს“... შიგნით ხომ ვიყავით და რაღაც საშინელი ხავილის ხმა ისმოდა, არ ვიცი საიდან მოდიოდა და საბოლოო ჯამში, მოგვინია გაქცევა ზედა მხრიდან და ისეთი უაზრო იყო ეგ გაქცევა, უკნიდან რომ ვილაცები მორბოდნენ და ნუ რაღაც საშინელება... რომ გავრბოდით მაგის არ მეშინოდა, მაგრამ აი, უაზრობის გამო, რაღაც ელემენტარულის გამო, რომ სადღაც გარბიხარ და თან ვერ ხვდები რატომ გარბიხარ ან ვილაც რატომ მოგსდევს... ანუ, ეგ მანუხებს ყველაზე მეტად მაგ დღესთან და ზოგადადაც... (ინტერვიუ ნატალიასთან, 29/09/2021).

ძალადობის შემთხვევების ყოველწლიური მოზღვავება მაისის თვიდან გვიან ზაფხულამდე, თითქმის ყველა ინტერვიუში ჩანს. ვინც აქტივიზმში არ ერთვება, მათთვისაც გამონწვევაა წელიწადის ამ პერიოდთან გამკლავება. მონაწილეები აღნიშნავენ, რომ ამ დღეებში ძალიან ფხიზლად არიან, ერიდებიან ქუჩაში გასვლას, იცვამენ მუქ ფერებში, იხსნიან პირსინგებს და ნებისმიერ სიმბოლიკას და ისე გადაადგილდებიან ქუჩაში, რათა საფრთხე აირიდონ თავიდან. პრაქტიკულად, ხილვადობის დღეები ყოველდღიურობაში ქვიარების დამალვის დღეებად იქცევა. ამ პერიოდში, თემის წევრები ყველაზე მეტად მონყვლადად მიიჩნევენ თავს, რადგან აგრესიის ობიექტი ხდება არა მხოლოდ ქვიარ იდენტობა და სხეული, არამედ ნებისმიერი არანორმატიული გარეგნობა.

ნიკა საუბრობს ამ პერიოდებში არსებულ მორალურ წნეხზეც, რომლის ქვეშაც ექცევიან განსხვავებული აზრის მქონე ადამიანები თემის შიგნით. მაგალითად, ვინც არ ემხრობა საჯარო მსვლელობებს ან აქტიურად არ ერთვება სხვადასხვა ღონისძიებაში. იგი განსაკუთრებით გარე აქტორების მხრიდან მოწოდებებს და ქვიარ ადამიანების კრიტიკას მიიჩნევს პრობლემად, რადგან, როგორც წესი, ესენი არიან ადამიანები, რომლებიც ყველაზე მეტად პრივილეგირებულები და დაცულები არიან ამ ქვეყანაში:

ერთხელ ცხადად თქვა ერთმა პოლიტიკოსმა ქალმა, რომელიც ტელევიზორში არაერთხელ ამ „რეინბოუ“ (ავტ. ცისარტყელა) დროშას აფრიალებდა, რომ ის ვინც... ანუ ზუსტად ციტირება შეიძლება ვერ გავაკეთო, მაგრამ... გულისხმობდა ქვიარ თემს... „ის, ვინც არ იბრძვის თავისი უფლებებისთვის და თავისუფლებისთვის“ არც ერთს იმსახურებს და არც მეორესო. ანუ რეალურად ის ადამიანები, ვინც უარი თქვა საჯარო მანიფესტაციაზე მოინიშნენ „ქვეშაჯვრებად“, ოღონდ ამას მართლა, მართლა „ქვეშაჯვრებად“ ასახელებდნენ და მე არ მომიფიქრებია და ამ მორალური სასამართლოს წინაშე გინევს ხოლმე ყოფნა (ინტერვიუ ნიკასთან, 30/09/2021).

ირაკლი ფიქრობს, რომ ზოგიერთმა მოვლენამ ბევრ რამეზე დააფიქრა როგორც ქვიარ თემი, ასევე ფართო საზოგადოება. 2013 წლის 17 მაისზე საუბრისას, იგი აღნიშნავს:

შეიძლება დიდი, ეროვნული კათარზისი არ მომხდარა, მაგრამ მნიშვნელოვანი ნაწილი, ის რაც ბირთვის წარმოადგენს ჩვენი საზოგადოების, პოლიტიკური, კულტურული ცხოვრების, მაგ ნაწილის რალაცნაირად... იმპულსი, მოგვცა მაგ დღემ რომ... ის მაინც ვნახეთ, როგორები არ უნდა ვყოფილიყავით და საერთოდ, როგორი არ უნდა იყოს ადამიანი და საერთოდ, როგორი არ უნდა იყოს პოლიტიკა და საზოგადოებრივი ცხოვრება და როგორ ქვეყანაში არ გვინდა ცხოვრება, ეგ მაინც ვნახეთ მაგ დღეს. მაგ დღემ ცოტა განწმენდის, გამოფხიზლების ბიძგი მოგვცა (ინტერვიუ ირაკლისთან, 04/10/2021).

კოლექტიურ დონეზე, ტრავმასთან გამკლავება მოიაზრებს საზოგადოების ჩართულობას გამკლავების პროცესში. ქვიარ თემისთვის ეს რესურსი შესაძლოა იყოს აქტივიზმში, რომელიც გააჩენდა სივრცეს ტრავმულ, ნეგატიურ გამოცდილებებზე სასაუბროდ, წვლილს შეიტანდა გამოგლოვებასა და მემორიალიზაციაში, რომლის მცდელობის შესახებაც ირაკლიმ მოგვითხრო. იგი იხსენებს ბოლო პერიოდში გაკეთებულ მემორიალურ ვებგვერდს 17 მაისზე, რომელმაც გარკვეულწილად დაასრულა 2013 წლის 17 მაისის გლოვის პროცესი, თავისი ადგილი მიუჩინა იმ სივრცეში და დროში, რომელშიც ის მოხდა. რაც შეეხება, 2021 წლის 5-6 ივლისის მოვლენებს, ალბათ ეს სამომავლოდ საჭიროებს გააზრებას:

სამი თვე, რაც ამ ყველაფერზე ვიმუშავებთ და მართლაც, თითქოსდა თვითგანკურნების ეფექტი ჰქონდა... მოხდა, რომ დავძლიეთ, ჩემს თავში ყოველ შემთხვევაში და ბევრმა ადამიანმა აღნიშნა იგივე, რომ თითქოს... დავძლიეთ რამდენად, იცი, თითქოს წარსულის ნაწილი გახდა იცი... ჩვენი დღევანდლობის ნაწილი აღარ იყო ეს 17 მაისი (ინტერვიუ ირაკლისთან, 04/10/2021).

4.2. სოლიდრობა – ქრონიკული ძალადობის შეწყვეტის ინსტრუმენტი

*„Recovery can take place only within the context of relationships, it cannot occur in isolation“
(Judith Herman, 1992)*

ეს ნაწილი ყურადღებას გაამახვილებს ქვიარ ადამიანების პერსპექტივიდან სოლიდრობის რაობაზე, აქტივიზმის მნიშვნელობაზე და მათ როლსა და ფორმებზე ძალადობის უწყვეტ ხასიათთან გასამკლავებლად.

4.2.1. სათემო მხარდაჭერა

სოლიდრობასა და ადამიანურ, მხარდამჭერ კავშირებს აუცილებელი წვლილი შეაქვთ ტრავმულ გამოცდილებებთან გამკლავებაში. ტრავმა ინდივიდის მარგინალიზებასა და იზოლირებას უწყობს ხელს, სოციალურ კავშირებს კი სწორედ ამის საწინააღმდეგო ეფექტი აქვთ. ინდივიდუალური ტრავმული გამოცდილებების დაძლევაში, ქვიარ თემის შიგნით

არსებული კავშირები დიდ როლს ასრულებს. ეს მხარდაჭერა არსებითია მათთვის, ვისი სოციალური წრეც ძლიერ დავინროვდა ქამინგაუთის შემდეგ, ან ვინც ფარავს საკუთარ სექსუალურ ორიენტაციას ან იდენტობას და მხოლოდ თემში ახერხებს თავისუფალ გამოხატვას. მონაწილეები იხსენებენ თემის შიგნით სოლიდარობის ფაქტებს კრიტიკულ დროს, მაგალითად ქუჩაში ჩხუბის ან თავდასხმების მოგერიების გამოცდილებებს.

თეა გვიყვება თავისი განცდების შესახებ, როდესაც სათემო ორგანიზაციებში, ქვიარ შეკრებებზე დაიწყო სიარული. იგი ამბობს, რომ ეს გამოცდილება დაეხმარა მარტოობისა და გარიყულობის განცდის დაძლევაში, რადგან დაინახა, რომ მხოლოდ მას არ ჰქონია სირთულეები, რომლებიც უშუალოდ ქვიარობას უკავშირდებოდა:

რალაც დაცულობა, პატივისცემა არის... საერთო გამოცდილებების ქონა არის მნიშვნელოვანი, იმიტომ რომ ადამიანს თუ არ აქვს გამოვლილი ის, შენ ვერანარად ვერ გაგიგებს კარგად და შეიძლება გითხრას, რომ უი, რა ცუდია, მაგრამ ისე ვერ გაგიგებს, როგორც ადამიანი, რომელსაც მსგავსი რალაცა აქვს გამოვლილი. (ინტერვიუ თეასთან, 12/10/2021)

მეორე მხრივ, პერსონალურ გამოცდილებებში, ია და ზურა იხსენებენ მხარდაჭერის ეპიზოდებს არაქვიარი ადამიანებისგან, მაგალითად, კლასელების, ბავშვობის მეგობრების მზაობას მათ მხარდასაჭერად უკვე დიდობაში, რაც ცალსახად პოზიტიურ გავლენას ახდენს მათ კეთილდღეობაზე:

ჩემი ბავშვობის დაქალებს მოუწერიათ ჩემთვის, არ ვიცი როგორ მიპოვეს ფეისბუქზე, უკვე ახალი სახელი, გვარი და მიცნეს, მოუწერიათ, რომ „აბსოლუტურად მხარს გიჭერ, ყოველთვის ჩემი დახმარების იმედი გქონდეს“ (ინტერვიუ იასთან, 18/09/2021).

4.2.2. საზოგადოებრივი სოლიდარობა

„სოლიდარობის და ხალხში ემპათიის გამოწვევით საქართველოში ვერავინ ვერ გაძლიერდება, იმიტომ რომ ემპათიას ვერ გამოიწვევს უბრალოდ, ფიზიკურად ემპათია არ არსებობს..“ (ინტერვიუ თიკოსთან, 18/09/2021).

ინდივიდუალურ დონეზე იზოლაციის დასაძლევად, თემის წევრებისთვის, ერთმანეთის მხარდაჭერა მნიშვნელოვანი რესურსია. თუმცა, გარე მხარდაჭერის არარსებობა, მთლიან თემს აქცევს იზოლაციაში. ინტერვიუებში, ორაზროვანი მოსაზრებები გამოითქვა არაქვიარი ჯგუფების მხრიდან მხარდაჭერის შესახებ. მაგალითად, თიკო ფართო საზოგადოების სოლიდარობას შეუძლებლად მიიჩნევს, რადგან ფიქრობს, რომ საზოგადოებრივ დღის წესრიგში არ დგას ქვიარ საკითხები და, შესაბამისად, არ არსებობს თანაგრძნობა ქვიარ ადამიანების მიმართ და პირიქით. ამ მოცემულობას იგი ხსნის ცხოვრების დაბალი ხარისხით, რომ ადამიანებს თვითგადარჩენის რეჟიმში უწევთ ცხოვრება და, შესაბამისად, მათი მხედველობის ველში არ ხვდება გამოხატვის თავისუფლებისა და სექსუალობის საკითხები. თიკო ფიქრობს, რომ ასეთ ვითარებაში აჯობებს ქვიარ აქტივისტებმა საერთოდ არაფერი გააკეთონ საჯარო სივრცეში, გარდა შიდა ქსელის გაძლიერებისა, რადგან, რაც არ უნდა გააკეთონ, ამით ქვიარების ყოველდღიურობას აუარესებენ, აქცევენ რა მათ აგრესიის ობიექტებად და „ტრავმებს აწარმოებენ“:

არ აქვს უმრავლესობას ემპათია, არ სცალია ემპათიისთვის, სხვა ამოცანები დგას მათ ცხოვრებაში და ეს ყველაფერი არის ცოტა მომბეზრებელი და ცოტა ზედმეტი მათთვის [ფართო საზოგადოებისთვის] (ინტერვიუ თიკოსთან, 18/09/2021).

ორაზროვანი მოსაზრებებია ასაკობრივ კატეგორიებში მხარდაჭერის გამოხატვის თვალსაზრისით. რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ ახალგაზრდები უფრო მეტად მხარდამჭერები არიან ქვიარ თემის მიმართ, თუმცა, ასევე იხსენებენ გამოცდილებებს, როდესაც სწორედ ახალაზრდებს გამოუჩენიათ ნეგატიური და უფრო მეტად სასტიკი დამოკიდებულებები.

ზოგადად კი, გარე ჯგუფების მხრიდან მხარდაჭერის გამოცდილება მწი-
რია და მონაწილეებს გაუჭირდათ კონკრეტული მოვლენების გახსენება,
როდესაც სხვა ჯგუფებისგან სოლიდარობა იგრძნეს. ისინი, უფრო მეტად
მოჩვენებითი სოლიდარობის ეპიზოდებს იხსენებენ. პოლიტიკური პარ-
ტიების მხარდაჭერაზე საუბრისას, ნატალია ამბობს, რომ მათი იმედი არ
აქვს, რადგან როდესაც საჭიროება დგას, პარტიები „იმალეებიან“, ქვიარ
საკითხები კი კვლავ უხილავი რჩება ან გადაიფარება სხვა თემებით:

პარტიები რომლებიც პარლამენტში არიან თუ არ არიან, აი, ეგ
ადამიანები არასდროს არ ლაპარაკობენ ამ თემაზე, ვთქვათ
ყველაზე დიდი პარტია რაც არის ოპოზიციაში, როცა იყო ეს
მოვლენები, დაიმალა 5-ნ ივლისს (ინტერვიუ ნატალიასთან,
29/09/2021).

ამავდროულად, ზურა ფიქრობს, რომ პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწი-
ლეობას და არჩევნებზე სიარულს აზრი არ აქვს, რადგან მისი ხმა ყოველ-
თვის იკარგება. ნიკა კი იხსენებს პარტიების ხელმძღვანელ დოკუმენტს
ორგანიზაცია „თბილისი პრაიდთან“⁴. მათი მოჩვენებითი მხარდაჭერის
არგუმენტად იგი ასახელებს 5 ივლისის მოვლენების შედეგად პოლიტიკუ-
რი ფიგურების საქციელს. მისი აზრით, ამ დროს აქცენტი ქვიარ საკითხე-
ბიდან გადავიდა კვლავაც რუსეთისა და დასავლეთის დაპირისპირებაზე
და მთავრობის პრორუსული პოლიტიკის კრიტიკაზე, მაშინ, როდესაც
ქვიარ თემი რეალური სოციალური პრობლემების წინაშე დგას და ითხოვს,
რომ დანახული იყოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში. რეალურად, თემის
საჭიროებები პარტიებმა საერთაშორისო პარტნიორობის თვალში საკუ-
თარი თავის პროგრესულებად მოსანიშნად გამოიყენეს:

სოლიდარობა სარგებელზეა ჩამოკიდებული. ოპოზიციურმა პარ-
ტიებმა, როცა „პრაიდს“ ხელი მოუწერეს, რეალურად ევროპას
აუფრიალეს, რომ აი, ჩვენ ვართ დემოკრატები. რეალურად კი,
რამდენიმე წლის წინ ვაშანტაჟებდით და კამერებით ვუთვალთვა-
ლებდით და უცებ გავხდით „ფრენდლი“ (ავტ. მეგობრული), მაგრამ
ახლა ხოო... ასე არის ხო“. (ინტერვიუ ნიკასთან, 30/09/2021).

4 დამატებითი ინფორმაცია იხილეთ: <https://netgazeti.ge/news/542381/>

ასევე, ნიკა მიუთითებს ყალბ სოლიდარობაზე გასართობ სივრცეებში. იგი აქაც სარგებლის მიღების მოლოდინით ხსნის არაქვიარების მხრიდან სოლიდარობას.

აი, ჰეტეროსექსუალ გოგოს რომ უნდა რომ ყავდეს გეი ძმაკაცი, რომელიც გაყვება ხოლმე „ზარაში“ ტანსაცმლის ასარჩევად. ან „პოსტბაბულიკა“ ბიჭებს რომ ეძახიან ხოლმე, ანუ ერთი გეი რომ „უგდიათ“ საძმაკაცოში რომ, აი, სადმე „გოუქებში“⁵ არ შევრცხვე, იმიტომ რომ სათქმელად მქონდეს, აგერ ერთი გეი მყავს და თან ამან კარგი „ფართი“ (ავტ. წვეულებები) იცის, და ამას კარგი დაქალები ჰყავს (ინტერვიუ ნიკასთან, 30/09/2021).

ნატალიას ყალბი სოლიდარულობის მაგალითად მოჰყავს თავისი სამუშაო სივრცე, სადაც, ღიად არავინ გამოხატავს მიუღებლობას ან სიძულვილს სოგი-ს ნიშნით, თუმცა დეტალებში ჩანს მათი რეალური დამოკიდებულებები:

ჰომოფობად არავინ არ იდენტიფიცირდება იმ გარემოში სადაც ვარ. არ სურთ, რომ ესე გამოჩნდეს. რაიმე სერიოზულ კითხვას თუ დაუსვამენ, ვთქვათ, რას ფიქრობ უმცირესობებზე, სწორი პოზიცია აქვთ. მაგრამ, როცა მიდგება საქმე რეალურად, ხუმრობაში ხომ ზოგადად ჩანს ადამიანის დამოკიდებულება და ანუ ესეთები არიან, ჰომოფობებიც არიან, ქსენოფობებიც არიან, მაგრამ ამის აღიარება არავის არ უნდა. თითქოს ეს ხუმრობა არის, მაგრამ ხუმრობა არც ერთ შემთხვევაში არ არის, როცა შეურაცხყოფას გაყენებს ადამიანი (ინტერვიუ ნატალიასთან, 29/09/2021).

ია მიიჩნევს, რომ იზოლაციის ხაზი უნდა მოიშალოს თემსა და ფართო საზოგადოებას შორის. იგი აკრიტიკებს იდენტობის პოლიტიკას და ფიქრობს, რომ ამით მყარდება ქვიარების იზოლაცია საზოგადოებისგან. თუმცა, იგი ასევე ხაზს უსვამს თავად საზოგადოების პასუხისმგებლობას ამ პროცესში და ფიქრობს, რომ საკუთარი ქვიარი შვილებისთვის თვალის გასწორებაა აუცილებელი:

⁵ Woke – ზედსართავი სახელია და ნიშნავს ფხიზლად ყოფნას რასობრივი დისკრიმინაციისა და განწყობების წინააღმდეგ.

საზოგადოებამ ეს იზოლაციის ხაზი უნდა მოშალოს ჩვენთან და მაშინ დაიძლევა ალბათ ჰომოფობია. სანამ საზოგადოებას აქვს ის განცდა, რომ ეს სხვა ხალხია, ეს სხვა კუნძულია, ჩვენგან განსხვავდებიან, და ამავდროულად ჩვენ ამას უფრო გავამყარებთ ჩვენი სექსუალური ორიენტაციის და იდენტობის იმით [პოლიტიკით]... (ინტერვიუ იასთან, 18/09/2021).

ფართო საზოგადოების „შენუხების“ აუცილებლობაზე საუბრობს ნიკა. იგი ამბობს, რომ სანამ ყველას არ შეეხება ძალადობა, მანამდე სოლიდარულიც არავინ იქნება:

ერთი კვირის განმავლობაში, ეს ნიოკები რომ მიდიოდა, აღმოჩნდა რომ ვიღაცებს, ვისაც ჰყავს ჰეტერო შვილები, ბიჭებს, რომლებსაც აქვთ გრძელი თმა და საყურე და გოგოებს, რომლებსაც აქვთ მოკლე თმა, ისინი შეშფოთდნენ იმაზე, რომ ვაიმე, ჩემი შვილიც არ გახდეს ამის მსხვერპლი. ანუ რეალურად, სანამ დიდი საზოგადოება არ შენუხდება რალაციით, რომ აი, მათ არ შეექმნებათ, მათ შვილებს არ შეექმნებათ პრობლემა, მანამდე აზრი არ აქვს (ინტერვიუ ნიკასთან, 30/09/2021).

4.2.3. აქტივიზმი და აღდგენა

აქტივიზმი შესაძლოა მოვიაროთ ტრავმულ გამოცდილებებთან გამკლავების ერთ-ერთ ინსტრუმენტად. რადგან როდესაც ხდება ისეთი ნეგატიური მოვლენები, რომლებსაც მთლიან თემზე და საზოგადოებაზე აქვს გავლენა, აქტივიზმი გეზის მიმცემი შეიძლება აღმოჩნდეს, როგორც საზოგადოებისა და თემის მაკავშირებლის პოზიციიდან, ასევე ჯანსაღი გამკლავების, გამოგლოვებისა და მემორიალიზაციის თვალსაზრისით.

ინტერვიუებში ჩანს ორარზროვანი დამოკიდებულებები აქტივიზმის როლის მიმართ ამ პროცესებში. ფაქტობრივად, ქვიარ აქტივიზმი ტრავმული გამოცდილებების წარმოებას უფრო უკავშირდება, ვიდრე მათთან გამკლავების შესაძლებლობას. რესპონდენტები, სხვადასხვა მიზეზით აკრიტიკებენ როგორც ქვიარ აქტივისტებს, სათემო ორგანიზაციებს, ასევე პოლიტიკოსებს, საჯარო აქტორებს, ვინც ირიბად მაინც არის დაკავშირებული ქვიარ საკითხებთან.

თიკო ამბობს, რომ რეალობისთვის თვალის გასწორება ყველაზე კარგი გამოსავალია, რასაც ქვიარ თემი და სათემო ორგანიზაციები არ აკეთებენ და ამის გამო გაუგებრობებში ვარდებიან. იგი მიიჩნევს, რომ აქტივისტები არ აღიარებენ იმ რეალობას, რომელშიც ცხოვრობენ და ილუზიაში ეპატიუებიან მთლიან თემს. რეალობა არის ემპათიისგან, თანადგომისგან დაცულილი, სიცოცხლე არ აღიქმება ღირებულებად, შესაბამისად, ზედმეტია მოითხოვო სოლიდარობა რომელიმე ჯგუფის მხრიდან:

ვარდისფერი სათვალთ არ უნდა უყურებდე გარემოს რომ მე-რე არ აღმოჩნდე გაუგებრობაში, რომ ეს რატომ დამემართა, მე ხომ პოლიცია მიცავს. მოკლედ, რეალობის გაცნობიერება ყველაზე კარგი რაღაცაა ნებისმიერ საკითხში, მაგას ვურჩევდი ქვიარ თემს... ხოდა გამიხარდებოდა თუ ქვიარ თემში იქნებოდნენ ადამიანები, ვინც ასე ფიქრობს, ჩემნაირად... და თუ მოახდენდნენ რევოლუციას... თუ გაემიჯნებოდნენ ვიღაც პარაზიტებს, ვინც მათი იდენტობით მანიპულირებს (ინტერვიუ თიკოსთან, 18/09/2021).

ნიკა აკრიტიკებს აქტივიზმს და სათემო ორგანიზაციებს იმიტირებული პოლიტიკის წარმოების გამო და ფიქრობს, რომ ეს შედეგიანი ვერ იქნება. მნიშვნელოვანია მუშაობა იმისთვის, რომ ადგილობრივად დაიბადოს ავთენტური, მკვიდრი პერსპექტივები ქვიარ დღის წესრიგის ირგვლივ:

საქართველოში და დასავლეთს აყოლილ ქვეყნებში ჯერ კიდევ არის შანსი, რომ რაღაც ლოკალური და განსხვავებული შეიქმნას და არა მიყვეს, რომ აი Stonewall თუ მოხდა, ჩვენც მოვახდენთ აქ Stonewall-ს⁶, იმან თუ იქ Glitter-ის⁷ ტყვია გაისროლა, ჩვენც გავისვრით აქ და გავაფერადებთ აქაურობას (ინტერვიუ ნიკასთან, 30/09/2021)

6 Stonewall Riots – სტონუოლის აჯანყება იყო სპონტანური დემონსტრაციების სერია გვი თემის მიერ, პოლიციის რეიდების საპასუხოდ, რომელიც დაიწყო 1969 წლის 28 ივნისს, დღით, Stonewall Inn-ში, ნიუ იორკში.

7 Glitter – ინგლ. ბრჭყვიალა ფხვნილი.

ნატალიას კრიტიკაც ანალოგიურად მიემართება აქტივიზმს და აქტივიზმის მონოპოლიზებას. იგი ფიქრობს, რომ გამოსავალი შესაძლოა იყოს „არააქტიური“ ადამიანების გააქტიურება, რადგან დროთა განმავლობაში ქვიარ პოლიტიკა დაუკავშირდა კონკრეტულ სახეებს, რომლებიც, როგორც წესი, საჯარო სივრცეებში წარმოადგენენ თემს, თუმცა თემის წევრებს ეს შეიძლება არც სურდეთ და არც აფილაციას განიცდიდნენ მათ მიმართ. სათემო ორგანიზაციების როლს ნატალია სწორედ ამამი ხედავს, რომ განზე გამდგარი ქვიარები ჩართოს პოლიტიკის წარმოებაში, ელაპარაკოს მათ:

ზოგადად ქვიარ თემის აზრი არ ჩანს ხოლმე არსად... ჩემი აზრით, ეგ არის ხოლმე პრობლემა, რომ სადღაც, ვიღაც კომენტარს თუ აკეთებს, ვიღაც, სადღაც თუ საუბრობს, ყოველთვის საუბრობს აქტივისტი, რომელიც არის ჰეტერო და რატომ? თითქოს აი, ვიღაც კონკრეტული ადამიანების სიყვარულის ხარჯზე ცდილობენ, რომ ვიღაც კონკრეტულმა ადამიანებმა მოისმინონ ეს ინფორმაცია. აი, ეგ რაღაც არ მომწონს... (ინტერვიუ ნატალიასთან, 29/09/2021).

მარიამი ამბობს, რომ მომავალზე, გამოსავალზე, სოლიდარობაზე ფიქრი ვერაფრით ეხმარება მას, რაიმე კარგის წარმოდგენაში. რაც მკვლევარებს გვაგრძნობინებს პროტესტს მისი მხრიდან, რომ თითქოს ვთხოვთ, რეცეპტი მოგვცეს პრობლემის გადასაჭრელად. ბოლოს და ბოლოს, ფობიები და ძალადობრივი ქცევა სინამდვილეში ფართო საზოგადოების/გარე ჯგუფების პრობლემაა და არა თავად ქვიარ თემის, პასუხისმგებლობა და სიმძიმის ცენტრი არა მხოლოდ ქვიარ თემზე მოდის. უბრალოდ, ეს საზოგადოებას უფრო ნაკლებად ანუხებს ვიდრე ქვიარ ადამიანებს.

ზოგადად ყოველთვის ცუდი სიტუაციის წარმოდგენას ვცდილობ ხოლმე თავში და როცა მომავალზე ვფიქრობ, თუნდაც ქვიარ თემში, საქართველოში, ჩვენს ტერიტორიაზე, მომავალს, მაინცდამაინც, კარგი კუთხით შეცვლილს ვერ ვხედავ და მომავალი, ჩემი ცხოვრების ბოლომდე, ვერ წარმომიდგენია, იმდენად კარგად, რომ ქვიარ თემმა აქ თავი კარგად იგრძნოს და ისე იცხოვროს, როგორც უნდა რომ იცხოვროს, ანუ სრულფასოვ-

ნად ვერ იცხოვრებენ, ანუ ჩემი აზრით ვერ მოხდება ეს უახლოეს მომავალში. მომავალს ზოგადად ძაან ცუდად ვუყურებ და ვერ აღვიქვამ, რომ, მაინცდამაინც, კარგს მოასწავებდეს (ინტერვიუ მარიამთან, 30/09/2021).

ინტერვიუების ანალიზის პროცესში ქვიარ აქტივიზმი დაქსაქსულ სხეულად წარმოჩინდება, თითქოს მას ბევრი სხვა მიმართულებით ერთდროულად ექაჩებინ. ასეთ შემთხვევაში, როდესაც ერთიანობის განცდა არ არის, რთულია, აქტივიზმს მაკურნებლის ფუნქცია მიანიჭო. ქვიარ აქტივიზმის ჩამოყალიბებისა და განვითარების შესახებ მსჯელობა მოცემული კვლევის ფარგლებს სცდება, თუმცა მისი გააზრება კვლავაც მნიშვნელოვანია ტრავმულ გამოცდილებებთან გამკლავების ქრილში.

4.3. უსაფრთხო სივრცე – გვიწევს და ფიქვლი

*„ყველა ადგილი რამდენადაც უსაფრთხოა,
იმდენად საფრთხის შემცველია“
(ინტერვიუ სანდრასთან, 16/09/2021).*

წინა ნაწილში მოთხრობილმა გამოცდილებებმა, ტრავმული შემთხვევების სივრცითი და დროითი განზომილებაც გვაჩვენა. თემის წევრების ტრავმულმა გამოცდილებებმა ურბანულ სივრცეში, ყოველდღიური ცხოვრებისა თუ საჯარო აქტივიზმის წარმართვისას, გამოსახა ამ მოვლენების შედეგად, სივრცე-დროით სიბრტყეში, სხეულის როლის და მათი, როგორც ინდივიდების ქცევის გარესამყაროსთან, ადამიანებთან და სივრცეებთან ცვლილების კონტურებიც.

ამ ნაწილში უფრო დეტალურად მიმოვიხილავთ ამ ასპექტებს და იმას, თუ როგორ აღიქვამენ ქვიარ ადამიანები უსაფრთხო სივრცის რაობას. ინტერვიუების პროცესში, გამოიკვეთა მრავალი ფაქტორი, რომელიც განსაზღვრავს რამდენად უსაფრთხოდ აღიქვამენ ადამიანები იმ სოციალურ და გეოგრაფიულ სივრცეს, სადაც უწევთ ყოველდღიური ცხოვრება. ნათლად გამოჩნდა, რომ უსაფრთხოების განცდა არ ებმის კონკრეტულ გეოგრაფიულ ლოკაციას და ის მუდმივად ცვალებადია. არ არსებობს ურბანული გარემო, რომელიც აბსოლუტური დაცულობის და უსაფრთხოების განცდას იწვევს:

ყველა ადგილი რამდენადაც უსაფრთხოა, იმდენად საფრთხის შემცველია. ასეთი კონკრეტული ადგილი არ არსებობს, იმიტომ რომ შენ არ იცი რომელ კუთხეში ვინ დაგხვდება ან ვის არ მოეწონები, ან ვინ გაგიხსენებს, საიდან გაგიხსენებს არ იცი (ინტერვიუ სანდრასთან, 16/09/2021).

ქვიარ ადამიანები უსაფრთხო სივრცედ შეიძლება მოიაზრებდნენ სოციალურ სიტუაციას, მაგალითად, მეგობრებთან ერთად ყოფნას, წვეულებას, დახურულ ივენთებს და ა.შ. აქედან გამომდინარე, უსაფრთხო სივრცე, შესაძლოა აღვიქვამთ როგორც ფლუიდური გარემო. იგი დროებითი ხასიათისაა და მუდმივად იცვლება. ამ სივრცეში უსაფრთხოების შეგრძნება ფარდობითია. ეს დიდწილად დამოკიდებულია გარე ფაქტორებზეც. კონკრეტული შეკრების თუ თავშეყრის შემდეგ, ადამიანებს უწევთ იმ სივრცეში დაბრუნება, რომელიც მათი მუდმივი შფოთვის წყაროა (ქუჩა, პარკი, საზოგადოებრივი ტრანსპორტი, სახლიც კი). ამ განწყობას ამყარებს თემის წევრების ინდივიდუალური თუ ჯგუფური ტრავმული გამოცდილებები და, შესაბამისად, განაპირობებს მათ მიერ უსაფრთხოების განსხვავებულ აღქმას:

ფიზიკური უსაფრთხოება არ არის ერთადერთი, რაც გჭირდება ადამიანს, როდესაც რაღაც სივრცეში ხარ. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მიღებული იყო „ჯაჯმენტის“ (ავტ. განკითხვის) გარეშე, არ გჭირდებოდეს რამის დამტკიცება იმისთვის, რომ შენც ჩვეულებრივი ხარ, ნორმალური ხარ, არაფერი არ გჭირს და ა.შ. (ინტერვიუ ნინოსთან, 11/09/2021).

ეს მიუთითებს იმაზე, რომ ადამიანებისთვის, ფიზიკური უსაფრთხოების გარდა, მნიშვნელოვანია თანადგომა, აღიარება და მიმღებლობა. ამ კონტექსტში, უსაფრთხო სივრცის სიმყიფეს განსაკუთრებით მკაფიოდ წარმოაჩინეს ჰომოფობიური განწყობების მოძლიერება ქვიარ სენსიტიური თარიღების მოახლოებისას. რესპონდენტები მიიჩნევენ, რომ 17 მაისის მოახლოებასთან ერთად, იზრდება თავდასხმების რისკი და შემთხვევები, შესაბამისად, ამ პერიოდში, თემის წევრებს შორის მაღალია დაუცველობის განცდა. ასეთ დროს, ისეთი სივრცეებიც კი, რომლებიც შესაძლებელია, ერთი შეხედვით უსაფრთხოდ აღიქმებოდეს, მალევე იქცევა მათთვის

საფრთხის შემცველად. ეს კიდევ ერთხელ მიუთითებს იმაზე, თუ რამდენად მყიფეა თემის წევრების უსაფრთხოება და ხაზს უსვამს ურბანული სივრცის, ამ თითქოსდა ქვაში ნაკვეთი, ფიზიკურად მდგრადი, მკაცრად ჩამოყალიბებული გარემოს ამორფულობას. ქვემოთ განვიხილავთ უსაფრთხო სივრცის რამდენიმე მაგალითს.

4.3.1. სახლი

გასაკვირი არ იქნება თუკი ვიტყვით, რომ სახლი, ან შინ ყოფნის გრძნობა, თემის წევრებისთვის, ასოცირდება უსაფრთხოების, კომფორტის, პრივატულობისა და მყუდროობის შეგრძნებასთან. მიუხედავად ამისა, პირად ისტორიებზე დაფუძნებით, შესაძლებელია დანამდვილებით ვთქვათ, რომ მათი მნიშვნელოვანი ნაწილი თავიდანვე მოკლებულია ამ შეგრძნებას და მრავალი დაბრკოლების გადალახვა უწევს უსაფრთხო საცხოვრებელი გარემოს შესაქმნელად. არსებობენ ისეთებიც, რომლებმაც ოჯახის წევრებთან ქამინგაუთის შემდეგ, შეძლეს მათთან სრულყოფილი ურთიერთობების შენარჩუნება. თუმცა, შინ ყოფნა ქვიარების ნაწილისთვის შესაძლოა მუდმივი შფოთვის და შიშის წყაროც იყოს, რადგან ეშინიათ ოჯახის წევრების რეაქციების და თანმდევი შედეგების. მათ, როგორც წესი, ნაკლებად აქვთ კონტროლი სიტუაციაზე და ოჯახისგან ეკონომიკური დამოუკიდებლობის არარსებობის პირობებში, მნიშვნელოვანი ნაწილი, შესაძლებელია საცხოვრებლის და საარსებო გარემოს გარეშე დარჩეს. ამას ერთვის უახლოესი ადამიანების გარემოცვიდან გარიყვის და ძალადობის საფრთხეც. შესაბამისად, ისინი დგებიან როგორც ეკონომიკური, ასევე სოციალური გარიყულობის რისკის ქვეშ. ეს ასპექტები ნათლად იჩენს თავს რესპონდენტების ინდივიდუალურ ნარატივებში.

სახლზე საუბრისას, ევა პირველ რიგში აკავშირებს მას დაცულობასთან, სადაც არ შიშობს იმაზე, რომ „შეიძლება ვინმემ შეურაცხყოფა მიაყენოს, თავს დაესხას და ფიზიკურ ძალადობას ჰქონდეს ადგილი“. თუმცა, იქვე ახსენებს, რომ შინ ყოფნის განცდა მისთვის არა მთლიანად ის სახლია, სადაც იგი ოჯახთან ერთად ცხოვრობს, არამედ ის ოთახი, სადაც ოჯახის დანარჩენი წევრებისგან განცალკევებულადაა:

მიშენებაზე, რომელიც ჰქონდა კორპუსს, ცალკე ოთახი ვალე-ბით, სესხებით და პირადი ძალებით... მოვახდინე და აი, ის აღმოჩნდა შემდგომ ჩემი სივრცე და ჩემი სახლი. ჩემი ოთახი არის

ჩემი სახლი, სადაც შემიძლია ჩავიკეტო და სრულიად ვიგრძნო თავი დაცულად... ამოვისუნთქო და ის ტვირთი, რომელსაც დღის განმავლობაში ვატარებ, მოვიშორო და მეტად თავისუფლად, გაბედულად ვიგრძნო თავი... ეხლა, ბოლო პერიოდშია, რაც უფრო დამეხმარა ჩემი ცუგა რომ მყავს გვერდით, ჩემთან გვერდით ნევს, მეფერება, მე ვეფერები და აი, ეს არის სახლი (ინტერვიუ ევასთან, 02/10/2021).

პრივატულობას ევასთვის დიდი მნიშვნელობა აქვს და შინ ყოფნის გრძნობა მას შემდეგ მოიპოვა, რაც საკუთარი ოთახი მოაწყო. ეს შესაძლოა განპირობებული იყოს იმ გარემოებითაც, რომ ოჯახში ცხოვრობენ ტრანსფორმირებული განწყობების მქონე წევრებიც. ევასთვის, ამ პირობებში, სწორედ საკუთარი ოთახი და მისი ძალი ქმნიან იმ დაცულ და მყუდრო გარემოს, რომელსაც იგი სახლს უწოდებს. ევას ეს ციტატა ასევე ხაზს უსვამს ქალაქში საცხოვრისის ხელმისაწვდომობის პრობლემას, რომელიც ქვიარ თემისთვის განსაკუთრებით სენსიტიური შეიძლება იყოს.

ევას მსგავსად, ირაკლიც მიიჩნევს, რომ სახლი არის სივრცე, სადაც არაფერი ანუხებს და შეუძლია მოშვებული იყოს, „როგორც ვიზუალურად, ისე სულიერად“. მიუხედავად იმისა, რომ მრავალჯერ მოუწია საცხოვრებლის შეცვლა ზრდასრული ცხოვრების მანძილზე, ყოველთვის უბრუნდებოდა ოჯახს, რადგან მის სრულყოფილ წევრად გრძნობს თავს და ოჯახთან მუდმივი მიკუთვნებულობის განცდა აკავშირებს. ამის ერთ-ერთ უმთავრეს მიზეზად შეგვიძლია მივიჩნიოთ ოჯახის მიერ ირაკლის იდენტობის სრულყოფილი მიღება და უპირობო აღიარება. შესაბამისად, ოჯახი, მისთვის არის „ადამიანების ერთობა, რომლებიც ერთად ცხოვრობენ, ერთმანეთისთვის ცხოვრობენ“. სწორედ ეს გარემოებები უქმნის მას შინ ყოფნის გრძნობას, სადაც გარდა იმისა, რომ დაცულად გრძნობს თავს, ასევე შეუძლია იყოს ის, ვინც იგი რეალურად არის.

სანდრასთვის სახლი და ოჯახი ნიშნავს „ურთიერთგაგებას, საუბარს, გეგმების, იდეების, სიხარულისა და ბედნიერების გაზიარებას“, თუმცა, ირაკლისგან განსხვავებით, მოკლებულია ამ გარემოს უახლოესი ადამიანების მხრიდან. იგი საკუთარ სახლად ვერ აღიქვამს ისეთ სივრცეს, სადაც მასთან კომუნიკაციის სურვილი არ აქვთ ოჯახის წევრებს. იდენტობის გამო ოჯახთან შექმნილი უკმაყოფილების შედეგად, ხშირად ჰქონია შემთხვევა, როცა არ სურდათ მისი მოსმენა:

ჩემს ოჯახში თვლიდნენ რომ ერთმანეთის მეგობრები ვიყავით. ეს როცა საჭირო იყო ხოლმე, არ ჩანდა. ალბათ, სასიამოვნოა, გქონდეს ისეთი ოჯახი, რომელიც ყველაფერს ისმენდეს შენსას და თუ არ გეთანხმება იზიარებდეს მაინც და რალაც მხარდაჭერის იმედი გქონდეს. ჩემს შემთხვევაში უფრო იყო ხოლმე, „არ მინდა, არ დამელაპარაკო, არ მაინტერესებს, ეგ არ მითხრა, ეგ არ გამაგებინო“ ან „რატომ მიშლი ნერვებს?“ და ასეთი რალაცები და მერე, როგორც ყველა ადამიანს, მეც მიქრებოდა თანდათან იმის სურვილი, რომ ვინმეს დავლაპარაკებოდი (ინტერვიუ სანდრასთან, 16/09/2021).

მიუხედავად იმისა, რომ სანდრას, ოჯახის წევრებისგან ფიზიკური ზიანის საფრთხე არ ემუქრება, იგი მაინც ვერ პოულობს იმ ერთიანობის განცდას, რომელიც ოჯახთან მიკუთვნებულობის და შინ ყოფნის გრძნობას გაუჩენდა. მისთვის სახლის უსაფრთხო, კომფორტულ სივრცედ აღსაქმელად, ფიზიკურ უსაფრთხოებასთან ერთად, აუცილებელია, არსებობდეს ისეთი გარემო, რომელშიც, მისი პიროვნული საჭიროებები თანასწორად დაფასებული და გაზიარებული იქნება ოჯახის წევრებს შორის.

ასეთივე გარემოს საჭიროებაზე საუბრობს კიდევ ერთი რესპონდენტი, ანდრეა. მისთვის შინ ყოფნის გრძნობა არ უკავშირდება უშუალოდ საკუთარ ოჯახთან თანაცხოვრებას. საცხოვრებელი სივრცის გაზიარება მას საკუთარ ნათესავთან უწევს, რომელთანაც ასოცირებულია ბავშვობის ტრავმებიც და ამჟამინდელი პრობლემებიც. შესაბამისად, ის სიმშვიდე და პრივატულობა, რაც ზოგადად მნიშვნელოვანია შინ ყოფნის შესაგრძობად, ანდრეას არ აქვს. ამას ერთვის ისეთ გარემოში ცხოვრება, რომელზეც მას არანაირი კონტროლი არ აქვს და მუდმივი შფოთვის წყაროა. ამ შემთხვევაში, ევას მსგავსად, თავს იჩენს საცხოვრისის ხელმისაწვდომობის პრობლემაც:

ნაკლებად მაქვს ისეთი განცდა, რომ მშვიდად ვარ. თან ემატება ამ ყველაფერს ის, რომ ძალი გვყავს, ეხლა მოიყვანეს და ის მიქმნის ხოლმე სულ ქაოსს. ჩემი დეიდაშვილი გადადიოდა სხვაგან და შემომთავაზა მეც სხვაგან გადავსულიყავი, მეგობართან ერთად, თუმცა ბოლო მომენტში გადაწყვიტეს, რომ ქირა არის ფულის ყრა და ჯობია, რამე ვიგირაოთო (ინტერვიუ ანდრეასთან, 28/09/2021).

შინ ყოფნასთან ასოცირებულ სიმშვიდესა და მყუდროობას ანდრეა თავის მეგობრებთან ურთიერთობისას პოულობს. ანდრეასთვის, ასეთად შეიძლება ჩაითვალოს გარე სივრცეც, სადაც მეგობრებთან ერთად თავისუფალი კომუნიკაციის და ერთად ყოფნის საშუალება ეძლევა. შეიძლება ითქვას, რომ მისთვის სახლი არის არა რომელიმე კონკრეტული სივრცე, სადაც ყოველდღიური ცხოვრების მნიშვნელოვან ნაწილს ატარებს, არამედ ეს სწორედ ის *ფლუიდური სივრცეა*, რომელზეც სხვებიც საუბრობენ. ამ სივრცეში, ფიზიკური უსაფრთხოების გარდა, ადამიანს ასევე სჭირდება ჰქონდეს მიკუთვნებულობის გრძნობა, რომელიც მას მიღებულად და დაფასებულად აგრძნობინებს თავს. როდესაც ინდივიდი ვერ ამყარებს ასეთ კავშირებს ოჯახის წევრებთან, ან საერთოდ არ ამყარებს სახლში თავის იდენტობას, ცხადია, სახლი არ აღიქმება უსაფრთხო სივრცედ და ყოფნას ამჯობინებენ არჩეულ ოჯახებში⁸. თეა სწორედ ამას უსვამს ხაზს და მიიჩნევს, რომ სახლი და ოჯახი სტაბილურობის, სიმშვიდისა და თვითგამოვლენის საშუალებას უნდა აძლევდეს ადამიანს. თუმცა, მის შემთხვევაში, პირიქით, არსებობს ოჯახისგან გარიყვის საფრთხე:

შეიძლება სახლიდან არ გამაგდონ ან რაღაცა, იმიტომ რომ დამა ამომიდგეს გვერდში... მაგრამ, ზუსტად ვიცი, რომ როგორც ავადმყოფს ისე აღმიქვამენ, გამრიყავენ ყველაფრიდან. შეიძლება ერთ სახლში ვიცხოვროთ, მაგრამ ოჯახურ შეკრებებზე ჩემთვის ადგილი არ იქნება. ერთ-ერთი წევრისგან შეიძლება ძალადობის მსხვერპლიც კი გავხდე, თუ ვინმე არ გადაამეფარა. ლანძღვა და ფიზიკური ძალადობის საფრთხეც არის და გარიყვაც. გარიყვას ველოდები ძირითადად (ინტერვიუ თეასთან, 12/10/2021).

ამ შემთხვევაში, თეა მიიჩნევს რომ აუცილებელია „ეს დანაკლისი ამოივსო და პოულობ ისეთ ადამიანებს, რომლებსაც უყვარხართ ისეთი, როგორიც ხარ“. თეასთვის ამ გარემოს მისი პარტნიორი ქმნის – „სახლში თავს რომ ჰეტეროდ ასალებ (იციანის) და უცბად პარტნიორთან არც ორიენტაცი-

8 არჩეულ ოჯახს უწოდებენ მეგობრებისგან და პარტნიორებისგან შემდგარ ერთობას. ხშირად ქვიარებისთვის არჩეული ოჯახები არის გაცილებით უფრო მხარდამჭერი და მნიშვნელოვანი საყრდენი, ვიდრე ბიოლოგიური ოჯახები/სისხლით ნათესავები.

ის დაფარვა გინევს, არც ხასიათის, ყველაფრის მოყოლა შეგიძლია“. თუმცა, სახლში უსაფრთხოების განცდა შესაძლოა დაარღვიოს არა ოჯახის წევრებთან არასტაბილურმა ურთიერთობებმა, არამედ მეზობლებმაც. ამ ე.წ. კონტროლის წრიდან მომდინარე ჩარევა პირად სივრცეში, შესაძლოა შფოთვისა და შიშის წყაროც გახდეს.

ეს ასპექტი იკვეთება ასმათის შემთხვევაში. საცხოვრებელი სახლის ხშირი ცვლის შემდეგ, რომელიც ნაკლებად უკავშირდებოდა მის იდენტობას და განპირობებული იყო სხვა სოციო-ეკონომიკური საჭიროებებითა და პიროვნული ტრაგედიებით, იგი იძულებული გახდა დედისგან მემკვიდრეობით მიღებული სახლიც დაეტოვებინა და სხვაგან გადასულიყო. ამის მიზეზი კი მეზობლებისგან მომდინარე ზენოლა იყო:

ძალიან დაიძაბა სიტუაცია და ერთი მეზობელი მოვიდა და არაპირდაპირი ტექსტით მითხრა ყველამ ყველაფერი იცისო და საკმაოდ ისეთი, ძალიან აგრესიული გარემოცვა იყო. მაშინაც, ჰომოფობია ძალიან პიკზე იყო და მივხვდი, რომ ჯობია ნამოვიდე, სანამ ძვლები ცოცხალი მაქვს, ჯობია დავტოვო იქაურობა (ინტერვიუ ასმათთან, 01/10/2021).

მეზობლების მიერ პრივატულ სივრცეში შეჭრის მცდელობებსა და ჰომოფობიურ თავდასხმებს იხსენებს ევაც – „[მეზობლების მხრიდან] გარკვეული აქტივობები ყოველთვის იყო... გამოვარდნა და კარებზე ბრაზუნია... მე კი არ მელაპარაკებიან, დედაჩემს შესჩივიან ჩემზე“. ამ მაგალითებით კარგად იკვეთება ის კონტურები, რომლებიც განსაზღვრავენ სახლის, როგორც უსაფრთხო გარემოს რაობას ქვიარ ადამიანებისთვის. ის ერთ-ერთი ისეთი სივრცეა, რომელიც დატვირთულია ქვიარ იდენტობასთან დაკავშირებული სირთულეებით. თითოეული რესპონდენტის შემთხვევა ერთმანეთისგან განსხვავებულია და დამოკიდებულია მრავალ ინდივიდუალურ თუ გარე, სოციო-ეკონომიკურ ფაქტორზე. მთავარი საერთო მახასიათებელი კი, ფიზიკურ უსაფრთხოებასთან ერთად, არის ისეთი გარემოს ძიება, სადაც მიღებული და დაფასებული იქნებიან ისეთ ადამიანებად, როგორებადაც თვითონ აღიქვამენ საკუთარ თავს და არ დასჭირდებათ ზედმეტი ძალისხმევა საკუთარი თავის, როგორც სრულფასოვანი, თანასწორი ინდივიდების დასამკვიდრებლად.

4.3.2. სამსახური

მიუხედავად იმისა, რომ მათი წარსული ტრავმული გამოცდილებისა და უსიამოვნების ნაწილი სამუშაო სივრცეს უკავშირდება, გამოკითხული რესპონდენტების უმეტესობა ინტერვიუს დროს დასაქმებული იყო თავისი პროფესიით, ან აკეთებდა იმ საქმეს, რომელიც მნიშვნელოვნად მიაჩნდა და, შესაბამისად, თვითრეალიზებულ ინდივიდებად ითვლებიან. მათ ნაწილს სამსახურში უკვე შექმნილი აქვს უსაფრთხო სივრცე. თუმცა, ეს მდგომარეობა თავისით არ მოსულა და სხვებთან შედარებით, დამატებითი ბარიერებისა და, ხანდახან, პიროვნული შეურაცხყოფების გადალახვა მოუწიათ გარეგნობისა და ვიზუალურად გამოხატული იდენტობის გამო:

„თომ ბოის“ სტილი მქონდა, შედარებით ცოტა უფრო მასკული-ნური. რალაც პერიოდი აეროპორტში ვმუშაობდი და ბუღინგი მოდიოდა თვითონ თანამშრომლების მხრიდან იმის გამო თუ როგორ გამოვიყურებოდი და რამდენად მასკულინური ვიყავი სხვა გოგოებთან შედარებით. უფრო, რალაც ანდროგენული ვიყავი, არც იქით ვიყავი და არც აქეთ... აი, რალაცებზე... „რატომ არ მაქვს ფრჩხილები“, „რატომ არ ვიკეთებ მაკიაჟს“, მსგავსი რალაცები, ხშირ-ხშირად, ზურგს უკან, სიცილ-კისკისით და რალაცებით იყო ძაან აქტიურად (ინტერვიუ ნინოსთან, 11/09/2021).

ასეთ სივრცეში ყველაზე მეტად უწევთ აკონტროლონ ყველაფერი, „იმისთვის, რომ ჩაჯდე გარემოში“. ნინოს შემთხვევაში ეს განსაკუთრებულად თვალსაჩინოდ გამოჩნდა. სამსახურის შეცვლის შემდეგ, იგი იძულებული გახდა მორგებოდა სამუშაო ადგილზე წამოყენებულ მოთხოვნებს და ფიზიკური გარეგნობა „უფრო მეტად ფერადი“, ფემინური გაეხადა მაკიაჟისა და ჩაცმულობის მეშვეობით. ნინოსგან განსხვავებით, საპირისპიროდ მოქმედებს ასმათი. ამჟამინდელ სამსახურს ისიც უსაფრთხოდ აღიქვამს, თუმცა მის გამოცდილებაში, ყოფილა შემთხვევები, როდესაც გარეგნობასა და ვიზუალურ საკითხზე შეუთანხმებლობის გამო, შეიცვალა სამუშაო ადგილი. ეს ძირითადად უკავშირდება უკვე უსაფრთხო სივრცედ ჩამოყალიბებულ გარემოში ახალი მოთხოვნების დაწესებასა და მათთან შეუგუებლობას:

როგორც უკვე შემდგარი ადამიანი იმ კონკრეტულ სივრცეში, ვგრძნობდი როდესაც იწყებოდა რალაც მოთხოვნების წამოჭრა და ვფიქრობდი, რომ რადგან ჩემ მიერ განეული სამუშაოს მიუხედავად მაინც დამატებით რალაცას მოთხოვენ, რაც ჩემს საქმესთან კავშირში შეიძლება არც იყო, იძულებული ვყოფილვარ რომ წამოვსულიყავი. ძირითადად, დრესკოდის, ვიზუალური თემის გამო (ინტერვიუ ასმათან, 01/10/2021).

იმის მიხედვით, თუ როგორ გარემოში იმყოფებიან, რესპონდენტები შესაბამის სტრატეგიას ირჩევენ უსაფრთხოების მისაღწევად. ეს მიდგომები საკმაოდ ინდივიდუალურია და იცვლება კონკრეტული სიტუაციის მიხედვით. ერთი შეხედვით უსაფრთხო სივრცე, შესაძლოა არაკომფორტულად იქცეს, თუკი იქ ახალი პირობები ჩნდება იმისთვის, რომ „ჩაჯდე გარემოში“. სტრატეგიებიც, შესაბამისად, იცვლება და ერგება ამ ფლუიდურ გარემოს. მათ მსგავსებასა და სხვაობაზე უფრო ვრცლად ქვემოთ ვისაუბრებთ.

სამსახურზე საუბრისას სანდრა გულახდილად ჰყვება, რომ ის ფუნქცია, რომელსაც ოჯახი და მისი წევრები უნდა ასრულებდნენ, მეტნაკლებად, სამუშაო სივრცეში და კოლეგებმა შეითავსეს. უსაფრთხო და კომფორტულ სივრცედ მიიჩნევს სამსახურს ანდრეაც, რომელიც ერთ-ერთ სათემო ორგანიზაციაში მუშაობს. მათ მსგავსად, ამჟამინდელ სამსახურს უსაფრთხოდ აღიქვამს ევაც, თუმცა ასევე იხსენებს ტრავმულ გამოცდილებას:

2014 წელს, როდესაც ჩემი ტრანზიცია დაიწყო, ტრანსფემინურ როლს ვასრულებდი და ცხოვრების საკმაოდ გრძელი მონაკვეთი ვცხოვრობდი როგორც სისგენდერი ქალი, კაბით, ქუსლებით, მაკიაჟით, გრძელი თმითა და ა.შ. ეს ინვევდა ყურადღებას, განსაკუთრებით დღისით, თუმცა მე ძირითადად ღამით გამოვდიოდი, იმიტომ, რომ სექსმუშაკად ვმუშაობდი. ერთ-ერთ საღამოს შვიდი ადამიანი დამესხა თავს და სასიკვდილოდ გამიმეტეს. სასტიკად მცემეს და ის დღემდე მაქვს ნაიარები ხელებზე, სახეზე, სხეულზე (ინტერვიუ ევასთან, 02/10/2021).

ევას შემთხვევა განსაკუთრებით საგულისხმოა იმ კუთხითაც, რომ იგი აჩვენებს რამდენად გადამწყვეტი და, ამ შემთხვევაში, უარყოფითი რო-

ლიც კი შეიძლება ითამაშოს ინდივიდის იდენტობის ვიზუალურმა ექსპრესიამ მისივე უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობისთვის. გეოგრაფიული ლოკაცია, ურბანული სივრცეც ცენტრალურ როლს თამაშობს ევას მიერ უსაფრთხოების აღქმაში. მისთვის ე.წ. პლეშკა, რომელიც მრავალი ტრანსგენდერი ქალისთვის სოციალური და ეკონომიკური გადარჩენის მთავარი წყაროა, ასევე შეიძლება იქცეს ფიზიკური ზიანისა და სიკვდილის მიზეზიც კი, როგორც ამას მრავალი სხვა შემთხვევა მოწმობს. უსაფრთხო სივრცის ფლუიდურობა აქაც ნათლად იკვეთება.

4.3.3. ემოციური ბმა სივრცესთან და მისი გენდერული ასპექტი

ქვიარებისთვის ღია, საჯარო სივრცის უსაფრთხოებაზე მსჯელობისას, პირველ რიგში გვახსენდება ის თავდასხმები თუ ჯგუფური ძალადობის ფაქტები, რომლებიც მათ, როგორც ინდივიდებმა და თემმა, მრავალჯერ გამოსცადეს საკუთარ თავზე. ეს ტრავმული გამოცდილებები ილექება თემის წევრების მეხსიერებაში და განსაზღვრავს მათ მიერ საზოგადოებრივ სივრცეებში ყოფნისას უსაფრთხოების აღქმას. ეს კი, საბოლოოდ, აისახება ცხოვრების ხარისხსა და ურბანულ სივრცესთან ყოველდღიურ ინტერაქციაში. მაგალითისთვის, თბილისში, ვაჩნაძის ქუჩაზე გავლისას სანდრას დღესაც უჩნდება ზიზლის და დაუცველობის გრძნობა, რომელიც 2013 წლის 17 მაისს დაეუფლა, როდესაც ამ ქუჩაზე ქვიარ აქტივისტებისთვის განკუთვნილი მიკროავტობუსი თავდამსხმელთა ჯგუფებმა დალენეს და ამის შედეგად ფიზიკური დაზიანება თვითონაც მიიღო. მისთვის ეს ადგილი, რვა წლის შემდეგაც ნეგატიურ ემოციებს აღძრავს და იმ ტრავმულ გამოცდილებას ებმის, რომელიც თავის მეგობრებთან და თანამოაზრეებთან ერთად გადახდა თავს. თუმცა, საინტერესოა ის გარემოება, რომ სანდრა აღმოჩნდა ერთადერთი რესპონდენტი, რომელმაც ხაზი გაუსვა იმ ემოციურ კავშირს, დღემდე რომ ინარჩუნებს ქალაქის ამ კონკრეტულ მონაკვეთთან.

ძალიან საინტერესო აღმოჩნდა ანდრეას ურთიერთობა საქალაქო გარემოსთან და მის მიერ, სივრცისა და მასთან დაკავშირებული უსაფრთხოების ფლუიდური აღქმა. მისთვის, დაცულობის გრძნობა ებმის საცხოვრებელი სახლის ახლომახლო ტერიტორიას, თავის უბანს. ასეთი დამოკიდებულება განპირობებულია იმით, რომ იქ მას იცნობენ და „არ აქვთ აგრესიული დამოკიდებულება“. კონკრეტულ სივრცესთან ფამილარული კავშირი მისთვის მნიშვნელოვანია რომ უსაფრთხოდ იგრძნოს თავი და უფრო მეტიც, თავს

უფლება მისცეს ატაროს საყურე და ჩაიცვას არაჰეტერონორმატიულად. ამ ურთიერთკავშირმა 5 ივლისის მოვლენების შემდეგაც შეახსენა თავი:

მანდ იყო... ზუსტად, აი ჩემს უბანზე, საბურთალოზე... რომ თუნდაც, რუსთაველიდან რომ მოვდიოდი, სულ დაძაბული ვიყავი და საბურთალოსკენ ამოვუხვევდი თუ არა გზას, მანდ მეხსნებოდა ხოლმე მთელი შფოთვა და აი ის შეგრძნება მქონდა, რომ გადავრჩი (ინტერვიუ ანდრეასთან, 28/09/2021).

მიუხედავად ამისა, ანდრეა ამბობს რომ, მართალია, ქალაქის სხვა ნაწილთან, განსაკუთრებით კი, გარეუბანთან შედარებით, ნაკლებად, მაგრამ მაინც აქვს მუდმივი შფოთვა, რომ საკუთარ უბანშიც შეიძლება დაესხან თავს:

ირაციონალურად მგონია ხოლმე, ნებისმიერ ადგილას, შეიძლება ჩემს უბანშიც... უცებ მომდის აზრად... რომ მივდივარ, წინ ვილაც რომ მიდის, მგონია რომ დანას ჩამარტყამს. აი ეს განცდა მაინც სულ არის (იქვე).

ცენტრალურ უბნებთან შედარებით, გარეუბნებს იგი უფრო სახიფათოდ აღიქვამს და ამას საკუთარი და მეგობრების ინდივიდუალური გამოცდილებებით ხსნის. ამ ასპექტს მოგვიანებით დავუბრუნდებით, მანამდე კი სივრცის გენდერულ განზომილებას შევეხებით.

ქალაქში საკუთარ გამოცდილებებსა და უსაფრთხოების ხარისხზე საუბრისას, ანდრეა ხაზს უსვამს სივრცის გენდერულ ასპექტს. მისთვის კონკრეტულ სივრცეში ქალების დომინირება ასოცირდება უფრო მეტ დაცულობასთან, ვიდრე ამას იგრძნობდა კაცებით დომინირებული სივრცის შემთხვევაში. ერთ-ერთი ცენტრალური უბნის მაგალითზე დაყრდნობით, იგი იხსენებს როგორ იგრძნო თავი უსაფრთხოდ მაშინვე, როგორც კი მამაკაცებით დომინირებულ პარკში რამდენიმე ქალმა გამოიარა.

გენდერული ასპექტი იკვეთება მრავალი რესპონდენტის მიერ ურბანული სივრცის კეთილმოწყობის ხარისხის ხაზგასმისას. მაგალითად, ცუდად განათებული ქუჩა განსაკუთრებით პრობლემურია ქვიარ ქალებისთვის, რომლებიც მიიჩნევენ, რომ ღამით, ერთმნიშვნელოვნად, ყველგან საფრთხე ემუქრებათ. ამ მხრივ, ღამით გადაადგილებას ცენტრალურ უბნებშიც საფრთხის შემცველად აღიქვამენ. ასეთი თავდასხმები არა ქვიარ იდენ-

ტობით, არამედ გენდერული მოტივითაა განპირობებული და გამოიხატება სექსუალური შვიწწროებით:

ის ტრავმული გამოცდილებები, რომლებიც მე მახსენდება, ჩემს სექსუალურ ორიენტაციას, თითქმის არაფერს არ ვუკავშირებ. აბსოლუტურად ყველა უკავშირდება არა ჩემს იდენტობას, არამედ ჩემს გენდერს (ინტერვიუ მაიასთან, 16/09/2021).

მაია იხსენებს სექსუალური შვიწწროების რამდენიმე მაგალიტს, რომლებიც თითქმის იდენტურია ყველა იმ ქალის ცხოვრებაში, ვინც გამხდარა გენდერული ნიშნით ძალადობის მსხვერპლი ღია თუ დახურულ საჯარო სივრცეებში. ეს გამოცდილებები აერთიანებს როგორც ქუჩას, ასევე საზოგადოებრივ ტრანსპორტს. მაგალიტად, მეტრო განსაკუთრებით სახიფათოდ აღიქმება, როგორც ქვიარ იდენტობის პრიზმიდან, ასევე გენდერული გადმოსახედიდან. ჩაკეტილ სივრცეში ყოფნა და იქიდან გარკვეული დროით თავის დაღწევის შეუძლებლობა ცენტრალურ როლს თამაშობს ამ საჯარო სივრცის პრობლემურად აღქმაში.

4.3.4. ცენტრი და პერიფერია

ზოგადად, ურბანული არეალი, პერიფერიასთან შედარებით უსაფრთხოდ აღიქმება ქვიარ ადამიანებისთვის და ამის შედეგია, რომ მრავალი მათგანი ტოვებს სოფლებს და ჩამოდის ქალაქში საცხოვრებლად. განსხვავება კი პერიფერიასა და ცენტრს შორის ქალაქის შიგნითაც შესამჩნევია. ცენტრალურ უბნებში, თავმოყრილია მრავალი ურბანული ფუნქცია, რომელიც თავის მხრივ, განაპირობებს როგორც ეკონომიკურ, ასევე სოციალურ მრავალფეროვნებას. შესაბამისად, ტოლერანტობაც „ნორმისგან განსხვავებულის“ მიმართ ქალაქის ამ ნაწილში უფრო მეტი იქნება, რადგან სოციალური ინტერაქცია აქ უფრო მაღალია.

მოსახლეობისა და ურბანული ფუნქციების სიმჭიდროვის გათვალისწინებით, ხალხმრავლობა ის ერთ-ერთი ასპექტია, რომლითაც ქალაქის ცენტრალური უბნები უფრო გამოირჩევა. ამ საკითხს რამდენიმე მონაწილემაც გაუსვა ხაზი, როგორც უსაფრთხოების შეგრძნების განმაპირობებელ ერთ-ერთ ფაქტორს. სივრცეში მოქალაქეთა მაღალი კონცენტრაცია ქმნის მეტად კონტროლირებულ სიტუაციას და, შესაბამისად, ასეთ არეალებში საჯარო სიმშვიდეც მეტად უზრუნველყოფილია. თუმცა, როგორც უკვე

ვნახეთ, თემის წევრები ხშირად არიან კიდევ თავს ხალხმრავლობას, რომელიც ყოველთვის არ არის დაცულობის გარანტია, განსაკუთრებით გარეუბნებში. როდესაც ასმათი გლდანში, ხალხმრავალ ქუჩაზე შეილთან ერთად მოძრაობისას, არაპეტერონორმატიული ვიზუალის გამო ჰომოფობიური თავდასხმის ობიექტი გახდა, „დღისით-მზისით, კაციშვილი არ ჩარეულა, არავის არაფერი უთქვამს [თავდამსხმელისთვის] რომ თავი დაენებებინა“.

ცენტრალურ უბანში დაცულობის მეტ ხარისხზე მიუთითებს ნიკაც. იგი მიიჩნევს, რომ ვაკეში საცხოვრებლად გადასვლით, გარკვეულწილად, პრივილეგირებულადაც კი გრძნობს თავს, რადგან სხვა უბანში ყოველდღიურ ცხოვრებასთან დაკავშირებულ უსიამოვნებებსა და ინციდენტებს ირიდებს თავიდან. ქვიარ იდენტობასთან დაკავშირებული ინციდენტები რომ მრავლად ხდება გარეუბანში მცხოვრები თემის წევრების ყოველდღიურობაში, ნათლად დასტურდება ასმათის გამოცდილებით:

გლდანში, მე და ჩემი პარტნიორი, ერთ-ერთ საშაურმეში ვისხედით. უცებ, ბიჭების რალაც ჯგუფმა ჩაგვიარა, შემოგვხედეს და ერთმა მეორეს დემონსტრაციულად გასძახა: “შენ ხუთ ივლისს იყავი ხო აქციაზე?” მივხვდი, რომ ჩვენს გასაგონად ამბობდნენ... საერთოდ არ მივაქციე ყურადღება, აზრი არ აქვს... ეგეთი რალაცები ყოველთვის ხდება, წამოძახებები... (ინტერვიუ ასმათთან, 01/10/2021).

სტრესულ გამოცდილებაზე გვიყვება ევაც, რომელიც ავჭალაში ცხოვრების პერიოდში, ჰომოფობიური თავდასხმებისგან თავის არიდების მიზნით, იძულებული იყო სახლამდე შემოვლითი გზით მისულიყო, რაც დამატებით დისკომფორტთან და შიშთან იყო დაკავშირებული:

სახლამდე მისასვლელად ან ქუჩით უნდა გამევილო, სადაც სულ ბირჟებია, ან სასაფლაოს მხრიდან გავსულიყავი, იმიტომ რომ სახლი იყურებოდა სასაფლაოსკენ და წარმოიდგინე, ღამით მიწვედა სასაფლაოს გავლა. არაერთხელ, ეს უბნის ბირჟები... ბიჭები, კაცები, ხან ფეხბურთს თამაშობდნენ და განზრახ ბურთს მესროდნენ და სიტყვა “პიდარასტი” იყო ძაან ჩვეულებრივი მომენტი... დიდი ხანი ვერ გავჩერდი. ლოგიკურია, შიში მქონდა (ინტერვიუ ევასთან, 02/10/2021).

ამ გამოცდილებების გათვალისწინებით, სულაც არ არის გასაკვირი, რომ ნიკა თავს პრივილეგირებულად მიიჩნევს ვაკეში საცხოვრებლად გადასვლის შემდეგ, რადგან იქ უფრო „თავისუფლად გადაადგილება“. მაინას აზრით, დაუცველობის შეგრძნების ასე მძაფრად აღქმა, პერიფერიებში „ნორმასთან შეუსაბამო“ ვიზუალების ნაკლებად მიმღებლობითაა განპირობებული. თუმცა, ზოგიერთი რესპონდენტი აღნიშნავს, რომ იქ, სადაც „ძველი ბიჭები“ იყრიან თავს, არ აქვს მნიშვნელობა გლდანში თუ მთან-მინდაზე, პრაქტიკულად, ერთნაირი მენტალობაა და თანაბრად საფრთხის შემცველია.

აქვე განვიხილოთ ურბანული მრავალფუნქციურობის კიდევ ერთი განზომილება. როგორც უკვე ითქვა, ქალაქის არცერთ ნაწილში, მათ შორის, არც ცენტრალურ უბნებში, არავინაა დაცული ჰომოფობიური თავდასხმებისგან. ამის მიზეზი, ირაკლის აზრით არის ის, რომ „ქუჩა უფრო შიშველი ადგილია, ყველანაირ ადამიანს უყრის თავს და მანდ არ ხარ დაზღვეული ვინ შეგხვდება და ვის შეხვდები“. ასეთ დროს, ისეთი ქუჩისპირა დაწესებულებები, როგორებიცაა ბანკი, აფთიაქი თუ მაღაზია, ქვიარებისთვის ერთგვარი თავშესაფრის ფუნქციასაც ასრულებენ, განსაკუთრებით ღამის საათებში. მიუხედავად იმისა, რომ ცხოვრებაში ერთ-ერთი ყველაზე დაუნდობელი თავდასხმის მსხვერპლი საბურთალოზე გახდა, შესაძლოა, სწორედ ურბანული მრავალფუნქციურობის გამო ფიქრობს ევა, რომ ბახტრიონზე ან ცინცაძის ქუჩაზე ღამით ფერადი ტანსაცმლით გავლისას უფრო დაცულადაა, ვიდრე რომელიმე გარეუბანში, ვულკანიზაციის გვერდით ჩავლის შემთხვევაში იქნებოდა.

ზემოთ ვახსენეთ ანდრეას გამოცდილება 5 ივლისის პერიოდში. როგორც ირკვევა, ეს განწყობა სხვა რესპონდენტებშიც არსებობს. ქალაქის ცენტრსა და პერიფერიას შორის განსხვავება უსაფრთხოების აღქმის კუთხით სრულიად ქრება ქვიარ სენსიტიური თარიღების მოახლოებისას, ჰომოფობიური ჯგუფების მობილიზებისა და განწყობების კვალდაკვალ. ასეთ დროს, ცენტრალურ უბნებში და მათ შორის, ისეთ სივრცეებშიც, რომლებსაც რესპონდენტები საკუთარ უბნად აღიქვამენ, ფიზიკური გამოჩენა ისეთივე სახიფათოდ მიიჩნევა, როგორც გარეუბანში. ირაკლი იხსენებს შემთხვევას, როდესაც 5 ივლისს, საკუთარ უბანში, ქალაქის ცენტრში, სამსახურში მისასვლელად რამდენიმე ასეული მეტრის გასავლელად ტაქსი გამოიძახა:

ნელს, პირველად იყო ჩემს ცხოვრებაში, სახლიდან რომ გამოვედი, სამი ქუჩის გადაღმა, სამსახურში რომ უნდა ჩავსულიყავი, ტაქსი გამოვიძახე. ესლა მგონია, რომ ძალიან პარანოიდული იყო ეს ფიქრი და რეალობასთან კავშირი არ ჰქონდა, მაგრამ ანუ... ეს მანძილი რომ წარმოვიდგინე, თუნდაც ამ პატარა ქუჩაზე, საკუთარ უბანშიც კი, უცებ განცდა მქონდა, რომ არ იცი რა მოხდება. ცენტრალურ ქუჩებზე ვილაცებს ხოცავენ... (ინტერვიუ ირაკლისთან, 04/10/2021).

ეს გამოცდილებები ნათლად გვიჩვენებს, რომ ცენტრსა და პერიფერიას შორის არსებული სხვაობა სივრცეში დაცულობის კუთხით, გარკვეულწილად მოჩვენებითიცაა. ინდივიდუალურ აღქმებსა და გამოცდილებებს ცენტრალური როლი უჭირავს ქალაქის ამა თუ იმ უბნის ქვიალებისთვის უსაფრთხო სივრცედ მონათვლაში. პერიოდულობა განსაკუთრებით თვალშისაცემი ფაქტორია სივრცის უსაფრთხოდ აღქმაში და იგი მუდმივად ცვალებადი ხასიათისაა, დღისით თუ ღამით, ქვიარ სენსიტიური თარიღების დროს თუ ნებისმიერ სხვა კალენდარულ დღეს.

4.3.5. ექსკლუზიური სივრცეები

ქალაქის ცენტრის უსაფრთხოდ აღქმის კიდევ ერთი ფაქტორი შესაძლოა იყოს ის, რომ აქ შეინიშნება ქვიარ ინკლუზიური ბარების, ღამის კლუბების და გართობის სივრცეების კლასტერული კონცენტრაცია. ქვიარებისთვის ექსკლუზიურად შექმნილ ღონისძიებებსაც ცენტრალური ადგილი უჭირავს თემისთვის უსაფრთხო სივრცის შექმნაში. ზოგიერთი აღნიშნავს, რომ ღამის კლუბები რესურსების მოძიებასაც ემსახურებოდა თემის ამა თუ იმ წევრის დასახმარებლად. გართობის სივრცეებიდან გამოყოფენ მეგობრულ ბარებს, რომლებიც მნიშვნელოვან როლს თამაშობენ თემის ცხოვრებაში, რადგან იძლევიან თავისუფალი სოციალიზაციის სივრცეს. რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ ამგვარი სივრცეები დაეხმარათ მეტი თავდაჯერების, დაცულობის განცდის მოპოვებაში, რადგან მიხვდნენ, რომ არ იყვნენ მარტო:

სულ პირველად როცა ვიყავი [ღამის კლუბში, ქვიარ ღონისძიებაზე], მახსოვს, რომ ბოლო რამდენიმე საათი ვიჯექი და ვუყურებდი, რომ იმდენად ახალი სამყარო აღმოვაჩინე, ეგრე მეგონა,

იმიტომ რომ, იმ პერიოდში 19 წლის ვიყავი და არასდროს მქონია შეხება ამდენ ქვიარ ადამიანთან და ეგეთი სივრცე არსად მენახა, არ ყოფილა ჩემ ირგვლივ. უბრალოდ ბედნიერების შეგრძნება მქონდა იმ მომენტში, რომ აი, არსებობს ადგილი, სადაც შემეძლება რომ თავი დაცულად ვიგრძნო (ინტერვიუ მარიამთან, 30/09/2021).

მსგავსი, ნახევრადსაჯარო სივრცის შექმნა, მიზნად ისახავს თემის წევრების დაცულობის გაზრდას, რადგან საჯარო სივრცისგან განსხვავებით, იგი გარკვეულ სოციალურ ფილტრს იყენებს. თუმცა, ამ ფორმით ასევე იქმნება ექსკლუზიური სივრცე, რომელიც შესაძლოა მარტივად ამოსაცნობი გახდეს აგრესიული ჯგუფებისთვის და ერთგვარ უკუეფექტს ქმნის, აგდებს რა მოწყვლად მდგომარეობაში იქ მყოფ ქვიარებს. ანდრეა და ნიკა ექსკლუზიურად ქვიარ სივრცეების ამ ასპექტზე ამახვილებენ ყურადღებას:

ყველამ ასე თუ ისე იცის, რომ [მაგ ქუჩაზე] ქვიარები არიან და ვინმეს რომ რამე მოუნდეს, ყველაზე მოწყვლადები, ალბათ, მანდ ვართ, იმიტომ რომ ყველაზე ხშირად გვინევს მანდ ყოფნა ასე საჯაროდ და ყველამ იცის. ამ საფრთხეს სულ ვგრძნობ, იმიტომ რომ... ნებისმიერს შეუძლია შემოვიდეს [ბარში] და რაღაც ამბავი ატეხოს... ყოფილა მსგავსი შემთხვევებიც (ინტერვიუ ანდრეასთან, 28/09/2021);

როდესაც გაცხადებულია, რომ რა სივრცეა და რას ემსახურება, პირდაპირი განაცხადია რომ მოდი დამარტყი. მეორეა, სეგრეგაციის საკითხი, რომ ამ ადამიანებს ცალკე ადგილი სჭირდებათ (ინტერვიუ ნიკასთან, 30/09/2021).

კიდევ ერთი ასპექტი, რომელსაც აკრიტიკებენ რესპონდენტები ექსკლუზიურად ქვიარ სივრცეებზე რეფლექსირებისას, არის ის სტერეოტიპულობა, რომელსაც მსგავსი ადგილები ხშირად იძენენ. ისინი უფრო მეტად მიჩნეულია გეიმეგობრულ ადგილებად და ნაკლებად არის თემის მრავალფეროვნების რეპრეზენტატული:

ქვიარს ეძახიან, თორემ რეალურად, ჩვეულებრივი გეი ბარია, სადაც რომ მიდიხარ, არის კაცზე ორიენტირებული – დიჯეი თუ არის კაცია. კაცია სტანდარტი, სტერეოტიპულია. იდეაში პროგრესთან უნდა იყოს კავშირში, თავისუფლებასთან, განვითარებასთან. რეალურად არის ოთხმოციან წლებში შექმნილი სტერეოტიპული ჩარჩო, რომელიც თუ არ აკმაყოფილებს ამ სტანდარტებს ვერ დაუძახებ ქვიარ ბარს, ანუ რაღაც სტანდარტებში უნდა ჯდებოდეს და მე მგონია, რომ სწორედ ქვიარ სივრცე არ უნდა ჯდებოდეს სტანდარტში (ინტერვიუ ნიკასთან, 30/09/2021);

ამასთანავე, ქვიარ სივრცეებში ძალაუფლების არათანაბარი დინამიკაც შეინიშნება. რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ თემი ხშირად ვერ იტევს განსხვავებულ აზრს, რაც ქმნის შიდა დაპირისპირებებს და ფსიქოლოგიურ ზეწოლას. ეს განსაკუთრებით შესამჩნევია ხილვადობის პოლიტიკის წარმოებასთან დაკავშირებით, რამაც ბევრი ქვიარი გახადა თავდასხმის ან დამცირების სამიზნე. ეს გარემოება კი ისევ თემის წევრებზე აისახება უარყოფითად:

ნაწილობრივ, ალბათ, საუბარი უჭირთ ერთმანეთში [აქტივისტებს]. მარტივი მიზეზის გამო შეიძლება რომ იჩხუბონ ან საჯაროდ გააკეთონ ეგ და დააზიანონ ისედაც დაზიანებული ყველაფერი (ინტერვიუ ნატალიასთან, 29/09/2021);

კოლექტიურ უსაფრთხოებაზე თუ ვსაუბრობთ, ეს ერთობა [ქვიარ თემი], პირველ რიგში, აზიანებს განსხვავებულ აზრს, იმიტომ რომ შენ თუ რაღაცა განსხვავებულს ამბობ, ან აკრიტიკებ – გაჩუმდი, ანუ თემისთვის ეს არის უკეთესი და ახლა შენ საერთო საქმეს აზიანებ (ინტერვიუ ნიკასთან, 30/09/2021).

ცენტრალური არეალების უსაფრთხოდ აღქმაში ქვიარების ნაწილი ასევე მიიჩნევს თვითონ თემის მიერ, ქალაქის განვითარების ზოგადი ტენდენციებისადმი ფეხის აწყობას. ურბანული ფუნქციების და პირველ რიგში, ქვიარ სივრცეების ცენტრისკენული განვითარების მიდგომას ისინი უარყოფითად აფასებენ და მიიჩნევენ, რომ შესაძლოა, სწორედ ეს გარემოება უშლის ხელს, რომ ქვიარებისთვის გარეუბნები გაზრდილი საფრთხის შემცველ ზონებად რჩება:

„მთელი [ქვიარ] პოლიტიკაა სტერეოტიპული და მთელი პოლიტიკაა კოპირების განმეორება. ხოდა არ მიკვირს, რომ ურბანულ სივრცეზე ისახება ეს და მოთხოვნის წაყენების უფლება არ მაქვს. რატომ აკეთებ ქალაქის ცენტრში? დეცენტრალიზაცია დაინწყე და ქვიარ პოლიტიკა იქნება, თუ სადმე ქალაქგარეთ იქნება... მაგრამ, მეორე საკითხია უსაფრთხოება. (ინტერვიუ ნიკასთან, 30/09/2021).

უსაფრთხოებასა და ურბანული ფუნქციების კონცენტრაციას შორის მიზეზშედეგობრივი კავშირების დადგენა არ წარმოადგენს წინამდებარე კლემის მიზანს. ქვიარ სივრცეები ჩნდება იქ, სადაც უსაფრთხოების განცდა უკვე არსებობს, თუ ქვიარ სივრცეების გაჩენა განაპირობებს კონკრეტული ლოკაციის უსაფრთხოდ აღქმას? ამკარაა, რომ ცენტრალური უბნების უსაფრთხოდ აღქმაში ასეთი სივრცეების ლოკალიზებული არსებობა მნიშვნელოვან როლს თამაშობს. მეორე მხრივ, გარეუბნებში მათი არსებობა რამდენად გაზრდიდა იქ თემის წევრების დაცულობის განცდას, ცალკე მსჯელობის საგანი შეიძლება გახდეს. ეს ორი საკითხი ურთიერთგადაჭვეულია და რომელი მათგანი განაპირობებს მეორის არსებობას, მხოლოდ სპეკულაციის საგანი შეიძლება იყოს.

თუმცა, ორი გარემოება ამ კუთხით ნათლად იკვეთება და ვფიქრობთ, ხაზს უსვამს სივრცის მნიშვნელობას საზოგადოების ფართო ნაწილსა და ქვიარ თემს შორის არსებულ ხიდჩატეხილობაზე საუბრისას. ერთი მხრივ, იმის გამო, რომ ქვიარები ვერ გრძნობენ თავს უსაფრთხოდ და მიღებულად კონკრეტულ სივრცეებში, ისინი ცდილობენ მოერიდონ ასეთ გარემოს. ისეთი სივრცეები, როგორებიცაა მაგალითად ეკლესია, ან ქართული რესტორნების მნიშვნელოვანი ნაწილი, მათთვის, როგორც თემის წარმომადგენლებისთვის დაკარგული და მიუწვდომელია. ამ სივრცეებმა ქვიარები, რომლებიც ცხოვრების კონკრეტულ ეტაპზე თავს მიაკუთვნებდნენ მათ, განსხვავებულობის გამო დაკარგა:

რაც არ უნდა საკვირველი იყოს, არაერთხელ მომინათლავს ბავშვები და ეკლესიაშიც დავდიოდი. სანამ დავმორდებოდი, ჩემს პარტნიორთან ერთადაც მივსულვარ ეკლესიაში, რადგან რელიგიური ტიპია. ადრე [უფრო] უსაფრთხო იყო იქ მისვლა, იმიტომ რომ ვერგებოდი იმ პირობებს, ვლოცულობდი, ვგალობდი,

მოძღვარი მყავდა. ახლაც შეიძლება მივიღე ეკლესიაში. ტურისტად რომ ჩამოდიან მეგობრები და აინტერესებთ, რა თქმა უნდა შემოვიყვან, ხატებს დავანახებ, რომელიც ჩემთვის უკვე არა რწმენის ელემენტია, არამედ როგორც ხელოვნების ნიმუში და მოვუყვები მის შესახებ (ინტერვიუ ევასთან, 02/10/2021).

მეორე მხრივ, ექსკლუზიური სივრცეებით, ქვიარები იზოლირდებიან დანარჩენი საზოგადოებისგან, სადაც მხოლოდ კონკრეტული ფილტრის გავლის შემდეგ არის მოხვედრა შესაძლებელი. უსაფრთხოების განცდის გარდა, ფართოდ გავრცელებული ჰომოფობიური განწყობების პირობებში, შესაძლოა ასეთი სივრცე იყოს იმ დანაკარგის გარკვეულწილად მაკომპენსირებელი, რასაც ქვიარები ზოგადად განიცდიან ცხოვრების განმავლობაში. ექსკლუზიურ სივრცეებზე წვდომის წინაპირობაზე საუბრისას კი ნიკამ ხაზი გაუსვა ერთ მნიშვნელოვან ელემენტს – „ჯერ ასეთი „ლუქი“ (ავტ. სტილი, გარეგნობა) ააწყვე და მერე..“.

განსხვავებულობა აქ პირველ რიგში გარეგნობას, ვიზუალს, სხეულს, ფიზიოლოგიას გულისხმობს და იქცევა დანარჩენი საზოგადოებისა და ქვიარ თემის დაყოფის წინაპირობად. სწორედ, სხეულსა და გარეგნობაზე ვისაუბრებთ მომდევნო ნაწილში და ვნახავთ, როგორ იქცევა ეს ბიოლოგიური ერთეული კონკრეტული სივრცის, სიტუაციისა და კონტექსტის შესაბამისად.

როგორც მაგალითებითაც ვიხილეთ, ქვიარის მიერ სივრცეში დაცულობის შეგრძნებას სუბიექტურ მოსაზრებებთან და ინდივიდუალურ გამოცდილებებთან ერთად, განაპირობებს მრავალი ისეთი ფაქტორი, როგორებიცაა ფუნქციების მრავალფეროვნება, ხალხმრავლობა და განსაკუთრებით, ქალების მიერ სივრცის დომინაცია, ქვიარმეგობრული ღონისძიებებისა და ექსკლუზიური სივრცეების კონცენტრაცია და პერიოდულობა თუ თემის შიგნით არსებული განწყობები და მათ შორის ურთიერთდაპირისპირება. დაცული სივრცის რაობა მრავალნახნაგოვანია და დამოკიდებულია სხვადასხვა, ხშირად წინასწარგანუსაზღვრელ, ფაქტორებზე. ეს კიდევ ერთხელ მიუთითებს სივრცის, როგორც გეოგრაფიული ელემენტის ფლუიდურობაზე, რომელიც მუდმივად ცვალებადია და არ გააჩნია ერთი კონკრეტული, ჩამოყალიბებული ფორმა. უსაფრთხო ქვიარ სივრცე ერთ-ერთი ასეთი მაგალითია. შესაბამისად, დანამდვილებით იმის თქმა, რომელი სივრცეა ქვიარისთვის უსაფრთხო ან საფრთხის შემცველი, შეუძლებელია.

4.4. კომპრომისორებადი და ქვიარ სხული

*„უსაფრთხოდ იყო და ისეთი სტილი გქონდეს,
როგორც გინდა, ვგრე არ გამოდის“
(ინტერვიუ ნინოსთან, 11/09/2021)*

კვლევის მონაწილეებთან ინტერაქციის პროცესში, სხეულზე, გარეგნობასა და სპეციფიკურ მანერებზე საუბარი ხშირ შემთხვევაში, მკვლევრის პოზიციიდან კითხვის დასამამდე იწყებოდა. ამ გარემოებამ კიდევ უფრო გაამყარა რწმენა ადგილობრივ კონტექსტში, სივრცეში ქვიარ ტრავმული გამოცდილების შესწავლასა და თეორიზებაში, სხეულის განსაკუთრებული როლის შესახებ. ჰომობიური თავდასხმების ეპიზოდები უკავშირდება ჩაცმულობას, კაცების შემთხვევაში ფემინურ გამოხატვას, არაბინარულ ვიზუალს ან იმ შემთხვევებს, როდესაც თავდამსხმელებს ეჭვი მიჰქვთ არაჰეტერონორმატიულ წყვილზე. უსაფრთხო სივრცეზე საუბრისას ეს საკითხები ზედაპირზე ბუნებრივად ამოტივტივდა. თავდასხმები ევასა და ასმათზე, არაბინარული ვიზუალით გამოწვეული ნეგატიური დამოკიდებულებები სანდრასა და ნინოს მიმართ, ნათლად მეტყველებს სხეულისა და გარეგნობის მთავარ როლზე ქვიარების მარგინალიზების მცდელობებში. ეს გამოცდილებები აისახება თემის წევრების სოციალურ ინტერაქციებზე საჯარო სივრცეში. სხეული და ვიზუალური ექსპრესია ქვიარ იდენტობის ერთ-ერთი ცენტრალური ელემენტია და რადგან იგი არ ერგება ჰეტერონორმატიულ ჩარჩოებს, შეუიარაღებელი თვალისთვისაც მარტივი აღსაქმელია:

სხვა სოციალურ ჯგუფებს გარეგნულად იდენტიფიცირებას ნაკლებად უკეთებენ... ეგ არის ერთ-ერთი მთავარი განმასხვავებელი... [ქვიარები] ფიზიკურად იდენტიფიცირებადი არიან (ინტერვიუ ქეთისთან, 15/09/2021).

ერთი მხრივ, ეს ზრდის თემის ხილვადობას საჯარო სივრცეში და ხაზს უსვამს, რომ ისინიც საზოგადოების ნაწილი არიან. თუმცა, ამ გარემოებას თან სდევს რისკებიც. ამარტივებს რა მათ იდენტიფიკაციას, ვიზუალურად გამოხატულმა ელემენტებმა, შესაძლოა ადამიანები სიძულვილით მოტივირებული თავდასხმების სამიზნედ აქციოს. როგორც უკვე ვნახეთ, ამისგან დაზღვეული ადამიანები არც ქვიარმეგობრულ სივრცეებში არი-

ან. პირად გამოცდილებაზე დაყრდნობით, ნინო მიიჩნევს, რომ საკუთარი იდენტობის გარეგნულად ექსპრესიის შემთხვევაში, ქვიარ ადამიანებს უნევთ გაზრდილი რისკის ქვეშ ცხოვრება:

ქვიარ თემისთვის [ეგ] მემგონი ძალიან მნიშვნელოვანი პრობლემა არის რომ თვითგამოხატვა ასე არ შეგიძლია. უსაფრთხოდ იყო და ისეთი სტილი გქონდეს როგორც გინდა, ეგრე არ გამოდის (ინტერვიუ ნინოსთან, 11/09/2021).

გვანხსოვს ევას გამოცდილება, რომელიც როგორც ტრანსგენდერი ქალი, შესაბამისი ფემინური გარეგნობით, გახდა დაუნდობელი თავდასხმის მსხვერპლი საჯარო სივრცეში? სხეული, ამ შემთხვევაში იდენტობის აუცილებელი ატრიბუტიკიდან, შესაძლებელია გადაიქცეს ნეგატიური და ტრავმული გამოცდილებების მიზეზადაც. როგორც ნინო გვეუბნება, „დემონსტრაციულად რამეს კი არ უნდა აკეთებდე... რალაცნაირად, იდენტიფიცირებას თუ მოახდენს მეორე ადამიანი, შეიძლება რალაც მოხდეს“. ცხოვრების გარკვეულ ეტაპზე მასკულინური ვიზუალით გამორჩეულს, ნინოს უნევდა სამსახურში ბულინგის ატანა, რადგან მისი გარეგნობა არ ჯდებოდა ფართოდ აღიარებული ფემინურობის ჩარჩოებში. მის მსგავსად, ასმათიც მიიჩნევს, რომ ფემინური ვიზუალის ქონის შემთხვევაში, გაუმარტივებოდა იდენტობის დამალვა და ნაკლები დაბრკოლება შეხვდებოდა ცხოვრებაში. მიუხედავად იმისა, რომ არაბინარული ვიზუალის გამო განსაკუთრებული აგრესია არ გამოუცდია, სანდრას მუდმივად ექმნებოდა ემოციური დისკომფორტი და შიში საჯარო სივრცეში ყოფნისას. ეს დაკავშირებული იყო მის გარეგნობასთან უცხო პირების დამოკიდებულებით – ვილაცას შეიძლება ეთქვა „აუ, ნახე რა ბიჭს ჰგავს, გოგო ყოფილა“. თუმცა, საკუთარი ვიზუალი ზოგიერთ სოციალურ სიტუაციაში, შესაძლებელია პრივილეგიადაც კი მიეჩნია:

[სახლის ძიებისას] როგორც ტრანსგენდერებს ან გეი მამაკაცებს აქვთ, ესეთი მე არ მქონია, იმიტომ რომ როგორც წესია ხოლმე, ქალების, ლესბოსელების მიმართ უფრო შემწყნარებლები არიან და პირიქით, გოგო აღიქმებდა ხოლმე დადებითადაც, „აი ვაჟკაციური ტიპია“ და შეიძლება უფრო უხაროდათ, რომ „კაცებს არ მოგვიყვანს სახლში“ (ინტერვიუ სანდრასთან, 16/09/2021).

ასოცირდება რა მებრძოლ ხასიათთან, სანდრას არაბინარული გარეგნობა დაფასებული და მიღებულია, როგორც მასკულინური და, შესაბამისად, აღიქმება დადებითად. გენდერული არაბინარულობა, „ნეიტრალური სხეული“ განსაკუთრებით სარისკოდ აღიქმება. ტრანსგენდერი რესპონდენტების გამოცდილებაში ეს განსაკუთრებით თვალსაჩინოა. ისინი აღნიშნავენ, რომ ტრანიზიციის პროცესის დაწყებამდე, როდესაც ე.წ. „ნეიტრალური სხეული“ ჰქონდათ, მეტად ხდებოდნენ ქუჩაში, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში თავდასხმების, შევიწროების მსხვერპლები. მას შემდეგ რაც მათი ფიზიოლოგია გახდა უფრო მასკულინური ან ფემინური და ჩაჯდა კონკრეტულ „საზღვრებში“, შევიწროების ფაქტებმა იკლო, რადგან უფრო შეუმჩნეველები გახდნენ და მეტი თავდაჯერება იგრძნეს, რომ თავის დაცვა შეუძლიათ. ასეთ შემთხვევას იხსენებს ტრანსგენდერი ქალი, ია:

ადრე თუ ვინმე ქუჩაში პირობითად მეტყვოდა „ეს კაცია, თუ ქალია“, შეიძლებოდა იმდენად სტრესული ყოფილიყო ეს ყველაფერი ჩემთვის რომ ერთი თვე ვყოფილიყავი დეპრესიაში და მაგის გამო მქონდა საშინელი შფოთვები. ეხლა უკვე იმდენად თავდაჯერებული ვარ რომ ის ვარ, ვინც ვარ, ამხელა მიზანს მივალწიე და რატომ უნდა მქონდეს მიზეზი შფოთვისთვის, როცა უცხო ადამიანი, რომელიც შენთვის არავინ არ არის, რაღაცას გეუბნება ისეთს (ინტერვიუ იასთან, 18/09/2021).

გარდა ამისა, კაცის სხეული უფრო მეტ დაცულობასთან ასოცირდება და მეტი წვდომა აქვს ნებისმიერ სივრცეზე, ვიდრე ქალის სხეულს. ეს განსაკუთრებით ტრანსგენდერი კაცების ნარატივშია თვალსაჩინო. ჰეტერონორმატიული გარეგნობა და მასთან დაკავშირებული პრივილეგიები, როგორც საზოგადოებაში თვითრეალიზაციისა და უსაფრთხოების შეგრძნების ერთ-ერთი უმთავრესი ხელშემწყობი ფაქტორი, იკვეთება ანდრეას (ტრანსგენდერი კაცი) მონათხრობში. ტრანზიციის შედეგად, მან პირადი გამოცდილებით იგრძნო, როგორ იცვლება ქალის მრავალმრიანი ჩაგვრა პატრიარქატთან ასოცირებული პრივილეგიებით:

ტაქსიში თუნდაც, რომ ვზივარ და დანა არ მაქვს ხელში მომარჯვებული, ნომერს არ ვიმახსოვრებ და არ მაქვს 112-ის აპლიკაცია გახსნილი [მობილურში], მიუხედავად იმისა, რომ ტრანს კაცი ვარ, პატრიარქატის პრივილეგიიდან მოვიდა ჩემამდე (ინტერვიუ ანდრეასთან, 28/09/2021).

ანდრეას მსგავსად, მიხეილიც მიუთითებს იმ „პრივილეგირებულ“ მდგომარეობაზე, რომელშიც აღმოჩნდა როგორც ტრანსგენდერი კაცი – „[კაცის] ვიზუალიდან გამომდინარე, არ არსებობს სივრცე, სადაც ვერ შევალ და შემეშინდება და რაღაც..“. სხეულზე საუბრისას, ანდრეა აღნიშნავს, რომ ისევე, როგორც საჯარო სივრცის უსაფრთხოების პერიოდული აღქმა დაკავშირებულია ქვიარ ხილვადობის თარიღებთან, საკუთარ ვიზუალთან დაკავშირებითაც შფოთვა უძლიერდება სეზონურად:

ძირითადად, თავს უფრო უსაფრთხოდ ვგრძნობ ხოლმე ზამთარში. გარემოს რომ თავი დავანებოთ, იმდენის ჩაცმა მინევს, რომ მაინც ძირითადად აღვიქმები სისგენდერ, ჰეტეროსექსუალ კაცად... ზაფხული რომ მოდის, გარდა იმისა, რომ გარეთ ხდება ქაოსი, მაისურით სიარული რომ მინევს, სულ მგონია, რომ მკერდი მაინც ისე არ მაქვს და ამით რაღაცას ატყობენ რა... ამიტომ, შეიძლება რაღაც გამოიწვიოს (ინტერვიუ ანდრეასთან, 28/09/2021).

ისეთმა გარემოებამაც კი, როგორც ცივი ან თბილი ამინდია, შესაძლოა მნიშვნელოვანი ზეგავლენა იქონიოს ქვიარ სხეულის ვიზუალსა და უსაფრთხოების შეგრძნებაზე, მის ზოგადსაზოგადოებრივ ცხოვრებაში მშვიდ და უსაფრთხო ნავიგაციაზე. ეს ერთი შეხედვით, შესაძლოა მიანიშნებდეს ქვიარ სხეულის არამდგრად ხასიათზე, რომელიც მხოლოდ გარემო ფაქტორებზეა დამოკიდებული. თუმცა, ზემოთ მონათხრობებიდან ისიც ჩანს, რომ ქვიარ სხეული გამოიყენება სოციუმსა და სივრცეში ლავირების მთავარ ინსტრუმენტად. ლავირების შესაძლებლობა კი ქვიარ სხეულს ანიჭებს სწორედ იმ მდგრადობას, რომელიც აუცილებელია ინდივიდის გადარჩენისა და განვითარებისთვის.

4.4.1. ქვიარ სხეულის მდგრადობა და სივრცეში ნავიგაცია

ვხედავთ, რომ სხეული გამოიყენება სოციუმსა და სივრცეში ლავირების, უსაფრთხოდ ნავიგაციის ძირითად ინსტრუმენტად. ქვიარ სხეული, როგორც სოციალური კონსტრუქტი, განსაზღვრავს რამდენად აქვს წვდომა ქვიარ ადამიანს კონკრეტულ სივრცეზე. ექსკლუზიურ სივრცეებზე საუბრისას ვნახეთ, რომ იქ მოხვედრის ერთ-ერთი ძირითადი წინაპირობა, იმ სივრცეში დანესებული ვიზუალური მოთხოვნების, ე.წ. ლუქის დაკმაყოფილებაა. ეს „ვიზუალური ფილტრი“ მოქმედებს ღია საჯარო სივრცეშიც სტანდარტიზებული, ჰეტერონორმატიული სხეულის სახით, რომელიც მკაცრად მასკულინური ან ფემინურია. ოღონდ აქ, ეს ფილტრი ქვიარების გარიყვას ცდილობს საერთო სივრციდან. სხეულის „ნორმალიზაცია“ ამ საერთო სივრცეში ჩაჯდომის, მის სრულფასოვან ნაწილად გახდომის ერთ-ერთი ასეთი მნიშვნელოვანი შესაძლებლობაა. ეს საკითხი განსაკუთრებით აქტუალურია მათთვის, ვისი ფიზიოლოგიაც არ ჯდება ტრადიციულ მასკულინურ და ფემინურ განზომილებებში. სხეულის ნორმალიზება ემსახურება ზოგადად ქვიარ ინდივიდის საზოგადოებაში დამკვიდრების, „ჩვეულებრივ“ ადამიანად ქცევის მიზანს ტრანზიციის ხანგრძლივი და რთული პროცესის შედეგად, რომელიც ინსტიტუციურ გამონევევებთანაცაა დაკავშირებული – „სანამ სახელს არ შევიცვლიდი, ცოტა არ იყოს ვერიდებოდი სამსახურის მოძიებასაც კი, იმიტომ რომ არ იყო ვიზუალი და სახელი თანხვედრაში“.

სივრცესთან და საზოგადოებასთან ინტერაქციაში ქვიარ ადამიანების რამდენიმე ძირითადი სტრატეგია იკვეთება. საკუთარი ვიზუალისა და სახელის შეუთავსებლობის გამო, ზურამ თავის არიდების სტრატეგია აირჩია და პოტენციურად უსიამოვნო სივრცეში მოხვედრას ამჯობინა კონკრეტულ სამსახურებზე თავიდანვე უარი ეთქვა. ასმათი ზურასგან განსხვავებულ სტრატეგიას არჩევს. მისთვის ნებისმიერ სივრცეში თვით-დამკვიდრება თავიდანვე საკუთარი იდენტობის ხაზგასმაზე გადის:

სანამ რამე მოთხოვნებს წამომიჭრიდნენ, ყოველთვის კონკრეტული პერიოდი მქონდა იმისთვის, რომ ჩემი თავი დამემკვიდრებინა იმ სიტუაციაში. როდესაც, ვამკვიდრებდი ჩემს თავს... დავუშვავთ, როგორც აი იმ სივრცისთვის კომფორტული პიროვნება... იქნება სამსახური თუ ა.შ. მე უკვე საკმაოდ ფესვები მქონდა გამდგარი, ასე ვთქვათ, როგორც შემდგარი ადამიანი იმ კონკრეტულ სივრცეში (ინტერვიუ ასმათთან, 01/10/2021).

სანდრას სტრატეგია ზურასა და ასმათის მიდგომების გარკვეულ ასპექტებს აერთიანებს. მან, ზურას მსგავსად თავიდანვე იცოდა როგორ გარემოში უნდოდა მუშაობა და რა ტიპის კოლექტივისგან სურდა თავის არიდება. დაეჭვების შემთხვევაში კი, ასმათის მსგავსად ღიად და პირდაპირ არკვევდა ვითარებას – „ვეუბნებოდი, რა დამოკიდებულება გაქვთ? იმიტომ რომ, მერე ხელშეკრულების დარღვევას და წასვლას, ჯობია ვიცოდე თავიდანვე“. ნინოს შემთხვევაში ვიხილეთ, რომ მას მოუწია გარკვეულ დათმობაზე წასვლა სამსახურში წამოყენებულ მოთხოვნასთან დაკავშირებით, თავისი ანდროგენული გარეგნობა უფრო მეტად ფემინურით შეეცვალა.

ზემოთ ჩამოთვლილ ძირითად სტრატეგიებს, თან ერთვის რამდენიმე, ყოველდღიურ სიტუაციებზე მიმართული ლავირების მეთოდები. აქ იგულისხმება ის მიდგომები, რომლის მეშვეობითაც ქვიარ ადამიანები ორიენტირდებიან და პოზიციონირებენ საჯარო სივრცეში ყოველდღიურად. ურბანული საჯარო სივრცე, როგორც უკვე ვიხილეთ, შეგვიძლია აღვიქვათ როგორც ერთგვარი „ბრძოლის ველი“, სადაც სხვადასხვა საზოგადოებრივი ჯგუფი ცდილობს მოინიშნოს საკუთარი სივრცე ყოველდღიურ ცხოვრებაში. ეს სივრცე უნდა მივიჩნიოთ როგორც ინდივიდის ყოველდღიური არსებობის ერთ-ერთი სასიცოცხლო ელემენტი, რომლის გარეშეც სრულყოფილი ცხოვრების წარმართვა შეუძლებელია ადამიანისთვის. მას ამ სივრცეში უწევს საყიდლებზე გასვლა, სამსახურში მისვლა, მეგობრების ნახვა, პარკში გასეირნება და ზოგადად, სოციალიზაცია. ქვიარ ადამიანების შემთხვევაშიც, ანალოგიურად მნიშვნელოვანია ყოველდღიური სივრცე და იქ გადაადგილება იმისთვის, რომ შეეძლოთ ცხოვრების მეტნაკლებად სრულყოფილად წარმართვა. ამისთვის, საჭიროა მათ ჰქონდეთ ამ ყოველდღიურ სივრცეზე კონტროლის და უსაფრთხოების შეგრძნება, ისევე როგორც ეს საზოგადოების სხვა ჯგუფებს აქვთ. ამ მიზნით, თემის წევრები ლავირების მეშვეობით ცდილობენ მოერგონ ამ სივრცეს და მოერგონ იგი კონტექსტის, შესაბამისად. სივრცის ფლუიდურ, მუდამ ცვალებად ხასიათს თუ გავითვალისწინებთ, ეს სავსებით რეალისტური მიზანია. სივრცეზე მორგება აქ არ უნდა გავაიგივოთ სრულ კონფორმიზმთან იმ დაწესებულ მოთხოვნებთან მიმართებით, რომელიც შესაძლოა არსებობდეს დომინანტური ჯგუფების მიერ სივრცეზე „ბატონობის დამყარების“ შედეგად. როგორც ირაკლი ამტკიცებს, ეს სტრატეგიები მხოლოდ საჭიროებიდან გამომდინარეობს და ამდენად, პრაგმატული ხასიათისაა.

დათმობა

იყენებენ რა საკუთარ ბიოლოგიურ სხეულს როგორც ლავირების ძირითად ინსტრუმენტს, ისინი ცდილობენ ყოველდღიურ სივრცეში უსაფრთხო ნავიგაციას. ამის მისაღწევად კი მიმართავენ ერთმანეთისგან განსხვავებულ მეთოდებს და ირგებენ სხვადასხვა სოციალურ როლებს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ქვიარ თემის წევრები თვითგადარჩენისთვის მრავალფეროვან მიდგომებს ირჩევენ და ამისთვის, სხეულსა და მის მოქნილობას იყენებენ. ამის მაგალითია ევა, რომელიც მრავალჯერ გახდა ჰომოფობიური თავდასხმის ობიექტი ფემინური გარეგნობის გამო. ფიზიკური თვითგადარჩენის მიზნით, მან არჩია გარკვეულ დათმობაზე წასულიყო და დაებრუნებინა მასკულინური ვიზუალი – „ვწუხვარ მე, რომ რალაცების დათმობა მომიწია, თუმცა მაინც, ბრძოლა არ ჩერდება“. დათმობა, ალბათ ყველაზე გავრცელებული მიდგომაა სივრცის ყოველდღიური ათვისების პროცესში. ეს სტრატეგია გარკვეულწილად ებმის საფრთხის პერიოდულობის და ცენტრი-პერიფერიის საკითხებს, რომლებიც უკვე განვიხილეთ. თუმცა, მნიშვნელოვანია ვახსენოთ აქაც, რადგან ის, თუ როგორ მატერიალიზდება „თვითგადარჩენის ინსტიქტი“ ქვიარების ცვლადი გარეგნობითა და ქცევით საჯარო სივრცეში, მუდმივად აქტუალურია მათ ყოველდღიურ ცხოვრებაში. ირაკლი ასეთ დაკვრივებას აკეთებს:

რაც არ უნდა ვილაპარაკოთ ამ საფრთხის შემცველ გარემოზე, ჰომოფობიაზე, რაც ბუნებრივია არის, მაგრამ ბოლო პერიოდში თბილისში ფაქტიურად დაძლეული იყო ეგ [გარეგნობის] სტიგმა. მართლა, საჯარო სივრცეში, სადაც დავდიოდი, ჩვეულებრივი პრაიდი იყო ყოველდღე ლამის... განსაკუთრებით ახალ თაობაში – ქვიარებზე მაქვს ლაპარაკი... უფრო თავისუფლები, გახსნილები, აი გადაგიჟებულები რომ არიან, საერთოდ საფრთხის განცდაც რომ არ ჰქონდათ იქამდე (ინტერვიუ ირაკლისთან, 04/10/2021).

ქვიარ ადამიანების ნაწილის ყოველდღიური გარეგნობა და ქცევა უცებ, ერთიანად შეცვალა 5 ივლისის ტრავმულმა გამოცდილებამ. „ეგეთი ადამიანები რომ ვნახე“, აგრძელებს ირაკლი თხრობას:

უცებ ზოგმა რომ შავად შეილება თმები, ზოგმა საერთოდ გადაიპარსა. ერთ-ერთი ადამიანი, სამი თვის მერე ვნახე, ჩვეულებრივი „ძველი ბიჭივით“ იყო მოსული. აი ეგ იყო ჩემთვის ტრაგედია, რომ უცებ მივხვდი, რომ ამ ადამიანებმა [მოძალადე ჯგუფებმა] თუ ეს მოკლეს, ეს რალაც, სიცოცხლით სავსე ენერგია და ეს თავისუფლების ძახილი და ეს რაც ჰქონდათ იქამდე თავისი გამოხატული ქვიარობით... ამათ თუ მეთქი ძველი ბიჭებივით დაიწყეს სიარული და ჩაშავდნენ, მეთქი მართლა მომავალი არ აქვს ამ ქვეყანას (იქვე).

იდენტობისგან განსხვავებული როლის მორგება კიდევ ერთი გავრცელებული სტრატეგიაა საფრთხისგან თავის ასარიდებლად და კონკრეტულ ლოკაციასა თუ სიტუაციაზე მოსარგებლად. ბინის ქირაობისას, საკმაოდ გავრცელებულია ჰეტერონორმატიული წყვილის ან მეგობრების როლის თამაში ბინის მეპატრონის კეთილგანწყობის მოსაპოვებლად:

ყოველთვის, როდესაც პარტნიორთან ერთად ვცხოვრობდი და ვქირაობდი სახლს, დაქალების სახელით და სტატუსით ვქირაობდით და ვეგონეთ დაქალები და არ მქონია პრობლემები... თუმცა, რომ ვთქვათ, რომ ღიად გვეთქვა პარტნიორები ვიყავით, არ გამოვიდოდა ეგ ამბავი... (ინტერვიუ ნინოსთან, 11/09/2021).

ამ სტრატეგიის გამოყენების საჭიროება კიდევ ერთხელ, ნათლად წარმოაჩინეს რამდენად პრობლემურია საცხოვრისზე ხელმისაწვდომობა ქვიარ ადამიანებისთვის, რომელსაც ეკონომიკური პრობლემების გარდა, თან ერთვის ჰომოფობიის რისკებიც. ბევრი მათგანისთვის ოჯახისგან დამოუკიდებლად ცხოვრების შესაძლებლობა მათი იდენტობის შენარჩუნების ერთადერთი საშუალებაა კი შეიძლება იყოს. ევაც იხსენებს პერიოდს, როდესაც დამოუკიდებლად ცხოვრების უფლების მოსაპოვებლად, მოუწია დაქორწინება ქვიარ ადამიანზე. მათთვის, ჰეტერონორმატიული ქორწინება იყო ერთადერთი გამოსავალი ეცხოვრათ ისე, როგორც თავად სურდათ. კონტექსტის, შესაბამისად, განსხვავებული როლის მორგება ევასთვის შესაძლოა ერთადერთი საშუალება იყოს საკუთარი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. მრავალრიცხოვანი ჯგუფის მხრიდან ჰომოფობიური თავდასხმის რისკის შემთხვევაში, როდესაც მარტო იმყოფება, იგი

ცდილობს ითამაშოს უცხოელის როლი, რომელსაც ქართული არ ესმის, ან მორწმუნე ადამიანად წარმოაჩინოს თავი და ასე აიცილოს შესაძლო აგრესია. ამდენად, განსხვავებული როლის მორგებაც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სტრატეგიაა, რომლის გამოყენებაც უწევთ ქვიარ ადამიანებს იმისთვის, რომ „ჩაენერონ“ კონკრეტულ სივრცესა და სიტუაციაში.

არ არის გასაკვირი რომ ურბანულ სივრცეში ტრავმული აქტების შედეგად ვხვდებით ქვიარების შეცვლილ ქცევას, თვითგამოხატვასა და ვიზუალურ გარეგნობას. ირაკლის ნათქვამი კარგად აჩვენებს თუ როგორ შეიძლება ამ დროებითმა, თუმცა ტრავმულმა მოვლენებმა სრულიად შეცვალოს ქალაქის, ღია სივრცეების უსაფრთხო ადგილებად აღქმა და რაც მთავარია, ეს აღქმა გადაითარგმნოს ადამიანების გარეგნობასა და ქცევაში. თუმცა, როგორც ირაკლი ამბობს, ამ მიდგომას ძირითადად დროებითი ხასიათი აქვს და „[ქვიარ ადამიანები] ნელ-ნელა ისევ იწყებენ თავიდან გამოსვლას და ხსნიან ისევ შეკუმშულ სხეულს“. მიუხედავად ამისა, თემის წევრების მიერ ამ ტრავმულ გამოცდილებაზე პასუხით ნათლად ჩანს როგორ ხდება ქვიარობის დამალვა ქვიარ „სხეულის შეკუმშვა“ თუ გარეგნობის თვითცენზურა საფრთხის ასაცილებლად. ამას მონიშნავს ანდრეას მონათხრობიც:

არის ხოლმე შემთხვევები... ბოლოს ვარკეთილში ვიყავი გასული და მაშინ მქონდა ღია ცისფრად თმა და მთელი გზა, სანამ იქ მივიდოდი და იქ ყოფნისას, სულ შფოთვაში ვიყავი, რომ „აი ეხლა, რაღაც არ მოხდეს“. მაგრამ, ძირითადად, თმა როცა ჩვეულებრივად მაქვს, მუქ ფერზე, ვარკეთილში და უფრო გარეუბნებში რომ გავდივარ, სულ ვცდილობ ხოლმე რომ ჰეტერონორმატიულად ჩავიცვა და გამოვიყურებოდე, რომ არ აღიქვან, რაღაც ისე... და მაგით გავურბივარ მოსალოდნელ კონფლიქტს (ინტერვიუ ანდრეასთან, 28/09/2021).

ყოველდღიურ ცხოვრებაში საკუთარი ვიზუალის „ნორმალიზების“ მოტივით მათ გარეგნობის სრული ან სხვადასხვა ელემენტის შეცვლა უწევთ. შეცვლილი ვიზუალი და ამის შედეგად „დათმობილი“ ქვიარობა კი კონფლიქტის არიდების სურვილით აიხსნება. ევას შემთხვევაც ანალოგიურია იმ მხრივ, რომ მან უარი თქვა ტრანსფემინურ გარეგნობაზე, თუმცა ვიზუალის გარკვეულ ელემენტებს მაინც ინარჩუნებს ყველაზე კონსერვატიულ სივრცეშიც კი:

აი ხო გავიხადე კაბა, თმა შევიჭერი, „მეიქ-აფი“ [ავტ. მაკიაჟი] შევინახე, მაგრამ ფერადი ტანსაცმელი დარჩა... ყოველდღე შემოძლია ჩავიარო ფერადი ტანსაცმლით, საყურით და რალაცით ეკლესიის გვერდზე, ან თუნდაც ეკლესიაში შევიდე, მაგრამ თუ რამე ქვიარ თარიღს ემთხვევა დღე ან მართლმადიდებლურ რელიგიურ დღეს ემთხვევა, მაშინ უკვე არ არის მთლად უსაფრთხო ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიები, სადაც ხალხმრავლობაა (ინტერვიუ ევასთან, 02/10/2021).

ევა აქ პერიოდულობაზეც მიუთითებს, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ამ ასპექტის მნიშვნელობას ქვიარების გარეგნობის, უსაფრთხოების აღქმისა და მიმღებლობის გრძნობის მუდმივად ცვალებად ხასიათზე. ქვიარობის ყოველდღიური დემონსტრირება კვლავ რჩება მის ერთ-ერთ სურვილად, თუმცა როგორც ქვემოთ ვიხილავთ, ამას თან სდევს სტრატეგიათა კომპლექსური კომბინაცია იმ მიზნით, რომ თავი აარიდოს ხილვადობის ამ აქტის შედეგად გამოწვეულ საფრთხეებს.

თვითდამკვიდრება და პროტესტი

როგორც ვნახეთ, ტრანსგენდერი ადამიანი „თმობს“ თავისი იდენტობის უმნიშვნელოვანეს, ტრანსფემინურ ნაწილს, თუმცა ინარჩუნებს და ამყობს იმ ვიზუალით, რომელიც გარკვეულწილად აკომპენსირებს ამ დანაკარგს. საჯარო სივრცეში ევა არ იყენებს მხოლოდ დათმობის ან თუნდაც საკუთარი იდენტობის დამალვის სტრატეგიას სხვა როლის მორგებით. უფრო მეტიც, იგი ცდილობს ხაზი გაუსვას საკუთარ ქვიარობას ჩაცმულობის მეშვეობით:

ავტობუსით მგზავრობ და ყველა ზის ნაცრისფერი და შენ ყვითელი „კურტკა“, იასამნისფერი ბოტასები და ღია ჰუდი და ავტობუსში ხარ... რო გრძნობ რომ სხვანაირი ხარ, რომ შენ ხარ და... მზერები, მზერები... ნუ, აი დღემდე მაინც არაფერი შეიცვალა და ფერადი მიყვარს მაინც. ...საქართველოში სამწუხაროდ, ძალიან ცუდი ტრადიციაა დაჟინებული მზერა, რომელსაც გრძნობ და მერე ხედავ. რომც კონფლიქტი არ იყოს თუნდაც, დგას კაცი ან ქალი და დაჟინებულად გიყურებს. შენც ხვდები რომ გიყურებენ, გრცხვენია, დისკომფორტი გექმნება. ადრე ვარიდებდი

მზერებს თავს, ეხლა, ძალიან ალბათ ნამეტანი გაქანებული ნაგ-
ლი გავხდი და აქეთ ვუყურებ... მეც დაჟინებული მზერით ვუყუ-
რებ (ინტერვიუ ევასთან, 02/10/2021).

დაჟინებული მზერის უკურეაქციასთან ერთად, მისი გამოკვეთილი ჩაცმუ-
ლობა ეხმარება ევას კუთვნილი ადგილი მოინიშნოს საჯარო სივრცეში. მის
მსგავსად, დაჟინებული მზერითვე პასუხობს გარშემომყოფებს ზურაც, ტრან-
სგენდერი კაცი. თავდაჯერებულობისა და სიამაყის დემონსტრირებით ისი-
ნი უზრუნველყოფენ საკუთარი სხეულისა და იდენტობის პოზიციონირებას
საჯარო სივრცეში, მათ მიმართ გარშემომყოფთა შესამჩნევად უარყოფითი
დამოკიდებულების მიუხედავად. ანალოგიურ მიდგომას იყენებს ირაკლიც:

ზოგადად, არ მაქვს ეს შიშის მომენტი იმდენად... პირიქით, ისე
დავდივარ, რომ თითქოს აი, აქეთ, შენ გეკუთვნის ყველაფერი
რა... ძლიერად გიჭირავს თავი. მიდიხარ და გგონია, რომ შენს
ქუჩაზე მიდიხარ... როგორც კი ვგრძნობდი ხოლმე მზერას...
ცოტა ზიზღით, აგრესიით სავსე მზერას, პირიქით, თავს ისე ვი-
ჭერდი ხოლმე რომ... აი თითქოს, უსიტყვოდ ვეუბნებოდი, რომ
„ვაფშე, იმდენად არ მაინტერესებს შენი აზრი და იმდენად მკი-
დია, რომ ეს უკვე საკმარისი მესიჯი უნდა იყოს შენთვის რომ
არც კი გაბედო მოახლოება“. უბრალოდ, თავი მიჭირავს ხოლმე
ისე რომ შეიძლება გარედან ადამიანს მოეჩვენოს რომ ჯობია არ
მომეკაროს (ინტერვიუ ირაკლისთან, 04/10/2021).

ზოგიერთ შემთხვევაში, შესაძლოა ქვიარ ადამიანის გარეგნობამ, იდენტო-
ბის ხაზგასმის მეშვეობით სივრცეში დამკვიდრების პარალელურად, პრო-
ტესტის გამოხატვის ფუნქციაც იტვირთოს. ირაკლი იხსენებს, რომ გარკვე-
ული პერიოდის განმავლობაში აღარ ატარებდა საყურეს პირადი არჩევანის
გამო. თუმცა, 5 ივლისის შემდეგ, პროტესტის ნიშნად კვლავ დაიწყო მისი
გამოყენება. შესაბამისად, უსაფრთხოების გარდა, ქვიარის ვიზუალი შეიძ-
ლება შეიცვალოს გარკვეული სოციალური მოვლენების მიმართ პროტესტის
გამოსახატადაც. ირაკლის თქმით, მსგავსი მიდგომა, თვითდამკვიდრება სხე-
ულის ენით, ეფექტურია არამარტო ყოველდღიურ ცხოვრებაში უსაფრთხო
დისტანციის მოსანიშნად, არამედ იმ დროსაც, როდესაც მასკულინურ სივ-
რცეებში, შედარებით კონსერვატიული შეკრებების ადგილას უნევს ყოფნა.

4.4.2. სენსორული სხეული

ინდივიდუალური თუ ჯგუფური ტრავმული გამოცდილება ასახვას ჰპოვებს ქვიარ სხეულის ინსტინქტურ ქცევაზეც საჯარო სივრცეში. ვიზუალის ცვლილებისა და უსაფრთხოების გარანტიების არარსებობის გამო კონკრეტულ სივრცეებზე თავის არიდების გარდა, ქვიარ ადამიანები მუდმივად გრძნობენ მათ გარშემო სივრცის კონტროლის საჭიროებას სხეულის სხვადასხვა სენსორული თუ მოტორული ფუნქციების გამოყენებით. შესაძლო თავდასხმის მუდმივი მოლოდინის შედეგად გამომუშავებული ინსტინქტები კარგად იკვეთება ქალაქში გადაადგილებისას ასმათის, ევას, მაიასა და მარიამის ფიზიკურ მზადყოფნაში:

ქუჩაში მოვლიდით, ორი მძიმე პარკი მეჭირა, ბავშვი პატარა იყო მაშინ... თავი მაქვს დახრილი, ბავშვს რაღაცას ველაპარაკები, ვერც ვხედავ წინ რა ხდება და რო გავჩერდი და გავინიე, გამოვინიე და პერიფერიული მხედველობით ვხედავ რომ ტიპი თან დამდევს და თავი რომ ავნიე, „მეთქი რა გინდა?!“ ვინ ხარო და მივხვდი რომ აქ რაღაც ხდება... (ინტერვიუ ასმათთან, 01/10/2021);

თბილისი პრაიდის მოვლენებმა ჩაიარა ხომ, უკვე ნაკლებად მესმის თავდასხმებზე. კიდევ მესმის, რა თქმა უნდა, თუმცა, ნაკლებად... მე მაინც დამაქვს ელექტროშოკი და წინაკის სპრეი და ხელით ქუჩაში მიჭირავს, მაქვს ჯიბეში, რომ თუ რამე უცებ ამოვიღო და გამოვიყენო (ინტერვიუ ევასთან, 02/10/2021);

უსაფრთხო არ ვიცი რამდენად ჰქვია მაგრამ, ჰო, მე რომ უფრო დაცულად მეგრძნო თავი, ვმობილიზდებოდი ხოლმე, შესაბამისად, ყოველთვის ვახდენდი ადაპტაციას. აი, ელემენტარულად, როგორც კი სადმე შედარებით ბნელ და მიყრუებულ ქუჩაზე მომინევდა გავლა, სადაც ავტომატურად გერთვება საფრთხის განცდა... მარტივი თავდაცვის მეთოდები რაც არსებობს ისინი ყველაფერი მომენტალურად მახსენდებოდა, ხელში მომარჯვებული მქონდა მძიმე გასაღებების აცმა და რაღაც... თავის დაცვისთვის ძირითადად ვემზადებოდი ასეთ სიტუაციებში (ინტერვიუ მაიასთან, 16/09/2021);

ყოველთვის ყველგან სულ ძალიან ფხიზლად ვარ და გარშემო სიტუაციას ვაკონტროლებ. ქუჩაში ყოველთვის უკან ვიხედები და არასდროს აღარ მიკეთია ყურსასმენები, ყოველთვის ვცდილობ ვაკონტროლო ირგვლივ რა ხდება. (ინტერვიუ მარიამთან, 23/09/2021)

ხელში მომარჯვებული ელექტრომოკი და წინაკის სპრეი თუ სივრცის კონტროლის გამძაფრებული სურვილი ქვიარ სხეულის ინსტინქტური, პირდაპირი რეაქციაა იმ მოსალოდნელ საფრთხეზე, რომელიც მას გარეგნობისა და იდენტობის გამო შესაძლოა საჯარო სივრცეში შეემთხვას. ევა ამბობს, რომ საფრთხის მუდმივმა მოლოდინმა ქვიარ ადამიანებს სწრაფად სიარულის ინსტინქტიც კი გამოუმუშავა: – „რით განვსხვავდებით [ქვიარ ადამიანები] სხვა ადამიანებისგან? ჩვენ ჩქარა დავდივართ. მე მაგალითად, ჩქარა დავდივარ“. ამ შიშსა თუ მუდმივად ფიზიკური მზადყოფნის საჭიროებას ის ტრავმული გამოცდილებები კვებავს, რომლებიც მრავლად დაგროვდა საკუთარი თუ მეგობრებისა და თემის წევრების ყოველდღიურ ცხოვრებაში. ეს გამოცდილებები და ჩაგვრის მეხსიერება აიძულებს თემის მრავალ წარმომადგენელს ქალაქში გადაადგილდეს არა საზოგადოებრივი ტრანსპორტით, არამედ ტაქსით. თანმდევი რისკების მიუხედავად, გადაადგილების ეს საშუალება ერთგვარ უსაფრთხო ინსტრუმენტად იქცა ქვიარ ადამიანებისთვის სივრცეში ნავიგაციისთვის, პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით. ირაკლის მოყოლილი ისტორიაც, 5 ივლისს მოკლე მანძილზე ტაქსით გადაადგილების შესახებ, ნიშანდობლივია ამ მხრივ. მიუხედავად იმისა, რომ ქალაქის ცენტრალურ ნაწილში მუშაობს და უსაფრთხოების აღქმაც აქ შედარებით მაღალია, სამუშაო დღის დასრულების შემდეგ, ანდრეა თავს არიდებს გარეთ გამოსვლას და ქუჩაში მოცდას. იგი მხოლოდ გამოძახებული ტაქსის მოსვლის შემდეგ ტოვებს სამსახურს.

5. დასკვნა

სხეულსა და სივრცეს შორის მიმართებებზე მსჯელობაში, ტრავმული გამოცდილებები შესაძლოა განვიხილოთ, როგორც შუალედური ფაქტორი, რომელიც ცვლის როგორც თავად სხეულს, მის მიერ სივრცის ათვისების უნარსა და თვითგამოხატვის თავისებურებებს, ასევე აიძულებს მას გამოიმუშავოს სტრატეგიები, რათა ნაკლებად დაზიანდეს, მაგალითად, მუდმივად აკონტროლოს სივრცე, შეზღუდოს და შემოსაზღვროს იგი. გარდა ამისა, ტრავმული გამოცდილებების შედეგად იცვლება სივრცისადმი მიკუთვნებულობა და დამოკიდებულებები. ქვიარ ადამიანები ტრავმული გამოცდილებებისთვის თავის არიდების მიზნით, მნიშვნელოვნად ზღუდავენ სოციალიზაციის სივრცეებს და რჩებიან ექსკლუზიური სივრცეების ანაბარად, რომლებიც ასევე შეზღუდულია სხვადასხვა ნიშნით, მაგალითად, ქალაქის ცენტრშია თავმოყრილი ან კონკრეტულ სხეულებსა თუ გარეგნობაზეა მორგებული და გარკვეულ მოთხოვნებს უყენებს მას. ეს აჩენს არათანაბარ ხელმისაწვდომობას უსაფრთხოებაზე და სოციალიზაციის პროცესზე, ისევე, როგორც ტრავმული გამოცდილებების გადაშვავებასა და გამოგლოვებაზე, რადგან ამისთვის უსაფრთხო სივრცეებს უმნიშვნელოვანესი ფუნქცია აკისრია.

ტრავმული მეხსიერება მუდამ თან სდევს ქვიარ თემს, რაც ინდივიდუალურ დონეზე, მცირე ასაკიდან იწყება, როცა ადამიანი პირველად განიცდის რომანტიულ მიზიდულობას სხვა ადამიანისადმი. რიგ შემთხვევებში, ქამინგაუთი ქრონიკული ტრავმის წყაროდ გვევლინება. შეზღუდული უსაფრთხო სივრცეები კი არ იძლევა ამ საკითხებზე რეფლექსიის საშუალებას, რაც საბოლოო ჯამში, თემის ცხოვრებაში იქცევა ერთგვარ აჩრდილად და ყოველდღიურ ცხოვრებაში გამოიხატება უნდობლობის, ინტერპერსონალური სირთულეების, კონკრეტული სივრცეებისთვის თავის არიდების სახით. ჰერმანის თეორიის თანახმად, ქრონიკული ტრავმა მისი სამივე მახასიათებლით სახეზეა ქვიარ თემის ცხოვრებაში: მოძალადე ჯგუფების ძალაუფლების ზრდა, ქვიარ ჯგუფის ძალაუფლების შემცირება მისთვის მნიშვნელოვანი თარიღების თუ სივრცეების წართმევის გზით და ქვიარ თემში ემიგრაციის მაღალი მაჩვენებელი (ეს უკანასკნელი ცალკე შესწავლის საგანს წარმოადგენს). კოლექტიურ დონეზე, ტრავმული მეხსიერების გასაანალიზებლად აქტივიზმს მნიშვნელოვანი როლი აქვს.

მაგალითად, 2013 წლის 17 მაისის მემორიალიზაციამ ვებგვერდის⁹ სახით, ტრავმის გამოგლოვებისა და გადამუშავების ეფექტი იქონია ამ პროცესში ჩართული ადამიანებისთვის. როგორც ჰართალისა და მისგავის ანალიზში გვხვდება, ეს არის გრძელვადიანი, დაგეგმილი, სხვა სივრცეში გადატანილი პასუხი ტრავმულ გამოცდილებაზე, რასაც, როგორც წესი პოზიტიური ეფექტი მოჰყვება. ამავდროულად, ამ პროცესს სჭირდება გარკვეული ერთობის არსებობა თემის შიგნით, რადგან მაკურნებელი/აღმდგენი ეფექტი სწორედ ამ ერთობაში მდგომარეობს.

სოლიდარობის დეფიციტი ტრავმების დაძლევის გზაზე, როგორც პირად ცხოვრებაში, ასევე სათემო დონეზე, თვალსაჩინოა. გარე ჯგუფების სოლიდარობა ინსტრუმენტალიზებულია სხვადასხვა ნიშნით და ხშირად მეორად სარგებელზეა ჩამოკიდებული, რაც თემში ამძაფრებს სიყალბის, უნდობლობის განცდას. ეს კი კვლავაც ამცირებს ქრონიკული ტრავმის მდგომარეობიდან გამოსვლის შესაძლებლობას. ამასთანავე, ქვიარ სხეულში ყოფნა თავისთავად პოტენციურად მატრავმირებელი შეიძლება იყოს, რადგან მცირე ასაკიდანვე გარემო იწყებს მის პრობლემატიზებას და განდევნას, რაც თავისთავად ნეგატიურად აისახება ქვიარი ადამიანების შემდგომ ცხოვრებაზე. აქვე, აღსანიშნავია, კავშირი ქვიარ სხეულსა და ქალის სხეულს შორის, რადგან მონაწილეები, რომლებიც აზიარებდნენ ტრავმულ გამოცდილებებს, ქალების შემთხვევაში ეს ხშირად უფრო მეტად მათ გენდერს უკავშირდებოდა და ნაკლებად ქვიარ იდენტობას. ტრავმის ქრონიკული ხასიათი კარგად ჩანს გენდერის ჭრილშიც, რაც პირდაპირ ეხმიანება ჯუდით ჰერმანის თეორიას გენდერის ნიშნით ჩაგვრის შესახებ. თუმცა ეს საკითხი შემდგომ ანალიზსა და გამოკვლევას საჭიროებს, რადგან ქალების ჩაგვრის გამოცდილება ისევე მრავალშრიანია, როგორც ქვიარების. ქრონიკული ტრავმატიზაცია და განდევნა ქალის სხეულს ანალოგიურად აქცევს ჩაკეტილ წრეში, როგორც ქვიარ სხეულს.

ინდივიდუალური თუ ჯგუფური ტრავმული გამოცდილების მიერ ქვიარ სხეულსა და გონებაზე დასმული დალი თვალსაჩინოდ გამოჩნდა თემის წევრებთან ინტერაქციისას. შეგროვებული ემპირიული მასალა ადასტურებს სივრცისა და სხეულის ურთიერთდამოკიდებულების მნიშვნელობას და კიდევ ერთხელ თვალსაჩინოდ წარმოაჩენს ამ ორი, თითქოსდა ერთმანეთისგან განცალკევებული სივრცითი ერთეულის ერთიან ორგანიზმად

9 იხილეთ ბმული: <https://17maisi.net> (ბოლო ნახვა: 01/11/2021)

განხილვის საჭიროებას. როგორც ეიმინი და თრიფტი ამტკიცებენ ურბანული სივრცის მუდმივად ცვალებად ხასიათს, ასევე მუდმივად ცვალებადია ქვიარ სხეულიც. მისი ფლუიდურობა, შეიძლება ერთი მხრივ განპირობებულია იმ მისწრაფებებით, სურვილებითა და პრეფერენციებით, რაც ქვიარ ადამიანებს ზოგადად ახასიათებთ. მეორე მხრივ, არ უნდა დაგვავიწყდეს ის პრაგმატული მიზნები, რომლებიც განაპირობებს ქვიარ სხეულის მუდმივ ცვლას – უსაფრთხო სივრცის საჭიროება და თვითგადარჩენა. სხეული არ უნდა განვიხილოთ როგორც გონებისგან დამოუკიდებელი ბიოლოგიური ორგანიზმი. იგი არ გადაადგილდება სივრცეში მექანიკურად, დაუფიქრებლად. ტრავმული გამოცდილებების ანალიზი პირველ რიგში სწორედ ქვიარ სხეულისა და გონების კონკრეტულ შემთხვევებში, ერთხმად, მიზანმიმართულად შეცვლილ თუ შენარჩუნებულ ქცევასა და გარეგნობაზე მიუთითებს.

იდენტიფიცირდება რა როგორც ჰეტეროპატრიარქატისგან განსხვავებული, ქვიარ სხეული ირიყება დანარჩენი, ჰეტემონური ჯგუფებისგან. როგორც წინა ნაწილში ვიხილეთ, ეს გარიყვა ხდება როგორც გარედან, ასევე თავად თემის წევრების სურვილის შედეგად. ეს უკანასკნელი შესაძლოა მეტწილად განპირობებულია პირველ რიგში დომინანტი ჯგუფების მხრიდან მომავალი საფრთხის შეგრძნებით. ქვიარ ადამიანებს უჭირთ უსაფრთხო სივრცის პოვნა ისეთ ადგილებშიც კი, რომლებიც ერთი შეხედვით, მათი დაცულობის გრძნობას უნდა ზრდიდეს – იქნება ეს სახლი, სამეგობრო თუ ექსკლუზიურად ქვიარ სივრცეებიც კი. შესაბამისად, ეს მუდმივად არასტაბილური სიტუაცია, აისახება მათივე სხეულისა და გონების ურთიერთობაზე სივრცესთან. ქვიარების სოციო-სივრცითი გარიყულობა ხელოვნურად კონსტრუირებულია. ისევე როგორც ის სივრცე, სადაც ვცხოვრობთ. თუკი დავესესხებით ისევ ეიმინსა და თრიფტს, განაშენიანებული ელემენტების გარდა, ქალაქი ინდივიდუალური, მათ შორის ქვიარ გამოცდილებების ერთიანობით, მათი თანაკვეთით იქმნება. თუკი ჰეტერონორმატიული ადამიანისთვის, აფთიაქი ან მაღაზია ისეთი ლოკაციაა, სადაც საჭირო წამალს ან საკვებს შეიძენს, ქვიარ ადამიანისთვის იგი პირველ რიგში, თავშესაფარს, მოძალადისგან თავდასაცავ ნაგებობას წარმოადგენს. ორივე შემთხვევაში, ამ ადამიანებს, ერთი და იგივე მიზანი ამოძრავებთ – შეინარჩუნონ ჯანმრთელობა და ფიზიკური სიჯანსაღე. მათ სტრატეგიებში განსხვავებას მხოლოდ მათი სხეული, ვიზუალი შეიძლება განაპირობებდეს. შედეგად, ქვიარ გონებაში იქმნება საფრთხის შემ-

ცველი ადგილები, რომელიც ინსტიტუტური ქცევის სახით, ქვიარ სხეულ-ზეც აისახება. ჩქარი სიარული, მომარჯვებული წინაკის სპრეი, სივრცის მუდმივი კონტროლის საჭიროება თუ კონკრეტულ ლოკაციებზე თავის არიდება ან მათ „მოთხოვნებზე“ მორგება სწორედ ამის გამოძახილია.

ზემოთ მოყვანილი სტრატეგიები არასრული ჩამონათვალია იმ მიდგომების, რომელთა გამოყენებაც ქვიარ ადამიანებს უწევთ ქალაქში ყოველდღიური ცხოვრების უსაფრთხოდ წარსამართად და ფიზიკური თვითგადარჩენის მიზნით. ისევე როგორც უსაფრთხო სივრცის ცნება არის არამდგრადი და მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ინდივიდუალურ გამოცდილებებსა და კონტექსტს, ამ სივრცის შესაქმნელად გამოყენებული სტრატეგიებიც ურთიერთგანსხვავებული, მუდმივად ცვლადი და კონტექსტზე დამოკიდებულია. ეს მიდგომები შესაძლებელია გამოიყენონ როგორც ინდივიდუალურად, ასევე ჯგუფურად და სავარაუდოდ, შედეგებიც განსხვავებული იქნება.

სივრცე-სხეულის ურთიერთდამოკიდებულებიდან მხოლოდ ერთი მიმართულება ვახსენეთ. როგორც გარშემო სივრცე აყალიბებს ქვიარ სხეულის ვიზუალურ თუ ქცევით ხასიათს, ასევე ხდება პირიქით. ქვიარ სხეული მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს ქალაქის ფორმაზე. სწორედ ამ სხეულის დაცულობის უზრუნველსაყოფად იქმნება ის ექსკლუზიური სივრცეები, რომლებიც ქალაქის სოციო-კულტურული თუ ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვან ცენტრებად გვევლინება ლამის კლუბების, გართობისა თუ ხელოვნების სივრცეების სახით. ქვიარ სხეულის არსებობამ განაპირობა ისიც, რომ დღეს რუსთაველის გამზირზე აღმართულ ჯვარს უფრო მეტი კავშირი აქვს თემთან, ვიდრე თავად მის რელიგიურ იდეასთან. მნიშვნელოვანია ამ არტეფაქტს ამ გადმოსახედიდანაც შევხედოთ და არ აღვიქვათ აპრიორი ჩაგვრა-ჩაგრულის დიქოტომიად. ამგვარი მიდგომა ქმნის სტატუს ქვოს შენარჩუნების რისკებს, რადგან ჰეტერონორმატიულ უმრავლესობასთან ქვიარ თემის მცირერიცხოვანი წევრები ვერაფერს გახდებიან საჯარო სივრცეზე „დაუფლებისთვის“ ბრძოლაში. მნიშვნელოვანია ის არტეფაქტები თუ წართმეული ქვიარ სენსიტიური თარიღები გამოყენებული იქნას თემის ჩაგვრის მუდმივად შესახსენებლად. ნებისმიერ შემთხვევაში, წარსული ტრავმული გამოცდილებისა თუ მოსალოდნელი საფრთხის მიუხედავად, ქვიარ სხეულის მედეგობა ნათლად ჩანს. იგი აგრძელებს საჯარო სივრცის ათვისებასა და იქ თავის დამკვიდრებას.

კვლევის მანძილზე ასევე ნათლად გამოჩნდა უფრო ფართო დისკუსიის საჭიროება ჩაგვრის მრავალი ფორმისა და მათთან გამკლავების სტრატეგიების შესახებ, რომელიც თემის წინაშე დგას. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ხილვადობის პოლიტიკასთან დაკავშირებული საკითხების განხილვა, პირველ რიგში თემის შიგნით. აუცილებელია შეფასდეს თემის ინტერესების საჯარო პოლიტიკაში ინსტრუმენტალიზაციის რისკები და მათი შესაძლო მავნე ზეგავლენა ქვიარ ადამიანების უსაფრთხოების აღქმაზე. სავლელ სამუშაოებისას ასევე გამოიკვეთა თემის წევრების საცხოვრისზე ხელმისაწვდომობის პრობლემა, რომელსაც ჯაჭვურად ებმის სხვა სოციო-ეკონომიკური პრობლემებიც. აშკარაა ინტერსექციური ჩაგვრის არსებობა, რომელთან გამკლავებაც თემის მრავალ წევრს უნევს. გამოიკვეთა ონლაინ პლატფორმების მნიშვნელობაც. ერთი მხრივ, ისინი შესაძლებელია გარკვეულწილად აკომპენსირებდეს უსაფრთხო სივრცეების სიმწირეს ქვიარ ადამიანების ცხოვრებაში, თუმცა, ამავდროულად, ფაქტიურად დაუცველს ხდის მათ კიბერბულინგის თუ ონლაინ სივრცესთან დაკავშირებული სხვა ტიპის რისკების მიმართ. განსაკუთრებული ყურადღების დათმობას საჭიროებს თემის შეთანხმება სოლიდარობის რაობაზე, მის მნიშვნელობასა და ფორმებზე. ამ მხრივ, გადასაფასებელია აქტივიზმის როლი. მიუხედავად იმისა, რომ აქტივიზმის წყალობით, დღეს უკვე ყველამ გაიგო თემის ნამდვილად არსებობის შესახებ, გარკვეულ მომენტში, იგი თემის წევრების დამაზიანებლად უფრო გვევლინება, ვიდრე ტრავმული გამოცდილებების გადალახვაში ხელშემწყობ ელემენტად. ტრავმული გამოცდილებების გადასამუშევრებლად უსაფრთხო სივრცეები სწორედ აქტივიზმის დახმარებით შეიძლება შეიქმნას, შესაძლოა აქტივისტებმა შეიძინონ თემის გაჯანსაღების ფუნქცია. აქვე აუცილებელია ამ პროცესებში ჩართულები იყვნენ არა მხოლოდ ის ადამიანები, ვინც უშუალოდ მონაწილეობდა აქტივისტიურ საქმიანობაში, არამედ ე.წ. განზე მდგომები, რომლებსაც არანაკლები ზიანი ადგებათ.

6. ბიბლიოგრაფია

- Amin, A. and Thrift, N. (2002) *Cities: Reimagining the Urban*. Cambridge: Polity.
- Babunashvili, G. and Gilbreath, D. (2021) 'Georgia may be the most homophobic country in Europe', *Datablog*, 27 July. Available at: <https://oc-media.org/features/datablog-georgia-may-be-the-most-homophobic-country-in-europe/> (Accessed: 20 August 2021).
- von Boemcken, M., Boboyorov, H. and Bagdasarova, N. (2018) 'Living dangerously: securityscapes of Lyuli and LGBT people in urban spaces of Kyrgyzstan', *Central Asian Survey*, 37(1), pp. 68–84. doi:10.1080/02634937.2017.1334627.
- Brewin, C.R., Andrews, B. and Valentine, J.D. (2000) 'Meta-analysis of risk factors for posttraumatic stress disorder in trauma-exposed adults.', *Journal of Consulting and Clinical Psychology*, 68(5), pp. 748–766. doi:10.1037/0022-006X.68.5.748.
- Butler, J. (1993) *Bodies That Matter: On the Discursive Limits of Sex*. Routledge.
- Diagnostic and Statistical Manual of Mental Disorders*. 5th Edition (2013). Washington D.C.; London, England: American Psychiatric Association (DSM Library). doi:10.5555/appi.books.9780890425596.x00pre.
- Fassin, D. and Rechtman, R. (2007) *The Empire of Trauma: An Inquiry into the Condition of Victimhood*. Translated by R. Gomme. Princeton and Oxford.
- Flick, U. (2018) *An Introduction to Qualitative Research*. 6th edn. SAGE Publications. Available at: <https://books.google.se/books?id=P7ZkDwAAQBAJ>.
- Grosz, E. (1995) *Space, Time and Perversion: Essays on the Politics of Bodies*. London; New York: Routledge.
- Hartal, G. and Misgav, C. (2021) 'Queer urban trauma and its spatial politics: A lesson from social movements in Tel Aviv and Jerusalem', *Urban Studies*, 58(7), pp. 1463–1483. doi:10.1177/0042098020918839.
- Herman, J.L. (1992) 'Complex PTSD: A syndrome in survivors of prolonged and repeated trauma', *Journal of Traumatic Stress*, 5(3), pp. 377–391. doi:10.1007/BF00977235.
- Herman, J.L. (1994) *Trauma And Recovery: From Domestic Abuse to Political Terror*. New York, NY: Basic Books Press.

Hubbard, Phil. et al. (2002) *Thinking geographically : space, theory, and contemporary human geography*. London; New York: Continuum.

Massey, D. (1994) *Space, Place and Gender*. University of Minnesota Press.

McDowell, L. (2010) 'Interviewing: Fear and Liking in the Field', in DeLyser, D. et al. (eds) *The SAGE Handbook of Qualitative Geography*. 1st edn. SAGE Publications Inc., pp. 156–171.

Nemiah, J.C. (1996) 'Breuer, Josef and Freud, Sigmund (1895/1995), Studies on Hysteria. In James Strachey (Ed.) *The Standard Edition of the Complete Psychological Works of Sigmund Freud*. London: Hogarth Press, Vol.2, xxxii, pp. 1–335', *American Journal of Clinical Hypnosis*, 38(3), pp. 234–237. doi:10.1080/00029157.1996.10403343.

Pain, R. (2019) 'Chronic urban trauma: The slow violence of housing dispossession', *Urban Studies*, 56(2), pp. 385–400. doi:10.1177/0042098018795796.

Rothblum, E.D. (ed.) (2020) *The Oxford Handbook of Sexual and Gender Minority Mental Health*. Oxford, UK: Oxford University Press.

Shoshiashvili, T. (2021) 'Georgia's ongoing epidemic of homophobic street violence', *OC Media*, 21 July. Available at: <https://oc-media.org/features/georgias-ongoing-epidemic-of-homophobic-street-violence/> (Accessed: 20 August 2021).

Sichinava, D. and Saldadze, O. (2021) 'What do Georgians think about Tbilisi Pride?', *Datablog*, 28 September. Available at: <https://oc-media.org/features/datablog-what-do-georgians-think-about-tbilisi-pride/> (Accessed: 20 October 2021).

Sparks, R., Girling, E. and Loader, I. (2001) 'Fear and Everyday Urban Lives', *Urban Studies*, 38(5–6), pp. 885–898. doi:10.1080/00420980123167.

Thrift, N. (1996) *Spatial Formations*. London: SAGE Publications Ltd. doi:10.4135/9781446222362.

Thrift, N. (2008) *Non-Representational Theory: Space, Politics, Affect*. Taylor & Francis (International Library of Sociology). Available at: <https://books.google.ge/books?id=0LM6UedgqA0C>.

ბრძოლა საჯარო სივრცისთვის: როცა პირადი პოლიტიკურია (2016). თბილისი: შაინრიპ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონული ბიურო. ხელმისაწვდომია: <https://ge.boell.org/ka/2016/12/29/brzola-sajaro-sivrcistvis-roca-piradi-politikuria>. (ბოლო ნახვა: 20/11/2021).

გელდერი მაიკლ, ჰარისონი, პოლ და ქოუენი ფილიპ (2006) ოქსფორდის მოკლე სახელმძღვანელო ფსიქიატრიაში. მეხუთე გამოცემა. თარგმანი: ჭყონია, ეკა და ჩხეიძე, თინა. თბილისი: ფონდი “გლობალური ინიციატივა ფსიქიატრიაში – თბილისი“.

მელაშვილი თამთა (2014) ‘თანამედროვე ფემინისტური აქტივიზმი საქართველოში’, ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის ფემინისტური ვებგვერდი, 25 ივნისი. ხელმისაწვდომია: <https://feminism-boell.org/ka/2014/06/25/tanamedrove-peministuri-aktivizmi-sa-kartveloshi> (ბოლო ნახვა: 20/11/2021).

ნახუცრიშვილი ლუკა (2018) ‘ფრაგმენტები დაუნერელი საჩვიდმეტმაისო მანიფესტისთვის’, სოციალური სამართლიანობის ცენტრი, გვ. 181–210.

პუბლიკა (2021) ‘ჰომო/ბი/ტრანსფობია, რომელიც ქუჩებში გრძელდება’, 13 ივლისი. ხელმისაწვდომია: <https://publika.ge/article/homo-bi-transfobia-romelic-quchebshi-grdzeldeba/> (ბოლო ნახვა: 20/08/2021).

ჯავახიშვილი დარეჯან (ჯანა) (2018) ტოტალიტარული რეპრესიებით გამოწვეული ფსიქოსოციალური ტრავმის გავლენა და თაობათაშორისი გადაცემა საქართველოს მაგალითზე. სადისერტაციო ნაშრომი. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი.

ჯანელიძე ბარბარე (2018) ‘17 მაისი: სეკულარიზმი, რელიგია და საჯარო სივრცე’, სოციალური სამართლიანობის ცენტრი, გვ. 136–164.